პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეთერთმეტე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის (ბ)
ცენტრ. კომიტეტის
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
დღის 11 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 11 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის . . . 14-76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივნის . . . . . 10—58
მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა თბილისი, რუსთაველის პრ. № 34 ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
1 თვით 1 მანეთი
1 წლით—12 მან
უცხოეთში
1 თვით — 3 მანეთი
გაზეთის მიუღებლობის შემთხვევაში დარეკეთ ტელ. № 17—55

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—1 მ., ტექსტის შიგნით—2 მ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს, თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტისშეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. სამგლოვიარო განცხადებები—20 და 25 მ. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68. ტელ. 5—43.

ამიერ-კავკასიის ფედერაციის
ცხრა წლისთავი

ხუთშაბათი, 12 მარტი 1931 წ. | ყოველდღიური გაზეთი | ფასი 5 კაპ. № 59 (3014)

უზრუნველვყოთ ამიერ-კავკასიის ფედერაციის შემდგომი გაძლიერება

პარტიის გენერალური ხაზის, საკავშირო კომპარტიის ცეკას 1929 წლის ნოემბრის დირექტივების განუხრელი გატარებით

მედგარი ბრძოლა კონტრრევოლიუციონური მენშევიზმის, დაშნაკიზმის და მუსავატიზმის ნაშთების, მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნიზმის. დიდმპყრობელური შოვინიზმის, ნაციონალ-უკლონიზმის და მათდამი შემარიგებლობის წინაალმდეგ

ა.-კ. ფედერაციის შემდგომი გაძლიერებისათვის

ქართველი მენშევიკების დამარცხებით დაიმსხვრა ამიერ - კავკასიის კონტრ-რევოლიუციის მთავარი დასაყრდენი. 1921 წლის გაზაფხულზე მთელს ამიერ - კავკასიაში უკვე საბჭოთა ხელისუფლება იყო გამარჯვებული. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით შესაძლებელი გახდა ამიერ - კავკასიის ერებს შორის მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატელების მიერ დარღვეულ კავშირის აღდგენა და ამიერ - კავკასიის მშრომელთა მჭიდრო გაერთიანება საბჭოთა კავშირის ძლევამოსილ პროლეტარიატთან. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ წლებში ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციების ძირითადი ამოცანა გახდა შოვინისტური პარტიების პარპაშის პერიოდში დაქსაქსულ, ერთი მეორისაგან მოწყვეტილ ერების პოლიტიკური დაკავშირება, ამ ერებს შორის ნაციონალური მშვიდობიანობის დამყარება და სამეურნეო თანამშრომლობა.

ამიერ - კავკასიის ხალხთა დაკავშირება, პოლიტიკურ, ნაციონალურ და სამეურნეო თანაცხოვრების განხორციელება გამოისახა ამიერ - კავკასიის ფედერაციაში. იდეა ამიერკავკასიის ხალხთა ფედერაციისა ეკუთვნის ამხ. ლენინს. ეს იდეა განხორციელებულ იქნა ამხ. ლენინის და მისი საუკეთესო მოწაფის ამხ. სტალინის მიერ ბოლშევიკური სიმტკიცით, კლასობრივ მტრების გააფთრებულ წინააღმდეგობის პირობებში. დამარცხებული ნაციონალისტური პარტიების: მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატელების ნამსხვრევები, კულაკები და მათი აგენტები ჩვენს პარტიაში — ნაციონალ - უკლონისტები მთელის ძალღონით ებრძოდნენ ამიერ - კავკასიის ერთა დაახლოვებას, სამი მოძმე ხალხთა რესპუბლიკების პოლიტიკურ გაერთიანებას. მაგრამ პარტიამ ბრწყინვალედ გაიმარჯვა პროლეტარიატის დიქტატურის, ინტერნაციონალიზმის მტრებთან ბრძოლაში და ცხრა წლის წინეთ საფუძველი ჩაუყარა აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს მშრომელთა ისტორიაში უმნიშვნელოვანეს ფაქტს — ამიერ-კავკასიის ფედერაციას.

ლენინი თავიდანვე დიდ იმედს ამყარებდა თვითმპყრობელობის მიერ ჩაგრულ, მეფის კოლონიალური პოლიტიკისა და ნაციონალისტურ პარტიების მიერ გათიშულ ერთა დაახლოებაზე, მათ ინტერნაციონალურ დაკავშირებაზე. **„კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების მჭიდრო კავშირი**— სწერდა ლენინი 1921 წელს, — **შექმნის სამაგალითო ნაციონალურ მშვიდობიანობას, რომელიც შეუძლებელი და წარმოუდგენელია ბურჟუაზიულ წესწყობილებაში"**. ამიერკავკასიის ფედერაციამ გასული 9 წლის არსებობით საუკეთესოდ დაადასტურა ამხ. ლენინის ეს დებულება. დაადასტურა იმიტომ, რომ თვით ოქტომბრის რევოლიუციამ შექმნა ერთა თანაცხოვრებისათვის საუკეთესო პირობები. მან მოსპო, ეროვნული ჩაგვრა, ეროვნული პრივილეგიები და დაამყარა **ეროვნული თანასწორობა**, ე. ი. შექმნა ერთა მჭიდრო კავშირისათვის ის აუცილებელი წინასწარი პირობები, რომელიც შეუძლებელი და წარმოუდგენელია ბურჟუაზიის ბატონობის დროს. ა.-კ. ფედერაციის განმტკიცებისათვის პარტიას და მუშათა კლასს გასულ წლების განმავლობაში უხდებოდა ბრძოლა იმავე ძალებთან, რომელნიც თავიდანვე წინააღმდეგნი იყვნენ ფედერაციის შექმნისა და რომელნიც ფედერაციის შექმნის შემდეგ არა ნაკლებ იბრძოდნენ მის წინააღმდეგ.

მენშევიზმთან, მუსავატიზმთან და დაშნაკიზმთან ერთად ნაციონალ-უკლონიზმი ფედერაციის მთავარი მტერი იყო და არის. და ბრძოლა ამ ნაციონალ-უკლონიზმის წინააღმდეგ, რომელიც დღესაც აქა-იქ ააშკარავებს თავის მახინჯ სახეს, უნდა იქნეს ისეთივე მედგარი და სისტემატიური, როგორც დღემდე.

ამიერ - კავკასიის ფედერაცია თავის არსებობის პირველ წლებში უმთავრესად ემსახურებოდა მხარის პოლიტიკურ გაძლიერებას და ერთა შორის ნაციონალურ მშვიდობიანობის განმტკიცებას, მაგრამ ეს არ იყო საკმაო. ამიტომ საკავშირო კომპარტიის ცეკამ ამიერ - კავკასიის ფედერაციის ორგანოების პირველხარისხოვან ამოცანად აღიარა მეტი ყურადღების მიპყრობა ფედერაციის ეკონომიურ განმტკიცებისადმი, ფედერაციის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელ როლის გადაჭრით გაძლიერებისადმი—„ამიერკავკასიის ფედერაციის ორგანოებმა — ვკითხულობთ საკ. კ.პ. (ბ) ცეკას 1929 წლის ნოემბრის დადგენილებაში — რომელნიც პირველ პერიოდში უმთავრესად პოლიტიკურ როლს ასრულებდენ და რომელთაც უზრუნველჰყვეს ამიერ - კავკასიის ნაციონალური რესპუბლიკების ნაყოფიერი განვითარება, პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცება და ნაციონალური მშვიდობიანობის გაძლიერება, ახლანდელ პერიოდში მთელი თავიანთი ძალღონე უნდა მოახმარონ სამეურნეო სოციალისტურ მშენებლობას ეროვნულ რესპუბლიკებში, ამ რესპუბლიკების ინდუსტრიალიზაციას, სოფლის მეურნეობის ტეხნიკურ და სოციალურ გარდაქმნას".

ამიერ - კავკასიის ფედერაციის პარტიულ და საბჭოთა ორგანოების მუშაობა მიმართულია საკ. კომპარტიის ცეკას ამ დირექტივის განხორციელებისაკენ და მოპოვებული მიღწევანიც ამ მხრივ საგულისხმოა. ამიერ - კავკასიის ბოლშევიკებმა პარტიის გენერალური ხაზის მტკიცედ გატარებით, მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნისტების, სირცოვ-ლომინაძის ორპირული ბლოკის, მათდამი შემარიგებლობის წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლის ნიადაგზე შესძლეს საგრძნობლად წინ წაწევა მხარის ინდუსტრიალიზაციისა. ამიერკავკასიაში, ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, სახალხო მეურნეობის განვითარება მიმდინარეობდა და მიმდინარეობს ინდუსტრიალიზაციის გზით, ინდუსტრიის, პირველ რიგში მძიმე ინდუსტრიის, წილის ზრდის გზით.

მხარის ინდუსტრიალიზაციისადმი უდიდესი ყურადღებით აიხსნება, რომ მაგ. ნავთის ამოღება მარტო გასული წლის განმავლობაში გაიზარდა 19.5 პროცენტით და 1913 წლის ამოღებას 40 პროცენტით გადააჭარბა, სამრეწველო პროდუქცია გაიზარდა მარტო გასული ერთი წლის განმავლობაში შედარებით ხუთწლედის პირველ წელთან 58 პროც., ხოლო კაპიტალური დაბანდებანი 60 პროცენტით. კაპიტალურ დაბანდებათა მთავარი ნაწილი მოხმარდა უპირველესად ახალი დარგების შექმნას. ნავთი, ნახშირი, ცემენტი, ლითონი, ელექტროფიკაცია— მძიმე ინდუსტრიის ეს გადამწყვეტი დარგები ამიერ - კავკასიის ფედერაციის ძირითად ყურადღებას იპყრობენ. ფედერაციამ უდიდესი ნაბიჯი გადასდგა მხარის ბუნებრივ სიმდიდრეთა (წყლის, ხე-ტყის და მინერალურ სიმდიდრეთა) მაქსიმალურ გამოსაყენებლად.

ამიერ - კავკასიის ბოლშევიკების ამოცანაა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის გაღრმავება და ამ ცენტრალურ ამოცანას უნდა მოხმარდეს პირველ რიგში ჩვენი ყველა ძალები, ყველა საშუალებები, ამ ამოცანის ირგვლივ უნდა იქნეს დარაზმული ამიერ - კავკასიის მშრომელთა მილიონიანი მასები.

საკავშირო კომპარტიის ცეკას დირექტივის წარმატებით განხორციელებას ფედერაციის შესახებ ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში შევძლებთ, თუ გავაძლიერებთ ფედერატიული მნიშვნელობის ყველა საწარმოთა თავმოყრას ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ხელში, თუ საუკეთესო სამეურნეო ძალებს ცალკე რესპუბლიკებიდან მოვაქცევთ ფედერაციის სამეურნეო ორგანოებში და სასტიკად შევებრძოლებით კონტრ-რევოლიუციონურ ნაციონალისტური პარტიების ნაშთებს და ნაციონ. უკლონიზმის ყოველგვარ რეციდივს, რომელიც ილაშქრებს ფედერაციის ორგანოების გაძლიერების წინააღმდეგ.

ამიერ - კავკასიის ფედერაციამ უდიდეს წარმატებებს მიაღწია სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დარგში. კოლმეურნეობებში 1931 წლის 1 თებერვლისათვის გაერთიანებული იყო გლეხურ მეურნეობათა 20,2 პროც. ე. ი. 190.000 გლეხური მეურნეობა. დიდი ყურადღება ექცეოდა და ექცევა მხარის ნიადაგის და ჰავის პირობებთან შეფარდებით ტეხნიკური კულტურების განვითარებას, კერძოდ ისეთი ძვირფასი ტეხნიკური კულტურების განვითარებას, როგორიცაა ბამბა, ჩაი და სხვა. ბამბის ნათესმა მიმდინარე წელს 250 ათასს ჰექტარს უნდა მიაღწიოს, ხოლო სხვა ტეხნიკური კულტურების ნათესმა—400 ათას ჰექტარს. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ტარდება და გატარდება მტკიცე კურსი მარცვლეული კულტურების ტეხნიკური კულტურებით შევიწროვების და გაძევებისათვის. თუ რამდენად დიდი ყურადღება ექცევა სოფლის მეურნეობის ტეხნიკურ რეკონსტრუქციას, ეს იქიდან სჩანს, რომ მარტო ბამბის რაიონებში მიმდინარე საგაზაფხულო კამპანიის დროს არსდება 20 ახალი მანქანო - სატრაქტორო სადგური, რამდენიმე ათეული მილიონი მანეთი იხარჯება სარწყავ არხების გაყვანაზე, ფართოდ იშლება მძლავრ ტეხნიკურ საფუძველზე აგებული საბჭოთა მეურნეობების მშენებლობა.

9 წელი ამიერ-კავკასიის ფედერაციისა საუცხოვოდ ადასტურებს ლენინური ნაციონალური პოლიტიკის სისწორეს, ლენინური ნაციონალური პოლიტიკის ცხოველმყოფელობას, იმას, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება უზრუნველყოფს მცირე ერთა ნაციონალურ, კულტურულ და ეკონომიურ აყვავებას. დიდმპყრობელური შოვინიზმის, როგორც დღევანდელ ეტაპზე მთავარი საფრთხის, და ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ მედგარი ბრძოლის ნიადაგზე ამიერ-კავკასიის მაგალითზე ყველაზე ნათლად მტკიცდება, რომ მხოლოდ „პროლეტარიატის დიქტატურის, სოციალიზმის მშენებლობის პერიოდი საბჭოთა კავშირში არის ნაციონალური კულტურების აყვავების პერიოდი, კულტურების, რომელნიც სოციალისტურ შინაარსს ატარებენ, მაგრამ ფორმით ნაციონალური არიან" (სტალინი). ამიერკავკასიის ინდუსტრიალიზაცია, მხარის მთელი მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის გაღრმავება კიდევ უფრო მაღლა აწევს ამიერ-კავკასიაში მოსახლე ყველა ერების, თვით ყველაზე უმნიშვნელო მცირე ერის ნაციონალურ კულტურას, აწევს მას მაღალ სოციალიზმისათვის აუცილებელ საფეხურზე, გაამდიდრებს ამ კულტურებს პროლეტარული, სოციალისტური შინაარსით. საყოველთაო სავალდებულო სწავლის, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მტკიცედ გატარებით უნდა შეიქმნას ადგილობრივი, მშრომელთა ნაციონალური კადრების მძლავრი არმია, რომელიც სათანადოთ გაუძღვება სოციალისტურ ინდუსტრიასა და სოფლის განსაზოგადოებულ სექტორს.

ფედერაციის გაძლიერება, ერთიორად გაზრდის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების თვითმოქმედებას და სამეურნეო ინიციატივას, როგორც ეს გათვალისწინებულია საკავშირო კომპარტიის ცეკას ხსენებულ დადგენილებაში და ამით ლახვარს სცემს ყველა ჯურის ნაციონალ - უკლონისტებს, რომელნიც ამიერ - კავკასიის ფედერაციის სამეურნეო გაძლიერებაში ხედავდნენ ნაციონალური რესპუბლიკების ინიციატივის ჩახშობის ფაქტს.

საკავშირო კომპარტიის ცეკას ცნობილი დადგენილება ამიერ - კავკასიის ფედერაციის სამეურნეო განმტკიცების შესახებ ავალებს ამიერ - კავკასიის ბოლშევიკებს და მთელ მუშათა კლასს კიდევ უფრო მეტი ყურადღება მიაპყრონ ფედერაციის სამეურნეო განმტკიცებას, ფედერატიულ სახელმძღვანელო ორგანოების კიდევ უფრო გაძლიერებას.

ამიერ - კავკასიის ფედერაცია უნდა იქნას მასში შემავალ რესპუბლიკების ეკონომიური განვითარების ინტერესთა მთლიანობის სრული გამოხატულება.

პარტიის გენერალური ხაზის საფუძველზე, ლენინური ნაციონალური პოლიტიკის დროშის ქვეშ საოლქო კომიტეტის ბოლშევიკური ხელმძღვანელობით განვაგრძოთ მედგარი ბრძოლა ფედერაციის სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისათვის.

ა.-კ. ფედერაციის ცხრა წელი

დღეს შესრულდა ცხრა წელი ა.-კ. ფედერაციას, რომელიც წარმოიშვა დაშნაკელების, მუსავატელების და მენშევიკების მიერ სისხლისაგან დაცლილი ქვეყნის ნანგრევებზე.

ა.-კ. წარსულში იყო—მშრომელი მასებისათვის გაუწყვეტელი უბედურების, ხოცვა-ჟლეტის, კლასობრივი და ნაციონალური ჩაგვრის, ეკონომიური სილატაკის და მოსპობის ქვეყანა.

მეფის მთავრობა ყოფილი კავკასიის ტერიტორიაზე გზავნიდა თავის „ნამესტნიკებს"; ა.-კ. იყო ცარიზმის კოლონია. არნახული და არგაგონილი მეთოდებით ითელებოდა ფეხქვეშ ადგილობრივი მოსახლეობის ელემენტარული ეროვნული უფლებები.

მოხდა 1917 წლის თებერვლის რევოლიუცია.

ა.-კ. მშრომელი მასები ელოდნენ რევოლიუციისაგან თავიანთ გათელილ უფლებების აღდგენას, ერთა შორის გაღვივებული მტრობის მოსპობას და მშვიდობიან ცხოვრებას.

მაგრამ რა მოხდა სინამდვილეში?

ჩამოყალიბდა ა.-კ. სეიმი, რომელშიაც შევიდნენ ქართველი, სომეხი და აზერბეიჯანელი სოციალ-გამცემლები —დახლოვებული ლაქიები ბურჟუაზიისა. მალე სეიმიც დაიმსხვრა.

ა.-კავკასიის სოციალ-გამყიდველები სამარცხვინოდ გაექცნენ ოქტომბრის რევოლიუციას და შექმნეს საკუთარი „დემოკრატიული რესპუბლიკები".

რა ფასი ჰქონდა ამ „რესპუბლიკებს" და როგორ დაუჯდა ეს ა.-კავკასიის პროლეტარიატს?

ურთიერთ ხოცვა-ჟლეტა, სოფლების ცეცხლით განადგურება, განუწყვეტელი ომები, ეროვნული შურის გაღვივება, რელიგიური ფანატიზმის გაძლიერება, უცხოელი ჯარების თარეში, მშრომელი მასების გაძარცვა, შიმშილი, ქვეყნის გაპარტახება და განადგურება—აი, ეს იყო მოკლედ მენშევიკების, დაშნაკელების და მუსავატელების ბატონობის დღეები ა.-კავკასიაში.

ისინი გაექცნენ ოქტომბერს, მაგრამ ოქტომბრის ხელი მისწვდა მათ.

ძმათა სისხლის ღვრით სულშეხუთული, მშვიდობიანობას მოწყურებული ა.-კავკასიის მშრომელი მასები ელოდნენ თავიანთ ოქტომბერს.

მათი მოლოდინი არ გაცრუვდა.

პროლეტარიატის ძლევა-მოსილებამ დაამსხვრია მუსავატური აზერბეიჯანი, დაშნაკური სომხეთი და მენშევიკური საქართველო.

1922 წლის 12 მარტს ა.-კავკასიაში შემავალი რესპუბლიკები გაერთიანდენ ა.-კავკასიის ფედერაციის სახით. ეს იყო უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური ფაქტი.

აყაყანდენ ყველა ჯურის ნაციონალისტები და შავბნელი ძალები. როგორც ვიცით, ჩვენი პარტიის რიგებშიაც ჰქონდა ადგილი მერყეობას.

მაგრამ სინამდვილემ უმოწყალოდ დაამსხვრია ამ ვაჟბატონების „წინასწარმეტყველებანი" და ა.-კ. ფედერაციის ძლიერება—დღეს აღარ შეუძლია უარყოს ჩვენს მტრებსაც კი.

გიგანტიური ნაბიჯებით მიდის წინ ა.-კ. ფედერაცია სახ. მეურნეობის ყველა დარგებში. არნახული ტემპებით ვითარდება მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ხელოვნება და მეცნიერება. საკმარისია ითქვას, რომ ა.-კ.-ში დღეს არის 32 უმაღლესი სასწავლებელი.

ყოველი რესპუბლიკა სავსებით დამოუკიდებლად ანვითარებს თავისი ფორმით ნაციონალურს, ხოლო შინაარსით ინტერნაციონალურ კულტურას.

ა.-კ. ფედერაცია ეს საუკეთესო ნიმუშია ერთა შორის სოლიდარობისა.

ა.-კ. ფედერაცია ეს ურყევი ციხე-კოშკია, რომელსაც ამაოდ შესცქერიან დასავლეთის მგლები. მაგრამ ამაოდ, მსოფლიო ბურჟუაზიის ბინძური ხელები ვეღარასოდეს ვერ შეეხებიან ბაქოს ნავთს, ჭიათურის მარგანეცს, და ა.-კ. სხვა სიმდიდრეებს.

სულ ცოტა ხანია მას შემდეგ, რაც ჩვენმა რესპუბლიკებმა იზეიმეს თავისი არსებობის ათი წლის თავი. იმ მიღწევათა გამოფენა, რომელიც მოაწყვეს ა.-კავკასიის რესპუბლიკებმა თავისი არსებობის ათი წლის თავზე,—საუკეთესო მაჩვენებელია ჩვენი ზრდისა და ძლიერების.

ყოველივე ეს შესაძლებელი გახდა ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის მტკიცედ გატარების ნიადაგზე და დაუნდობელი ბრძოლით ყველა ჯურის ოპორტუნისტებთან.

ჩვენმა პარტიამ ეროვნული საკითხი გადასჭრა ლენინურად; ჩვენმა პარტიამ გადაუწყვეტი ბრძოლა გამოუცხადა დიდმპყრობელურ შოვინიზმს და ადგილობრივ ნაციონალიზმს.

ა.-კ. ფედერაციის შემდგომი განმტკიცება, დამკვრელი ტემპებით შეერთებული ბრძოლა საბჭოთა კავშირის პროლეტარიატთან ერთად ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელში განხორციელებისათვის—აი ჩვენი ლოზუნგი დღეს.

წინ, ჩვენი პარტიის დროშით სოციალიზმის დასამყარებლად მთელ მსოფლიოში!

პ. მელაძე.

ა.-კ. ბიუჯეტი ყოველ წლიურად იზრდება

(საუბარი ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარის მოადგილე—ამხ. ხუმარიანთან)

— ამიერ-კავკასიის ფედერაციის დაარსებით—სთქვა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ამხ. ხუმარიანმა—დაწესებული იქნა ამიერ-კავკასიის მთლიანი სამეურნეო და საფინანსო პოლიტიკის საფუძვლები.

პირველი ძირითადი დეკრეტი, რომელმაც გარკვეულობა და სიმტკიცე შეიტანა ფინანსებში, იყო ამიერ-კავკასიის ცაკის და სახკომსაბჭოს 1929 წლის 2 აპრილის დეკრეტი, რომლითაც გამიჯნული იქნა, ერთის მხრივ, ადგილობრივი, რესპუბლიკანური და ფედერატიული შემოსავალი, ხოლო მეორეს მხრივ —დაწესებულებები და ღონისძიებები, რომელთა შენახვაც ეკისრება ადგილობრივ, რესპუბლიკანურ და ფედერატიულ ბიუჯეტს.

ამიერ-კავკასიის ფედერაციის დაარსების დროიდან, მთელი სახალხო მეურნეობის ზრდასთან და გაძლიერებასთან ერთად, განსაზოგადოებული სექტორის სისტემატიურ ზრდასთან ერთად, ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ბიუჯეტის და ადგილობრივი ბიუჯეტების როლი ქვეყნის მეურნეობის სოციალისტურ საფუძველზე გარდაქმნის საქმეში ყოველწლიურად იზრდებოდა. თუ 1924—25 წელში ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ბიუჯეტი გამოიხატებოდა 48,6 მილიონ მანეთში, 1931 წელში მან უკვე მიაღწია 276,8 მილიონ მანეთს. სახელმწიფო ბიუჯეტი, ამრიგად, გაიზარდა თითქმის ექვსჯერ (569,5 პროცენტით).

იმავე დროის განმავლობაში ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკაში შემავალ რესპუბლიკების ადგილობრივი ბიუჯეტები 49.800 ათას მანეთიდან გაიზარდა 203.263 ათას მანეთამდე, ე. ი. 4-ჯერ მეტად (408,2 პრ). განვლილ პერიოდში ძირიანად შეიცვალა ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ბიუჯეტის და ადგილობრივი ბიუჯეტების შინაგანი სტრუქტურაც. ევოლიუცია სახელმწიფო ბიუჯეტის და ადგილობრივი ბიუჯეტების საგასავლო ნაწილისა, რომელიც ასრულებდა სახალხო მეურნეობის რესურსების განაწილების ფუნქციებს, ნათლად ასურათებს საბჭოთა ხელისუფლების მთელ პოლიტიკას ქვეყნის სამეურნეო მშენებლობის დარგში.

თანხების უდიდესი ნაწილი ყოველ-წლიურად ხმარდებოდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ამოცანების შესრულებას.

ამის გამო, სახელმწიფო ბიუჯეტის და ადგილობრივი ბიუჯეტების საგასავლო ნაწილი მთელი ამ დროის განმავლობაში ვითარდებოდა იმ მხრივ, რომ იზრდებოდა ხარჯები საწარმოო საჭიროებისათვის, უმთავრესად მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისათვის. ამასთან დაკავშირებით სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის გადადებულ თანხების ხვედრითი წონა ყოველ წლიურად იზრდება.

ამავე დროს სახელმწიფო ბიუჯეტი და ადგილობრივი ბიუჯეტები საშუალებების მნიშვნელოვან ნაწილს ახმარდენ სოციალურ-კულტურულ საჭიროებებს, რითაც უზრუნველყოფილი იყო ამ სფეროში ფართო ღონისძიებების გატარება სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის და მიწათმოქმედების დარგში. თანხები ასეთ საჭიროებებზე ყოველწლიურად იზრდებოდა.

1924-25 წელში სახელმწიფო ბიუჯეტსაც და ადგილობრივ ბიუჯეტებსაც ჯერ კიდევ სამომხმარებლო ხასიათი ჰქონდათ; ეს მდგომარეობა განვლილი დროის განმავლობაში ძირიანად შეიცვალა. თუ 1924-25 წელში სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახალხო მეურნეობაზე იხარჯებოდა მხოლოდ 8,3 პროცენტი, 1931 წელში ბიუჯეტი ამ მიზნისათვის ითვალისწინებს უკვე 40 პროცენტს. 14.700 ათას მანეთის ნაცვლად სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე 1931 წელში ბიუჯეტით გათვალისწინებულია 74.160 ათასი მანეთი.

1924-25 წელში ადგილობრივი ბიუჯეტები საწარმოო საჭიროებისათვის ითვალისწინებდნენ მთელი თავისი თანხების 7,8 პროცენტს, 1931 წელში ამავე მიზნისათვის გათვალისწინებულია მთელი თანხების 60 პროცენტი. ამასთან ერთად მნიშვნელოვნად გაიზარდა ხარჯები სოციალურ - კულტურულ საჭიროებებზე. ასე, მაგალითად, — 19.094 ათას მანეთის მაგივრად მიმდინარე წელში დაიხარჯება 79.394 ათასი მანეთი, ე. ი. 315.8 პროც. ამავე დროს სამმართველო ხარჯები ადგილობრივ ბიუჯეტში 20.7 პროცენტიდან შემცირებულია 10,7 პროცენტამდე, ე. ი. ორჯერ.

ა.-კ. ფედერაციის ინდუსტრიალიზაცია სწრაფი ტემპით სწარმოებს

ამიერ-კავკასიის ფედერაციის 9 წელი— ეს არის ცხრა წელი ამიერ-კავკასიის ხალხთა ინტერნაციონალური ძმობისა, ეს არის ცხრა წელი ეროვნული მშვიდობიანობის განმტკიცებისა და გაძლიერებისა. ამიერ-კავკასიის ფედერაცია არის ნიმუში იმისა, თუ როგორ უნდა იქნეს გადაწყვეტილი ნაციონალური საკითხი სწორი ლენინური პოლიტიკის საფუძველზე.

ამიერ-კავკასიის მუშათა კლასს და მშრომელ გლეხობას ახსოვთ ის მდგომარეობა, რომელიც იყო აქ მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატელების—კაპიტალიზმის ამ ლაქიების—ბატონობის დროს, მათ ახსოვთ ის ნაციონალური ხოცვა-ჟლეტა და სისხლის-ღვრა, რომელსაც აწყობდნენ აქ მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენლები. მათ ახსოვთ, თუ როგორ სილატაკემდე მიიყვანეს მენშევიკ-დაშნაკ-მუსავატელებმა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სახალხო მეურნეობა.

ამიერ-კავკასიის მუშებმა და გლეხებმა საბოლოოდ მოიშუშეს მძიმე იარები და შეუდგნენ აოხრებული სახალხო მეურნეობის აღდგენა-განვითარებას. ამიერ-კავკასიის ფედერაციის განვლილი ცხრა წელი არის წლები ამიერ-კავკასიის მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის თავდადებული ბრძოლისა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და რეკონსტრუქციისათვის. ამიერკავკასიის მშრომელები გააფთრებით იბრძვიან სოციალიზმის საძირკვლის და ნაციონალური მშვიდობიანობის განმტკიცებისათვის. ამ ბრძოლას, ამ მუშაობას ისინი აწარმოებენ ხელიხელ ჩაკიდებული საბჭოთა კავშირის ყველა დანარჩენ მშრომელებთან ერთად.

ამ ბრძოლის და მუშაობის ნაყოფი ყველასათვის ნათელია, ბუმბერაზული ნაბიჯებით იზრდება მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და სახალხო მეურნეობის ყველა სხვა დარგები. ამიერ-კავკასია აგრარული ქვეყნიდან თანდათან ხდება ინდუსტრიალურ ქვეყნად. სწრაფად იზრდება ინდუსტრიის ახალი გიგანტების რიცხვი.

ამ ზრდის სურათი განსაკუთრებით თვალსაჩინო იქნება, თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ ზოგიერთ ციფრებს და შევადარებთ არსებულ მდგომარეობას წინა წლების მდგომარეობასთან.

1929-30 წელში ამიერ-კავკასიის მთელი სახალხო მეურნეობის პროდუქცია გამოიხატებოდა 1.667.400.000 მანეთში. 1931 წელში ის გაიზრდება 2.399 მილიონ მანეთამდე—ზრდა 44 პროცენტით. მარტო მრეწველობის პროდუქცია იმავე წლებში შეადგენს 1.031 მილიონ მან. და 1553 მილიონ მანეთს, რაც იძლევა ზრდას 50,7 პროცენტით.

თუ ავიღებთ მარტო იმ მრეწველობას, რომელიც ექვემდებარება ამიერ-კავკასიის სმუს, აქ ზრდა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია. აქ სჩანს საბჭოთა მთავრობის ძირითადი ხაზი—წინ წამოსწიოს ყოფილი რუსეთის წინანდელი კოლონიალური ნაწილი, წინ წამოსწიოს და განავითაროს ინდუსტრია განაპირა ნაციონალურ რაიონებში.

1928-29 წელში ამიერ-კავკასიის სმუ საბჭოს მრეწველობის მთელი საერთო პროდუქცია უდრიდა 100,3 მილიონ მანეთს, 1929-30 წელში 175 მილიონ მანეთს, ზრდა 65 პროც.; 1931 წელში პროდუქციის ღირებულება მიაღწევს 282 მილიონ მანეთს, ე. ი. ზრდა გვექნება 80 პროც. ეს ნიშნავს, რომ ერთი წლის განმავლობაში პროდუქცია თითქმის ორჯერ გაიზრდება. ამასთანავე აქ ზრდას უმთავრესად ადგილი ექნება მძიმე მრეწველობაში, რომელიც ამზადებს საწარმოო საშუალებებს.

ამიერ-კავკასიის მძიმე მრეწველობის ზრდა უკანასკნელ წლებში შემდეგ სურათს იძლევა: 1928-29 წელში საერთო პროდუქციის ღირებულება უდრიდა 45,8 მილიონ მანეთს, 1929-30 წელში—64 მილიონ მანეთს, 1931 წელში კი გვექნება 117.8 მილიონი მანეთი—ზრდა 84 პროცენტით.

მსუბუქ მრეწველობაში, რომელიც ამზადებს მოხმარების საგნებს, მიმდინარე წელში ჩვენ გვექნება პროდუქციის ზრდა 63 პროცენტით. იმ დროს, როდესაც 1928-29 წელში პროდუქციის ღირებულება გამოიხატებოდა 54 მილიონ მანეთში, 1931 წელში ეს თანხა მიაღწევს 165 მილიონ მანეთს.

ეს ციფრები მოწმობენ, რომ ამიერ-კავკასია ინდუსტრიალიზაციის მხრივ წინ უსწრებს საბჭოთა კავშირს, ამიერ-კავკასია, როგორც უკვე ვსთქვით, აგრარულ ქვეყნიდან თანდათან ხდება ინდუსტრიალურ ქვეყნად.

მოყვანილი ციფრები ნათლად ასურათებენ ჩვენს ზრდას. მაგრამ იბადება კითხვა— საით ვიზრდებით ჩვენ? განსაზოგადოებული სექტორის ხვედრითი წონა ამტკიცებს, რომ მრეწველობის საერთო პროდუქცია განსაზოგადოებულ სექტორში 1929-30 წელში შეადგენდა 87,6 პროცენტს, 1931 წელში კი შეადგენს 91,3 პროცენტს, ე. ი. კერძო სექტორი თანდათან ისპობა.

ამიერ-კავკასიის მრეწველობის ძირითადი დარგია ნავთი და სწორედ ამ დარგში გვაქვს ჩვენ ზრდის მეტად სწრაფი ტემპები. იმ დროს, როდესაც ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელთაც პირველი ადგილი უჭირავთ მსოფლიოში ნავთის ამოღების მხრივ, ადგილი აქვს ნავთის ამოღების შემცირებას 19 პროცენტით, ჩვენში ნავთის ამოღება განუწყვეტლივ იზრდება. 1929 წელში ამოღებულ იქნა 8.665 ათასი ტონა, 1930 წელში ამოღებული იყო 11,019,000 ტონა და მიმდინარე წელში გათვალისწინებულია 15.327.000 ტონას ამოღება—ზრდა გამოიხატება 39 პროცენტში.

ნავთის მრეწველობის დარგში ხუთწლიანი გეგმა ხუთი წლის მაგივრად შესრულებული იქნება ორნახევარ წელიწადში. მიმდინარე წლის პირველ იანვრისათვის ეს გეგმა უკვე შესრულებული იყო 94 პროც.

თუ ავიღებთ მთელ მრეწველობას, ხუთწლიანი გეგმის შესრულება საერთო პროდუქციის ზრდაში გასული ორი წლის განმავლობაში იძლევა 68 პროცენტს, ანუ 34 პროცენტს წელიწადში. 1931 წელში ხუთწლიანი გეგმა საერთო პროდუქციის დარგში მთლიანად იქნება დაფარული.

რა უწყობს ხელს მრეწველობის ასეთ სწრაფ ზრდას 1931 წელში? ის, რომ წელს პირველად ამუშავდა და ამუშავდებიან ახალი საწარმოები, რომელთა მშენებლობა დაიწყო ხუთწლედის პირველ წელში. ხუთწლედის გასული ორი წლის განმავლობაში ამუშავდა შემდეგი საწარმოები: ბათომის ნავთის გადასახაჩავი ქარხანა, მთელი რიგი ნავთის გადასახაჩავი ქარხნები ბაქოში, ზეთის ქარხნები ბაქოში, ბაქო-ბათომის ნავთსადენი, ცემენტის ქარხანა კასპში, ამასთანავე მთლიანად გადაკეთებულია კიშლის და ტაუზის ცემენტის ქარხნები აზერბეიჯანში. წელს ამუშავდება დავალინის ცემენტის ქარხანა. ფართოვდება ანდეზიტის სამუშაოები, შენდება მთელი მუშათა ქალაქი სათანადო მექანიზაციით. ბარიტის დამუშავება გაფართოებულია იმდენად, რომ წელს მივიღებთ 100 ათას ტონა ბარიტს. გაფართოვდა გუმბრინის დამუშავებაც იმდენად, რომ მან მთლიანად უნდა დააკმაყოფილოს აზნავთის საჭიროება. ამუშავდა თბილისის მაუდის ფაბრიკა, საფეიქრო ფაბრიკები ლენინაკანში და განჯაში. წელს ამუშავდება რიონჰესი და ძორაჰესი, ფართოვდება ბაქოს ელექტროსადგურები. წელსვე უნდა დამთავრდეს ფერომარგანეცის ქარხნის მშენებლობა. სწარმოებს ზაჰესის გაფართოება, ამიერ-კავკასიის რკინის გზების ელექტროფიკაცია, აგებულია მთელი რიგი საკონსერვო ქარხნები და სხვ.

ყველა ამან, რასაკვირველია, გამოიწვია კაპიტალურ დაბანდებათა გადიდება მრეწველობაში. 1928-29 წელში ამიერ-კავკასიის მრეწველობაში დაბანდებული იყო 214 მილიონი მანეთი, 29-30 წელში—258 მილიონი მანეთი, მიმდინარე წელში კი დაბანდებათა თანხა მიაღწევს 270 მილიონ მანეთს. ელექტროფიკაციასთან ერთად მრეწველობაში დაბანდებული იქნება 315 მილიონი მანეთი, წინააღმდეგ 282 მილიონისა, რომელიც იყო შარშან.

რაც შეეხება ელექტროფიკაციას, ჩვენ ამ დარგშიაც უდიდესი მიღწევები გვაქვს. ასე, მაგალითად, 1929 წელში ამიერ-კავკასიის ელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული იქნა 484 ათასი კილოვატ-საათი, 1930 წელში—572 ათასი კილოვატ-საათი, —ზრდა 68 პროც., წელს ახალი ელექტრო სადგურების ამუშავებასთან დაკავშირებით გამომუშავებული იქნება 996 ათასი კილოვატ-საათი, ე. ი. **ხუთწლიანი გეგმა შესრულებული იქნება 101,7 პროცენტით. ამრიგად ელექტრო[illegible] დარგში ხუთწლიანი გეგმა შესრულდება სამ წელიწადში.**

როგორც უკვე ვსთქვით, წელს ამუშავდება რიონჰესი და ძორაჰესი, ფართოვდება ზაჰესი და განჯის სადგური. ამასთანავე შენდება კანაკირის სადგური სომხეთში. წელს განახლდება მუშაობა აჭარის-წყალის სადგურზე და იწარმოებს დაჩქარებით მუშაობა ბაქოს სადგურების გასაფართოებლად. მაგრამ ყოველივე ეს მაინც არ არის საკმარისი ჩვენი მრეწველობის გადიდებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. საჭიროა მთელი რიგი სხვა სადგურების აგება. უკვე დაწყებულია ზოგიერთი ახალი სადგურების პროექტების დამუშავება. ეს სადგურებია: ალპანის სადგური მდ. რიონზე და საქართველოს მომწესრიგებელი ცენტრალი—თაფარავანის ანდა ხრამის სადგური. ამჟამად სწარმოებს დისკუსია იმის შესახებ, თუ რომელი სადგურის მშენებლობა უნდა დაიწყოს პირველ რიგში. პირველ რიგში, ალბად, დაიწყება ხრამის ჰიდროსადგურის აგება, რომლის სიმძლავრეც იქნება 100 ათასი ცხენის ძალა. სწარმოებს მუშაობა სევანის ტბის გამოსაყენებლად, რომელმაც საბოლოო ანგარიშში უნდა მოგვცეს ათეული ათასობით კილოვატ-საათი ელექტრო ენერგია.

მ. ლ—ძე.

ა.-კ. სოფლის მეურნეობა

სოციალისტური რეკონსტრუქციის გზაზე

ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობა, ისევე როგორც მრეწველობა, უკანასკნელი წლების განმავლობაში სწრაფ ზრდას განიცდის. ეს ზრდა ნათლად წარმოგვიდგება, თუ ავიღებთ ზოგიერთ ციფრებს. მთელი ნათესი სივრცე 1913 წელში შეადგენდა 2.075 ათას ჰექტარს, 1928 წელში— 2.158.192 ჰექტ., 1929 წელში 2.210 ათას ჰექტარს, 1930 წელში— 2.334 ათას ჰექტარს, ანუ ხუთწლიანი გეგმის 86 პროცენტს, ხოლო 1931 წელში კი განზრახულია 2.732 ათასი ჰექტარი, ანუ ხუთწლიანი გეგმის 102 პროცენტი. ზრდა წინა წელთან შედარებით იძლევა 17 პროცენტს.

ნათესების ფართობის გადიდების მხრივ ამიერ-კავკასია წინ უსწრებს საბჭოთა კავშირს. თუ ჩვენ გადავხედავთ ტეხნიკური კულტურების სივრცეს, დავინახავთ, რომ აქაც უდიდეს ზრდას აქვს ადგილი: 1929 წელს ამიერ-კავკასიაში ტეხნიკური კულტურები შეადგენდნენ 152,9 ათას ჰექტარს, 1930 წელში—211,7 ათას ჰექტარს, 1931 წელში კი ტეხნიკური კულტურების სივრცე აყვანილი იქნება 400 ათას ჰექტარამდე —ზრდა გამოიხატება 85 პროცენტში

მიუხედავად იმისა, რომ ტეხნიკური კულტურების სივრცე გასულ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა, ეს ზრდა მაინც ჩამორჩებოდა ხორბლეულ კულტურების სივრცის ზრდას.

ხორბლეულ კულტურების ნათესების გაფართოების ხუთწლიანი გეგმა 1930 წელში უკვე შესრულებული იყო 94 პროცენტით. ტეხნიკურმა კულტურებმა კი მოგვცეს მხოლოდ 56 პროცენტი, ე. ი. ტეხნიკური კულტურები თავის ზრდა-განვითარებაში ჩამორჩენ ხორბლეულ კულტურებს, ამიერ-კავკასიას კი სწორედ ტეხნიკური კულტურები ესაჭიროება.

საბჭოთა კავშირში ამიერ-კავკასია საუკეთესო ადგილს წარმოადგენს ტეხნიკური კულტურების განვითარებისათვის. ამიტომ სოფლის მეურნეობის ამ დარგს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. სწორედ ეს მოსაზრება უდევს საფუძვლად მიმდინარე წლის გეგმას, რომელიც ითვალისწინებს ტეხნიკური კულტურების სივრცის გადიდებას 400 ათას ჰექტარამდე.

თვით ტეხნიკურ კულტურებიდან ამიერკავკასიის პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს ბამბას. ბამბისათვის ბრძოლა შემდეგნაირად მიმდინარეობდა: 1928 წელს ამიერკავკასიაში ბამბით სულ დათესილი იყო 131,6 ათასი ჰექტარი, 1929 წელს —129 ათასი ჰექტარი, 1930 წელს—160 ათასი ჰექტარი, მიმდინარე წელს კი გათვალისწინებულია 250 ათასი ჰექტარის დათესვა.

ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგია მესაქონლეობა. მესაქონლეობის პრობლემა ჯერ კიდევ არ არის მთლიანად გადაჭრილი. ამ დარგში ადგილი აქვს ჩამორჩენას. განზრახულია პირუტყვის რაოდენობის გადიდება 5 პროცენტით. მესაქონლეობის განვითარებისათვის აუცილებელია საკვების მტკიცე ბაზის შექმნა. ამ მიმართულებით უკვე გადადგმულია სათანადო ნაბიჯები და მიმდინარე წელმა უნდა შექმნას საჭირო პირობები გარდატეხის მოსახდენად მესაქონლეობის განვითარებაში.

ჩვენ არა თუ აღვადგინეთ მენშევიკ-მუსავატელების მიერ დანგრეული სოფლის მეურნეობა, არამედ შევუდექით მის რეკონსტრუქციას სოციალისტურ საფუძვლებზე. თუ როგორ იზრდება სოციალისტური სექტორი სოფლად, ამის ნათელ სურათს იძლევა საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების განმტკიცება და ზრდა. 1928 წელს ამიერკავკასიაში საბჭოთა მეურნეობებს ჰქონდათ 8.9 ათასი ჰექტარი მიწა, 1929 წელს —9.2 ათასი ჰექტარი, 1930 წელს—19,6 ათასი, 1931 წელს კი განზრახულია საბჭოთა მეურნეობების მიწების სივრცის აყვანა 110 ათას ჰექტარამდე. საბჭოთა მეურნეობების პროდუქციის ხვედრითი წონა სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციაში იმავე წლებში უდრიდა 0,6, 1, 3 და 5,1 პროცენტს. 1929 წელს ამიერ-კავკასიაში სულ იყო 59 საბჭოთა მეურნეობა, 1930 წელს—137 და 1931 წელს იქნება—243.

რაც შეეხება საკოლმეურნეო მოძრაობას, აქ ჩვენ შემდეგი მიღწევები გვაქვს. 1928 წელს კოლმეურნეობები შეადგენდენ ყველა გლეხურ მეურნეობების 0,8 პროცენტს, 1929 წელში—2,6 პროცენტს,1930 წელში—17,6 პროცენტს, 1931 წლის პირველი თებერვლისათვის კი იყო უკვე 20,2 პროცენტი. სულ ყველა ამ კოლმეურნეობებში გაერთიანებულია 190 ათასი გლეხური მეურნეობა. წელს ამ მეურნეობების რიცხვი გადიდებული იქნება 250 ათასამდე. **საკოლმეურნეო მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა შესრულებული იქნება ორ წელიწადში.**

კოლექტიურ მეურნეობებს 1928 წელში ჰქონდათ 12,9 ათასი ჰექტარი მიწა, 1929 წელში—45 ათასი ჰექტარი, 1930 წელში— 312 ათასი ჰექტარი, ხოლო 1931 წელში ექნებათ 629 ათასი ჰექტარი. ამავე დროს კოლმეურნეობებში იზრდება პირუტყვის რაოდენობაც.

ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მთელი საბჭოთა კავშირისათვის. ამიერ-კავკასია თავისი კლიმატიური პირობებით სუბტროპიკების რაიონს წარმოადგენს. ეს ერთად-ერთი ადგილია საბჭოთა კავშირში, სადაც ფართოდ შეიძლება ძვირფას ტეხნიკურ კულტურების გაშენება. ამით აიხსნება, რომ კაპიტალურ დაბანდებათა თანხა ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობაში წელს მნიშვნელოვნად არის გადიდებული. თუ შარშან ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობაში დაბანდებული იყო 116 მილიონი მანეთი, წელს ეს თანხა გადიდებულია 220 მილიონ მანეთამდე. ზრდა გამოიხატება 90 პროცენტში.

მისალმებები

ა.-კ. ფედერაციის ცხრა წლის თავის გამო

საკ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს

ამიერ-კავკასიის ფედერაციის ცხრა წლის თავზე, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მხურვალე სალამს უგზავნის ამიერ-კავკასიის ფედერაციის ორგანიზატორს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების მებრძოლ შტაბს—საკ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს.

ამიერ-კავკასიის მშრომელებმა, რომლებმაც დაამსხვრიეს იმპერიალიზმის მტაცებლების და მათი დამქაშების—მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატისტების მონობის უღელი, თავიანთი მოწინავე რაზმის—კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაამყარეს პროლეტარული დიქტატურა, საბჭოების ხელისუფლება. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობით შექმნილი ამიერ-კავკასიის სფს რესპუბლიკა წარმოადგენს სოციალისტური მშენებლობის მძლავრ იარაღს, მოწინავე პოსტს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიადი კავშირის განუყრელ ნაწილს — მრავალერებიან ამიერ-კავკასიის მშრომელ მასების ინტერნაციონალური მთლიანობის გამომხატველს.

ამიერ-კავკასიის სფს რესპუბლიკა, რომელმაც განვლო პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების და მკვიდრი ნაციონალური მშვიდობიანობის დამყარების სახელოვანი გზა, შევიდა ამიერ-კავკასიის ფედერაციის არსებობის მეათე წელში, ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელში, როცა მშრომელთა წინაშე დგას სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენების დამთავრების ამოცანა.

ამიერ-კავკასიის ფედერაცია თავის ცხრა წლის თავს ხვდება საკ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობით მოპოვებული უდიდესი მიღწევებით ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების პოლიტიკური სიძლიერის განმტკიცების, სამეურნეო ზრდის და კულტურული განვითარების დარგში. სოციალიზმის გადამწყვეტი შეტევა კაპიტალისტურ ელემენტებზე, მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე, კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისათვის პირობების მომზადება, ახალი ეტაპი ამიერ-კავკასიის ფედერაციის განვითარებაში—მისი ეკონომიური ბაზის განმტკიცება—იწვევს კლასობრივი მტრების გააფთრებულ წინააღმდეგობას და ნაციონალიზმის გამოცოცხლებას, რომელნიც ცდილობენ ჩაშალონ სოციალისტური მშენებლობა და დაანგრიონ ამიერ-კავკასიის ფედერაცია.

პარტიის ყველაზე ნაკლებად მტკიცე ელემენტებში კლასობრივი მტრის ეს ზეგავლენა იწვევს მემარჯვენე—„მემარცხენე" ოპორტუნისტულ მერყეობას და ძველი ნაციონალ-უკლონიზმის გამოცოცხლებას, რომელნიც პარტიამ თავის დროზე გაანადგურა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი სიტყვას იძლევა, რომ საქართველოს კომპარტია შემდეგშიც იქნება ა. კ. საოლქო კომიტეტის საიმედო დასაყრდენი საკ. კ. პ. (ბ) ცენტ. კომიტეტის ლენინური ხაზის გატარების საქმეში. ბოლშევიკური საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობით ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციები გადამწყვეტ ბრძოლას გასწევენ ყოველგვარი ოპორტუნისტული გამოსვლების წინააღმდეგ, ლენინური ნაციონალური პოლიტიკისათვის. სომხეთის, აზერბეიჯანის და საქართველოს მშრომელნი, ინტერნაციონალური მთლიანობით გამსჭვალულნი, ჩაებმებიან ბრძოლებში ახალ-ახალი გამარჯვებისათვის, ინდუსტრიალიზაციისათვის, სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულებისათვის, ბოლშევიკური გაზაფხულის სრული წარმატებისათვის, კოლექტივიზაციისათვის, სოციალიზმისათვის.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკას!

გაუმარჯოს ლენინის პარტიას და მის ბელადს ამხ. სტალინს!

გაუმარჯოს საკ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს— ამიერ - კავკასიის ბოლშევიკების შტაბს!

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი.

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმს

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ესალმება ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს ამიერ-კავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ფედერატიული კავშირის დაარსების 9 წლის თავის გამო, იმ ფედერატიული კავშირის, რომელიც შეიქმნა ამიერ-კავკასიის ყველა ეროვნებათა მშრომელების რევოლიუციონური ენტუზიაზმით. ოქტომბრის რევოლიუციამ საბოლოოდ გაანადგურა მეფის თვითმპყრობელობის ყველა ნაშთები და დაშნაკურ-მუსავატისტურ-მენშევიკური მემკვიდრეობის ყველა შედეგები, გაანთავისუფლა ამიერ-კავკასიის ჩაგრული ერები და თვითგამორკვევის უფლება მიანიჭა მათ. პროლეტარიატის დიქტატურამ დაამხო მჩაგვრელთა ბატონობა, დაამყარა მუშათა და გლეხთა რევოლიუციონური ხელისუფლება დ აზერბეიჯანის სომხეთის და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკების და ამ რესპუბლიკებში შემავალ ავტონომიურ ერთეულების ფედერაციის საშუალებით განამტკიცა ამიერ-კავკასიის ხალხთა ეროვნული მშვიდობიანობა და შექმნა პირობები ძმური თანაცხოვრებისა და საერთო ბრძოლისთვის მუშურ-გლეხური ხელისუფლების მტრების წინააღმდეგ.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკას—ხალხთა სოლიდარობის და ეროვნული მშვიდობიანობის სიმბოლოს!

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირს!

სრ. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე:
ფ. მახარაძე.

ა.-კ. ს. ფ. ს. რ-ის ცაკს და სახკომსაბჭოს

ამიერ-კავკასიის ფედერაციის 9 წლის თავზე, საქართველოს სახკომსაბჭო—მშრომელების—მუშების, კოლმეურნეების და ღარიბ-საშუალო მასების სახელით მხურვალე სალამს უგზავნის ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და ამიერ კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს.

ამიერ-კავკასიის ფედერაციის განვლილი 9 წელი—ესაა დიადი ისტორიული მნიშვნელობის წლები, —წლები , რომელთა განმავლობაში ამიერ-კავკასიის პროლეტარიატმა უდიდეს წარმატებას მიაღწია სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე და ფაქტიურად განახორციელა მრავალერიან ამიერ-კავკასიის ყველა ეროვნებათა მშრომელების მთლიანობის და ძმური თანაცხოვრების ლენინური ნაციონალური პოლიტიკა; წლები, როდესაც წარმოებდა ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების და ამ რესპუბლიკების ნაცუმცირესობებით დასახლებულ ცალკე რაიონების სწრაფი სამეურნეო და კულტურული აღორძინება.

საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის მუშათა კლასმა, რომელმაც ისტორიის ჩანაგვე ყუთში გადაისროლა პროლეტარიატის კლასობრივი მტრები—დაშნაკები, მუსავატისტები და მენშევიკები, ამიერ-კავკასიის მძლავრი ფედერაციის შექმნით, ბოლო მოუღო ეროვნებათა შორის შუღლს, ველურ შოვინისტურ აღვირახსნილობას და ნაციონალურ უმცირესობათა ჩახშობას, რასაც ადგილი ჰქონდა მუშათა კლასის ამ ჯალათების უსახელო ბატონობის დროს. მთელი საბჭოთა ამიერ-კავკასიის მშრომელებს, რომელნიც სოციალიზმის პერიოდში შევიდნენ მთელ ფრონტზე გაშლილი შეტევის დროშით, მაღლა უჭირავთ ინტერნაციონალიზმის ლენინური დროშა.

უდიდესი მიღწევები მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დარგში, სამრეწველო მშენებლობის განვითარება, მსხვილი ინდუსტრიის ახალი კერების შექმნა, საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების მშენებლობის ზრდა, ტეხნიკური კულტურების ბუმბერაზული ზრდა, რაც უზრუნველყოფს ჩვენს დამოუკიდებლობას კაპიტალისტური ქვეყნებისაგან, ა.-კ. ს.ფ.ს.რ.-ის მშრომელთა კულტურული დონის ზრდა და მატერიალურ საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება —ყოველივე ეს მიღწეულია ამიერ-კავკასიის სამეურნეო გაძლიერების პოლიტიკის მტკიცედ გატარების საფუძველზე, პარტიის გენერალური ხაზისათვის ორ ფრონტზე ბრძოლაში,—ბრძოლაში მემარჯვენე გადახრის, როგორც ახლანდელ ეტაპზე, მთავარი საფრთხის, წინააღმდეგ, „მემარცხენე" ნახტომების წინააღმდეგ და პარტიის ხაზიდან ყოველგვარ მემარჯვენე-„მომემარცხენო" გადახვევებთან შემარიგებლობის წინააღმდეგ.

საბჭოთა საქართველო, რომელიც განაგრძობს ბრძოლას ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის შემდგომი გაძლიერებისათვის, რომელიც აწარმოებს გადამჭრელ ბრძოლას ყოველი ჯურის და ხახის შოვინისტებთან, დიდმპყრობელურ შოვინიზმთან, როგორც მთავარ საფრთხესთან, და ინტერვენტების დამხმარე ადგილობრივ ნაციონალიზმთან; რომელიც აძლიერებს მუშაობას მთელი საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობის განსამტკიცებლად — საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი შრომის და სოციალისტური მშენებლობის საიმედო გუშაგის —მძლავრი წითელი არმიის გასამაგრებლად—შემდეგშიც კიდევ უფრო განამტკიცებს ამიერ-კავკასიის ფედერაციის ეკონომიურ ძლიერებას,—ა.-კ. ფედერაციის, რომელიც მთელი მრავალმილიონიანი აღმოსავლეთისათვის წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში ნაციონალური საკითხის სწორი გადაჭრის ნიმუშს.

წინ ახალ-ახალ გამარჯვებისაკენ სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე!

გაუმარჯოს ამიერ - კავკასიის მძლავრ სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკას—ამიერ-კავკასიის მშრომელთა ინტერნაციონალური მთლიანობის სიმბოლოს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს— დედა-მიწის ერთი მეექვსედის მშრომელთა გაერთიანებას!

გაუმარჯოს საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტს—ამიერ-კავკასიის მშრომელთა ბელადს!

გაუმარჯოს საკ. კ.პ. (ბ) პარტიას და მის ბელადს ამხ. სტალინს!

საქართველოს სსრ-ის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე სუხიშვილი.

საკავშირო საბჭოთა VI ყრილობა

საბჭოთა კავშირის საგარეო და საშინაო მდგომარეობა

საკავშირო სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. ვ. მოლოტოვის (სკრიაბინის) მოხსენება

მოსკოვი, 11 მარტი. საბჭოების მეხუთე ყრილობის შემდეგ უდიდესი ცვლილებები მოხდა საბჭოთა კავშირის შიგნით და საერთაშორისო მდგომარეობაში. ჩვენთვის ამას მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირში კლასობრივ ძალთა განწყობილების და კაპიტალისტურ გარემოცვასთან საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შეცვლის თვალსაზრისით. სად არის ჩვენი ქვეყნის კლასობრივ ძალთა განწყობილებაში მომხდარ ცვლილებათა საფუძველი? ამაზე პასუხის გაცემა არ არის ძნელი. პასუხი უნდა ვეძიოთ ჩვენი მეურნეობის სოციალისტური ელემენტების როლის შეცვლაში. სოციალისტური ინდუსტრიის წარმატების და საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების ზრდის შედეგად სოციალისტურმა სექტორმა აბსოლუტური უპირატესობა მოიპოვა ჩვენს სახალხო მეურნეობაში. ეს ჩვენ არ გვქონდა საბჭოების მეხუთე ყრილობისათვის, მაგრამ ამჟამად სავსებით აშკარაა, რომ ჩვენი ქვეყნის მეურნეობაში სჭარბობენ სოციალისტური ელემენტები. ამით განისაზღვრება უმთავრესად კლასობრივ ძალთა არსებული განწყობილება საბჭოთა კავშირის შიგნით. მაგრამ მეორეს მხრივ ამ ცვლილებას ქვეყნის შიგნით გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის ურთიერთობისათვის კაპიტალისტურ გარემოცვასთან. ამ ურთიერთობას პირველ ყოვლისა განსაზღვრავს სოციალიზმის მშენებლობის წარმატება ჩვენს ქვეყანაში, განსაკუთრებით ჩვენი მეურნეობის სოციალისტური სექტორის აბსოლუტურ უპირატესობასთან დაკავშირებით. სოციალისტური მშენებლობის არაჩვეულებრივად გაშლა საბჭოთა კავშირში ხდება იმ დროს, როცა კაპიტალიზმის ქვეყნებში ადგილი აქვს ულრმეს კრიზისს — ეს იწვევს წინააღმდეგობათა გამწვავებას საბჭოთა კავშირის და მსოფლიო კაპიტალიზმის განვითარებაში, რადგან ეს ორი სხვადასხვაგვარი საზოგადოებრივი სისტემა პრინციპიალურად განსხვავდება ერთი მეორისაგან. მსოფლიო კრიზისის განვითარების პირობებში ცვლილებები, რომლებიც მოხდა კლასობრივ ძალთა ურთიერთობაში საბჭოთა კავშირის შიგნით, განსაკუთრებით მკვეთრ გამოხატულებას პოულობენ საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შეცვლაში კაპიტალისტურ გარემოცვასთან. იმისათვის, რომ ხაზგასმით აღვნიშნოთ განსხვავება ეხლანდელ პერიოდსა და მე-5 ყრილობის პერიოდს შორის, საკმარისია შევჩერდეთ უმთავრესზე. ეს არის გლეხობის გადამწყვეტ მასების მობრუნება კოლექტივიზაციისაკენ. მაშინ, მეხუთე ყრილობის პერიოდში, სოფლის სოციალისტური გარდაქმნის საკითხი მთელი თავისი სიგრძე - სიგანით იყო დასმული ჩვენი სოციალისტური მშენებლობის მსვლელობით. ეს ჩვენთვის იყო გადამწყვეტი მომენტი საშუალო გლეხისათვის ბრძოლაში, სოფლის კოლექტივიზაციისათვის ბრძოლაში. მაგრამ ეს საკითხი იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო გადაჭრილი, ჯერ კიდევ არ გვქონდა გარდატეხა საშუალო გლეხთა მასებში, კულაკი, რომელიც გაავთრებულ წინააღმდეგობას გვიწევდა, ცდილობდა კონტრ-შეტევაზე გადასვლას. ბოლშევიკების რიგებშიაც კი ჯერ კიდევ ძლიერი იყო ოპორტუნისტული მერყეობა.

მემარჯვენე ელემენტები განაგრძობდნენ გაძლიერებული იერიშის მიტანას პარტიის პოლიტიკაზე. კლასობრივი მტრები გესლიანად იღიმებოდნენ იმ იმედით, რომ საბჭოთა ხელისუფლება მალე დაემხობოდა. მაგრამ მუშათა კლასში ამ დროს უკვე ნათლად გამოირკვა გარდატეხა სოციალისტური შეტევის მთელ ფრონტზე გაშლის სასარგებლოდ. საკმარისია მივუთითოთ სოციალისტურ შეჯიბრებაზე, რომელიც სწორედ 1929 წლის პირველ ნახევარში გადაიქცა მუშათა ფართო მასიურ მოძრაობად. ეს გარდატეხა მშრომელთა ავანგარდში—მუშათა კლასში—გლეხურ მასების განწყობილებაშიაც გარდატეხის მოხდენის წინამორბედი იყო. მართლაც, 1929 წლის პირველ ნახევარში საბოლოოდ გამოირკვა საშუალო გლეხობის მასების მობრუნება კოლექტივიზაციის გზაზე. უკანასკნელ წლებში საკოლმეურნეო მოძრაობა სწრაფად იზრდებოდა, მაგრამ 1929 წლის შემოდგომისათვის ამ მოძრაობამ ახალ გადამწყვეტ საფეხურს მიაღწია. ამ მომენტიდან იგი გადაიქცა თელი რაიონების, ჯერ პატარა და შემდეგ უდიდესი სამეურნეო მნიშვნელობის რაიონების მთლიან კოლექტივიზაციად. მთლიანი კოლექტივიზაციის და კულაკის წინააღმდეგ შეტევის პოლიტიკის საფუძველზე მოწინავე რაიონები გადავიდნენ კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკაზე. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ ეხლა საბჭოების მე-6 ყრილობის დროს ისეთი მდგომარეობა გვაქვს, რომელიც რადიკალურად განსხვავდება წინანდელი ყრილობის პერიოდში არსებულ მდგომარეობისაგან. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ გლეხობის მასებშიაც მოხდა მობრუნება სოციალისტური გარდაქმნის გზისაკენ, მობრუნება სოციალიზმისაკენ. ამჟამად ისეთი მდგომარეობა გვაქვს, რომ სოციალისტური სექტორი უკვე გაბატონებულია სახალხო მეურნეობაში, კაპიტალისტური ელემენტები (კულაკობა), რომლებიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინად რამდენადმე იზრდებოდნენ, ეხლა ისპობიან. ეს განსაზღვრავს იმ ძირითად ცვლილებას სოფლად, რომელიც ამ უკანასკნელი წლინახევრის განმავლობაში მოხდა. სოციალიზმის მშენებლობის წარმატება ეხლა საშუალებას გვაძლევს, ახალი პასუხი გავსცეთ კითხვას—საით მიდის საბჭოთა კავშირი? პასუხს ამ კითხვაზე წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ჩვენ შევედით უშუალო სოციალისტური მშენებლობის პერიოდში, სოციალიზმის პერიოდში. ის შინაგანი ძალების თვალსაზრისით ნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხი გადაჭრილია, რომ სოციალიზმის გამარჯვება სავსებით უზრუნველყოფილია (ტაში). მიმდინარე წლის სახალხო მეურნეობის გეგმით დასახულ ამოცანების შესრულება ნიშნავს გლეხურ მეურნეობათა არანაკლებ ნახევრის გადასვლას კოლექტივიზაციის გზაზე. ეს მიმდინარე წლის სოციალისტური მშენებლობის სხვა ამოცანების შესრულებასთან ერთად უზრუნველყოფს სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის დამთავრებას საბჭოთა კავშირში (ტაში). ამ დროშების ქვეშ ვაფართოებთ ეხლა ჩვენს სოციალისტურ შეტევას მთელ ფრონტზე, მიუხედავად კაპიტალისტური ელემენტების გაავთრებული წინააღმდეგობისა, რომელიც გრძელდება. კლასობრივი მტერი საბჭოთა კავშირის შიგნით, მტერი, რომელიც დღითი-დღე ჰკარგავს ძალას, განსაკუთრებული სიჯიუტით ცდილობს დაეყრდნოს გარეშე ბურჟუაზიული ძალების მხარის დაჭერას. სოციალიზმის გადამწყვეტი წინსვლა საბჭოთა კავშირში აუცილებლად დაკავშირებულია კლასობრივი ბრძოლის გამწვავებასთან საბჭოთა კავშირსა და მის წინააღმდეგ მტრულად განწყობილ იმპერიალისტურ გარემოცვას შორის. ბრძოლა სოციალიზმის გამარჯვებისათვის საბჭოთა კავშირში სწორედ ეხლა უფრო მეტად არის გადაჯაჭვული საერთაშორისო ბურჟუაზიის იმ ცდების წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანებთან, რომლებიც მიზნად ისახავენ ჩვენი საქმისათვის ხელის შეშლას. საომრად განწყობილ საერთაშორისო იმპერიალიზმის სულ უფრო და უფრო აშკარა ცდებს — მოაწყოს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის ჩაშლა, ჩვენ უნდა ვუპასუხოთ აუცილებელი მზადებით ბრძოლისათვის (ტაში). ყოველივე ეს მოითხოვს შინაგანი და საერთაშორისო კლასობრივი ძალების, მათი ურთი-ერთ დამოკიდებულების და ამ დარგში მომხდარ ცვლილებების ფხიზელ, ბოლშევიკურ აღრიცხვას. ასეთ მომენტში სახიფათოა საკუთარი ძალების გაზვიადება, აჩქარება და მოუფიქრებელი ნაბიჯების გადადგმა. ამ შემთხვევაში ჩვენ ვერ უზრუნველვყოფდით ძალების თავის დროზე აუცილებელ მომზადებას, რაც განსაცდელის მომენტში დამარცხებას იწვევს. არა ნაკლებ დაუშვებელია ჩვენი ძალების და შესაძლებლობათა არა სათანადო შეფასება სოციალიზმის საქმისათვის ბრძოლაში. ეს იწვევს ჩვენი მშენებლობის ტემპების დაკარგვას, ტემპების ჩაშლას და გადამწყვეტ მომენტს წარმოადგენს ჩვენი გარეშე მტრების გეგმებისათვის. ამიტომ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეხლანდელ პირობებში ტემპების დაკარგვა და ჩაშლა — საკუთარი თავის, საბჭოთა ხელისუფლების საფრთხეში ჩაყენების რისკია.

ამხ. ვ. მოლოტოვი

ბრძოლა მშვიდობიანობისათვის და საბჭოთა კავშირის საგარეო მდგომარეობა

მსოფლიო კრიზისის გაღრმავება და კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა გამწვავება

უღრმესი ეკონომიური კრიზისი, რომელიც ვითარდება კაპიტალისტურ ქვეყნებში, არაჩვეულებრივად ამწვავებს კაპიტალიზმის ყველა წინააღმდეგობებს. იგი ამწვავებს როგორც შინაგან, ისე საერთაშორისო წინააღმდეგობებს კაპიტალისტურ სისტემაში.

ეხლა ცხადია, რომ კომუნისტების მიერ მოცემული შეფასება მსოფლიო ეკონომიური კრიზისის დასაწყისში სავსებით დადასტურდა. ბურჟუაზიული ეკონომისტებისა და სახელმწიფო მოღვაწეების აზრის წინააღმდეგ, კრიზისი წლინახევრის განმავლობაში არა თუ არ შენელებულა, არამედ თანდათან ღრმავდებოდა. საკმარისია, რამდენიმე ციფრი ამ დასკვნის დასადასტურებლად. უდიდეს კაპიტალისტურ ქვეყნებში, მრეწველობის კრიზისის განვითარების უმაღლეს წერტილთან შედარებით (ე. ი. 1929 წლის შუა თვეებთან შედარებით), წარმოების შემცირება მიმდინარე წლის დასაწყისისათვის ასეთია: ჩრდილოეთ - ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმოება შემცირდა 32 პროცენტით, გერმანიაში 28 პროცენტით, ინგლისში 18 პროცენტით, პოლონეთში 25 პროცენტით, საფრანგეთში, სადაც კრიზისი ცოტა უფრო გვიან დაიწყო, წარმოება ჯერ-ჯერობით შემცირებულია 7 პროცენტით. ცნობები შეერთებული შტატების შესახებ ამოღებულია 1930 წლის 14 ნოემბრის და 1931 წლის 13 თებერვლის „ანალისტი"-დან, ყველა დანარჩენი ქვეყნების შესახებ—ერთა ლიგის 1930 წლის და 1931 წლის იანვრის ბიულეტენიდან — „ბიულეტენ მანსიუელ დე სტატისტიკ". კრიზისის უმაღლეს წერტილს შეერთებული შტატებისათვის წარმოადგენს 1929 წლის ივლისი, გერმანიისათვის 1929 წლის ივნისი, ინგლისისათვის 1929 წლის მეოთხე კვარტალი, პოლონეთისათვის 1929 წლის იანვარი, საფრანგეთისათვის 1930 წლის მაისი.

სამრეწველო კრიზისთან ერთად ადგილი აქვს აგრარული კრიზისის შემდგომ გაღრმავებას. აგრარული კრიზისი თავის გამოხატულებას პოულობს ფასების უმაგალითო, პირდაპირ კატასტროფიულ დაცემაში. მთელი რიგი ისეთი [illegible] სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საბითუმო ფასები, რომლებზედაც დამოკიდებულია მთელი კაპიტალისტური მსოფლიოს გლეხთა მრავალი მილიონის შემოსავალი, წინანდელ ფასებთან შედარებით, შემცირდა ერთი-ორად და ერთი სამადაც კი. ეს ფასები ხშირად სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების წარმოებისათვის გაწეულ ხარჯებზე უფრო დაბალია. ფასების ასეთი დონე საშინელ ლახვარს სცემს მრავალ მილიონ გლეხურ მეურნეობას. სამრეწველო და სასოფლო - სამეურნეო საქონლის მსოფლიო მარაგი გასულ წლის საგრძნობლად გაიზარდა, ამასთან ერთად უმაგალითოდ გაიზარდა უმუშევრობა და ხიდატაკე კაპიტალისტური ქვეყნების და მათი კოლონიების ქალაქებსა და სოფლებში. კრიზისის მსოფლიო ხასიათის მაჩვენებელია აგრეთვე ყველა კაპიტალისტური ქვეყნების ექსპორტის და იმპორტის ძალზე შემცირება 1930 წელს. თუ ერთი წლის წინად, ე. ი. კრიზისის დასაწყისში, კაპიტალისტურ ქვეყნებში ბევრს ხვდებოდა ბურჟუაზიული მთავრობების ოპტიმისტური განცხადებანი კრიზისის მალე გათავებისა და ახალი „აყვავების" პერიოდის სიახლოვის შესახებ, ეხლა სულ სხვა განწყობილება იქმნება. ბურჟუაზიული პრესაც კი იძულებულია აღიაროს ეს. 1931 წელი არა თუ არ გვიჩვენებს კაპიტალიზმის ქვეყნების ეკონომიური კონიუნქტურის გაუმჯობესების ნიშანს, არამედ სულ საწინააღმდეგო მდგომარეობას მოწმობს. კრიზისის გაღრმავება გრძელდება, კრიზისს ჯერ კიდევ არ მიუღწევია თავის უდაბლეს წერტილამდე.

უკანასკნელ თვეებში განსაკუთრებით გადიდდა გაკოტრებული კაპიტალისტური ფირმებისა და ბანკების რიცხვი; მსოფლიო კრიზისის განვითარების უმდაბლესი წერტილი ჯერ კიდევ შორსაა.

კაპიტალიზმის საქმე იმდენად აიწეწა, რომ ჯერ კიდევ არა ჩანს კრიზისის დასასრული. არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ მძიმე მდგომარეობაში ჩაცვივდნენ ბურჟუაზიული ეკონომისტები. ისინი იძულებულნი არიან ეძებონ ეკონომიური კატასტროფის ახალ-ახალი ახსნა. ამ ეკონომისტებს არ ძალუძთ შეიგნონ კრიზისის მიზეზების მარქსისტული, ე. ი. ნამდვილად მეცნიერული გაგება და ისინი დაუსრულებელ წინააღმდეგობაში ვარდებიან. „ჩვენ გასაოცარ ქაოსში მოვხვდით, — ამბობს ცნობილი ინგლისელი ეკონომისტი კეინსი, — ვინაიდან საქმე გვაქვს იმ კანონებ მეტად მგრძნობიარე მანქანასთან, რომლისაც ჩვენ არაფერი გვესმის და რომელშიც რაღაც უხეში შეცდომა დავუშვით" (1930 წლის 19 დეკემბრის „ვირტშაფტ"-ს დინსტ.).

უკეთეს მდგომარეობაში არ არიან ბურჟუაზიული პოლიტიკოსები. მათი წინასწარმეტყველებანი კრიზისის არახანგრძლივობის შესახებ სასტიკად დამარცხდა. მათი უძლურება კრიზისთან ბრძოლაში ცხადათ დამტკიცდა. კაპიტალისტურ ქვეყნების ფართო მასებში იზრდება უნდობლობა ბურჟუაზიის ეკონომისტ-ებისა და პოლიტიკოსებისადმი. კაპიტალიზმის წინააღმდეგ რომ უკმაყოფილება იზრდება, — ამაზე ადვილად დავრწმუნდებით ბურჟუაზიული პრესითაც. ბურჟუაზიულ პრესაში უფრო და უფრო ხშირად გაისმის ამ განწყობილების გამომხატველი ხმა. ცნობილმა გერმანელმა ეკონომისტმა ბონმა მოათავსა წერილი „ამერიკის კრიზისის აზრი და მნიშვნელობა". ამ წერილში ბონი ამბობს:

„მრავალი ათასი ადამიანის გონებაში წამოიჭრა სრულიად გულუბრყვილო კითხვა: აქვს თუ არა კიდევ კაპიტალისტურ სისტემას საერთოდ არსებობის რაიმე უფლება, თუ მას მთელ დედამიწაზე უმდიდრეს ქვეყანაში არ შეუძლია შექმნას ისეთი წყობილება, რომელიც უზრუნველჰყოფს შედარებით არა მჭიდროთ დასახლებულ, შრომის მოყვარე და უნარის მქონე მოსახლეობისათვის არსებობის იმნაირ საშუალებებს, რომლებიც თანამედროვე ტეხნიკის დროს შეიძლება [illegible] ადამიანის განვითარებულ მოთხოვნილებებს, არ შეუძლია შექმნას ასეთი წყობილება უმისოდ, რომ მრავალი მილიონი ადამიანი ხანგამოშვებით არ იყოს იძულებული იმათხოვროს და ისარგებლოს მდარე საქველმოქმედო საჭმელით და ღამისგასათევი ბინით? ამერიკის კრიზისის აზრი და მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ამჟამად ლაპარაკია მხოლოდ ამერიკაში არსებულ ეკონომიურ ხელმძღვანელობაზე პოლიტიკაზე, კაპიტალისტური სისტემის, როგორც ასეთის, „არსებობაზე" (1931 წლის „დი ნეიე რუნდშაუ"). ცხადია, რომ პატივცემული პროფესორი, მხოლოდ თვალის ასახვევად უწოდებს მის მიერ დასმულ კითხვას „სრულიად გულუბრყვილო" კითხვას. ცხადია, აგრეთვე, რომ კითხვა კაპიტალისტური სისტემის „არსებობის უფლების" შესახებ ებადება „მრავალ ათას ადამიანს" არა მარტო ამერიკაში, არამედ ყველა ქვეყნებში, სადაც კაპიტალისტური წყობილება არსებობს. ავსტრიის მსხვილი ბურჟუაზიის ორგანო „ნეიე ფრეიე პრესსე" თავის საახალწლო მიმოხილვაში აცხადებდა: „ბევრს სტანჯავს ეს საშინელი კითხვა — ნუთუ კაპიტალისტური ეკონომიური სისტემაა დამნაშავე ყველა ამ უბედურებაში"? და მართლაც მსოფლიო კრიზისის ზრდა აძლიერებს კაპიტალიზმის [illegible] წინააღმდეგობებს და უფრო და უფრო მწვავედ სვამს მასების წინაშე საკითხს კაპიტალისტური სისტემის არსებობის უფლების შესახებ.

ამასთან დაკავშირებით გასაგებია ინგლისის ლიბერალთა ბელადის ლოიდ ჯორჯის შემდეგი განცხადება: „ჩვენ რომ უმუშევრებს არ ვაძლევდეთ დასაზღვევ დახმარებას, ჩვენს ქვეყანაში უკვე მოხდებოდა რევოლიუცია... თქვენ ვერ იყოლიებთ ძაღლს ჯაჭვზე, თუ არ გქონებათ საშუალება ძვალი გადაუგდოთ მას" („მანჩესტერ გარდიენ"-ი 1931 წლ. 7 იანვ.). ამ სავსებით გულახდილ სიტყვებში თავისი მკაფიო გამოხატულება ჰპოვა კაპიტალისტების სიძულვილმა მუშათა კლასისადმი და ამასთან ერთად მათმა შიშმა მუშათა კლასის ძალის წინაშე. თუ კაპიტალისტური ქვეყნების შიგნით გაბატონებული კლასების საქმეები არეულია, მათი საერთაშორისო ურთიერთობაც არ არის უკეთეს მდგომარეობაში. არ შეიძლება ითქვას, რომ იმპერიალისტური სახელმწიფოების ურთიერთობა კოლონიებთან ამ ბოლო დროს გაუმჯობესდა. განა შეიძლება ითქვას, რომ ამ ბოლო დროს ინდოეთის ლიბერალური მემამულეების და ბურჟუაზიის ბელადებთან მიღწეული შეთანხმება ან ნახევრადშეთანხმება უზრუნველჰყოფს მტკიცე ურთიერთობას თვით ინდოეთში თუგინდ მოკლე ხნით? ისეთ პირობებში, როცა მუშათა კლასის, მშრომელების და გლეხების მდგომარეობა არა თუ არ გაუმჯობესდა, არამედ დღითი-დღე უარესდება, ზედმეტია ლაპარაკი მტკიცე მდგომარეობის შექმნაზე ინდოეთში. ინდოჩინეთში ადგილობრივ მკვიდრთა მიერ თავიანთი ინტერესების დაცვის ყოველგვარ ცდას საფრანგეთის ბურჟუაზიული პრესა „ბოლშევიკების ხრიკებად" აცხადებს. მაგრამ ასეთი პანიკური განგაშით „ბოლშევიკური საფრთხის" შესახებ არ შეიძლება კაპიტალის ბატონობისათვის მტკიცე მდგომარეობის შექმნა. ეს განგაში მხოლოდ აძლიერებს ბოლშევიკური იდეების პოპულარობას კოლონიალურ მასებში. ჩინეთში გენერლები თანამშრომლობენ დიდ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან, მაგრამ იქ უკვე მთელი რიგი წლების განმავლობაში გაბატონებულმა კლასებმა ცხადჰყვეს, რომ მათ არ შეუძლიათ შექმნან პირობები მასების ეკონომიური მოღონიერებისა და მათი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. მერყეობა არ არის დაძლეული აგრეთვე კაპიტალისტური ქვეყნების უშუალო ურთიერთობაში.

ამავე დროს ბურჟუაზიული მთავრობების წარმომადგენლები დაუსრულებლად ჩხირკედელაობენ, ადგენენ ათასგვარ შეთანხმებას და სხვ. გერმანიის განსაზღვრული წრეების წარმომადგენელნი „არაოფიციალურად" ცდილობენ ნიადაგის მოსინჯვას პარიზში შეთანხმების მისაღწევად. ინგლისის ოფიციალური წარმომადგენლები ხელს უწყობენ საფრანგეთსა და იტალიას შორის შეთანხმების დადებას საზღვაო ფლოტის შემდგომი გადიდების საკითხის შესახებ. საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიის და იტალიის წარმომადგენელთა ინიციატივით ერთა ლიგა ღებულობს დეკლარაციას, რათა დაამტკიცოს, რომ „ევროპაში მშვიდობიანობა მტკიცე და ურყევია". მაგრამ იქ, სადაც საქმე ეხება მსხვილ ეკონომიურ ინტერესებს, რომლებიც ბოლოს და ბოლოს განსაზღვრავენ სახელმწიფოების პოლიტიკურ ურთიერთობას, იქ არავითარი წინსვლა არა ჩანს. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ ევროპის საბაჟო კონფერენციის თავმჯდომარემ, ჰოლანდიის ყოფილმა მინისტრმა კოლინმა ერთა ლიგის ევროპიული კომისიის სესიის გახსნაზე აშკარად აღიარა: „ერებმა დაჰკარგეს ყოველგვარი ნდობა ერთა ლიგის მუშაობისადმი". ნამდვილად კი კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის სწარმოებს მწვავე ბრძოლა გასაღებელი ბაზრისათვის, გავლენის სფეროებისათვის, სწარმოებს მზადება მსოფლიოს ახალი დანაწილებისათვის. კრიზისი ამწვავებს ყველა ამ წინააღმდეგობებს. კრიზისი განსაკუთრებით საზიანო ხდება ქვეყნების ერთი ჯგუფისათვის, ასუსტებს მათ, ხოლო სხვა ქვეყნებს ულვივებს იმედს, რომ მსოფლიოს ახალი დანაწილების დროს ისინი მიიღებენ ახალ ნაჭრებს. ამასთან დაკავშირებით, იზრდება ახალი იმპერიალისტური ომების საშიშროება. კრიზისის გაჭიანურება და მისი უფრო და უფრო გაღრმავება მოწმობს კრიზისის წინააღმდეგ მიღებული ზომების უნაყოფობას. კაპიტალისტური ქვეყნები უფრო და უფრო მაღალი საბაჟო კედლებით იმიჯნებიან ერთი-მეორისაგან. სახელმწიფოთა ეკონომიური, კერძოდ, „აგრარული" კონფერენციები ერთიმეორეზე უნაყოფოდ თავდებიან და კაპიტალისტური ქვეყნები განსაკუთრებული ენერგიით აძლიერებენ თავიანთ შეიარაღებას და სამხედრო მრეწველობას, ისინი ემზადებიან ბატონობისათვის საბრძოლველად. საერთაშორისო ომის საფრთხე იზრდება

კაპიტალისტური ქვეყნების დამოკიდებულება საბჭოთა კავშირისადმი და ინტერვენციის მომზადება

კაპიტალისტური ქვეყნების დამოკიდებულებაზე საბჭოთა კავშირისადმი უფრო და უფრო მეტ გავლენას ახდენს ის ცვლილება, რომელიც მოხდა ძალთა შეფარდებაში საბჭოთა კავშირსა და მის კაპიტალისტურ გარემოცვას შორის. საბჭოების წარსული ყრილობის პერიოდში, რომელზედაც დამტკიცებულ იქნა 5 წლიანი გეგმა, ჩვენი მტრების იმედი დამყარებული იყო 5 წლედის აუცილებელ კრახზე, მის განუხორციელობაზე. კლასობრივი მტრები მოელოდნენ 5 წლედის ჩაშლას. მაგრამ ვერ ეღირსნენ ამას. ანგარიშში მოტყუვდნენ. ეხლა ამ ყრილობისათვის მოხდა საგრძნობი გარდატეხა კაპიტალისტური სახელმწიფოების გაბატონებული კლასების განწყობილებაში. მათი წრიდან ეხლა უფრო ხშირად გაისმის პანიკური ხმები 5 წლედთან დაკავშირებით. ზოგიერთი ბურჟუაზიული ორგანოები იმ აზრის პოპულიარიზაციამდეც კი მივიდნენ, რომ „5 წლედი საუკეთესო საშუალებაა კაპიტალისტური ქვეყნების მოსასპობად". წინასწარმეტყველობა ხუთწლედის კრახის შესახებ ცარიელი ზღაპრები გამოდგა. როცა ბურჟუაზიული პოლიტიკოსები ამ წინასწარმეტყველობაში იყვნენ გართულნი, მათ ისეთი საშინელი კრიზისი ეწვიათ, როგორიც დღემდე არ ყოფილა. ეხლანდელი კრიზისი თავისი სიძლიერით ბევრად სჭარბობს იმ უდიდეს ეკონომიურ კრიზისს, რომელიც უშუალოდ მოჰყვა იმპერიალისტურ ომს. ამრიგად აღმოჩნდა, რომ მხოლოდ საბჭოთა კავშირი არის კრიზისის გარეშე, რომ საბჭოთა კავშირი არა თუ ასცდა ამ კრიზისს, არამედ იგი ძლევამოსილად ანხორციელებს კიდეც სახალხო მეურნეობის აღორძინების ხუთწლიან პროგრამას.

ამის შემდეგ წინანდელი იმედი საბჭოთა კავშირის ბურჟუაზიულ გადაგვარებაზე, რა თქმა უნდა, მტვრად უნდა ქცეულიყო. იყო დრო, როდესაც საბჭოთა კავშირი ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადადიოდა, საერთაშორისო ბურჟუაზიის ცნობილი წარმომადგენელნი, და მათ შორის ლოიდ-ჯორჯიც, ამტკიცებდნენ: „რუსეთში ამჟამად ხდება ველური, თავშეუკავებელი კომუნიზმის გადასვლა უფრო რბილ ფორმაზე, იმ კომუნიზმზე, რომელიც არსებობდა წლის თუ ორი წლის წინად, რამდენიმე თვის წინადაც კი. ეხლა იქ აღიარებენ, რომ თუ გამოსავალ წერტილად ავიღებთ ადამიანის ბუნებას, როგორც იგი არის, კომუნისტური წყობილება შეუძლებელია". ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლა ლოიდ - ჯორჯმა და ბევრმა სხვამ ჩათვალეს „სრულ მიბრუნებად კაპიტალიზმისაკენ". ამით ბატონმა ბურჟუებმა გვიჩვენეს თავიანთი საზოგადოებრივი ჰორიზონტის სრული შეზღუდულება, თავიანთი სრული უუნარობა — წარმოიდგინონ კაპიტალისტური წყობილების გარეშე სხვა რამე. ისინი იმედს ამყარებდნენ ჩვენი ქვეყნის აუცილებელ გადაგვარებაზე, იმაზე, რომ ხელ-ახლა დაუბრუნდებიან ხელისუფლებას რუსი მემამულეები და კაპიტალისტები, რომ კულაკი კვლავ გაბატონდება სოფლად, რომ გენერლები თეთრი ცხენებით შევლენ დაპყრობილ მოსკოვში. მას შემდეგ ისინი თითქმის ყოველი შემთხვევის გამო აცხადებდნენ — „აი იწყება"-ო, აი საბჭოთა ქვეყანა, ბოლოს პირს იბრუნებს „ნამდვილ" კაპიტალიზმისკენ. ამ ილუზიებით სულს იდგამდნენ თვითონ კაპიტალისტები და მათი „სოციალისტური" მსახურნი მენშევიკებიდან, ესერებიდან და სხვ.

5 წლედის პირველმავე წარმატებებმა სასტიკად უკუაგდეს ეს ილუზიები. დადგა გამოფხიზლების ხანა, ყოველ შემთხვევაში, ბურჟუაზიის ზოგიერთ ფენებში მაინც. საბჭოთა კავშირის ბურჟუაზიული გადაგვარების იმედზე ისინი იძულებული ხდებოდნენ ხელი აეღოთ. ამასთან ისინი იცვლიდნენ თავიანთ ტაქტიკასაც საბჭოთა კავშირის მიმართ. საბჭოთა კავშირის ბურჟუაზიული გადაგვარების ილუზიის გაქარწყლება აიძულებდა ბურჟუაზიას ახალ ტაქტიკას დასდგომოდა. ამ ტაქტიკის რაობას კი შეადგენს ინტერვენციის მომზადება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. გაავთრებული ანტისაბჭოთა კამპანიები, რომლებიც ერთი გეგმით ეწყობა ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში, საუკეთესოდ ადასტურებენ ამას.

1929 წლის შემოდგომიდან დაწყებული დღემდე კაპიტალისტურმა გარემოცვამ შედარებით სწრაფი ტემპით გაიარა საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის მზადების თანმიმდევარი სტადიები. ეს მოსამზადებელი მუშაობა სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარეობს. ამასთან მეორე ინტერნაციონალის როლს წარმოადგენს პირდაპირი ხელის შეწყობა ბურჟუაზიისათვის, ხელის შეწყობა, რომელსაც იგი ფარავს მუშური ფრაზებით საბჭოთა კავშირთან „ნორმალური" ურთიერთობის შესახებ. მენშევიკ ინტერვენციონისტების გასამართლებამ მოსკოვში სავსებით ამხილა ეს კონტრ-რევოლიუციონური, მთლად ანტიპროლეტარული როლი მეორე ინტერნაციონალისა.

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული ახალი იერიშის გეგმის მომზადებას ბურჟუაზია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს და ამავე დროს სპეციალურად ამზადებს საზოგადოებრივ აზრს. ამ მიზნით ანტისაბჭოთა კამპანიის ხელმძღვანელნი საზღვარგარეთ მიმართავენ ისეთ ლოზუნგებს, რომელთა წყალობითაც შეიძლება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ განზრახული ომის კლასობრივი რაობის დაფარვა. მათ იმედი დაამყარეს რელიგიურ ცრუმორწმუნეობაზე, განსაკუთრებით გლეხობის შორის, ამიტომ წამოაყენეს ანტისაბჭოთა ლოზუნგი „რელიგიის დევნის" შესახებ. ასე მოეწყო ანტისაბჭოთა „ჯვაროსნული ლაშქრობა" რომის პაპის მეთაურობით. ჯვაროსნული ლაშქრობის სამარცხვინო ჩაშლამ ანტისაბჭოთა კამპანიის ორგანიზატორები აიძულა მისულიყვნენ ახალ ლოზუნგებამდე, ეგრედ წოდებულ „საბჭოთა დემპინგამდე" და „იძულებით შრომამდე" საბჭოთა კავშირში.

„საბჭოთა დემპინგის" შესახებ

„საბჭოთა დემპინგის" წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგს მიზნათ აქვს მტრული დამოკიდებულების წარმოშობა კაპიტალისტური ქვეყნების გლეხთა და მუშათა მასებს შორის. კაპიტალისტური მეურნეობის რღვევა და თავისი უილაჯობა ამ რღვევის დასაძლევად ბურჟუაზია ცდილობს დაფაროს ყოველი საშუალებით, ცდილობს ბრალი სხვას გადასდოს. ამიტომ ბურჟუაზიული პრესა ყოველნაირად ცდილობს გააზვიადოს საბჭოთა საქონლის შეტანის საფრთხე, იმ საბჭოთა საქონლის, რომელიც ვითომ საზღვარგარეთ მეტად დაბალ ფასად იყიდება. იგი ამავე დროს ისე გვაჩვენებს თავს, თითქოს ვერ ამჩნევდეს იმ სახაცილო მდგომარეობას, რომელშიაც თვითონ ვარდება. ჯერ კიდევ გუშინ ბურჟუაზიული პრესა მთელ მსოფლიოში ავრცელებდა სისტემატიურ სიცრუეს საბჭოთა მეურნეობის რღვევის შესახებ, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის კრახის შესახებ საბჭოთა კავშირში. დღეს კი მათ ახალი ჭორის გავრცელება უხდებათ, მაგრამ უკვე წინააღმდეგი თვალსაზრისით ჭორისა.

დღეს ყველა მიმართულების ბურჟუაზიული პრესა ცდილობს დაუმტკიცოს თავის გაკვირვებულ მკითხველებს: საბჭოთა კავშირმა ისე უცბად ააყვავა თავისი მეურნეობა, რომ იქმნება საფრთხე, იაფი საბჭოთა საქონლის შეტანისა კაპიტალისტურ ქვეყნებში. ეს სიცრუე მოწმობს, თუ რამდენად უღირს საშუალებას მიმართავს ეს პრესა. ბოლოს და ბოლოს ასეთი საშუალებებით საბჭოთა კავშირისადმი მტრულად განწყობილ ბურჟუაზიას ზარალი მოაქვს თავისი თავისთვის.

მაგრამ ადვილი გასაგებია, რომ ასეთ საშუალებას ბურჟუაზია მიმართავს არა „კარგი ცხოვრებისაგან". ბურჟუაზიის კლასობრივი ინსტიქტი უკვე იწყებს განგაშს, მას უკვე ეუფლება პანიკა.

ამავე დროს ელემენტარული ფაქტები საბჭოთა საგარეო ვაჭრობის შესახებ სავსებით ამხილენ „დემპინგის" კამპანიის ნამდვილ აზრს. მსოფლიო ექსპორტში 1913 წელს რუსეთის ეკუთვნოდა სულ 3,5 პროცენტი. ვგონებ, ცოტაა ეს. მაგრამ ჯერ-ჯერობით ჩვენ ამ დონემდეც არ მივაღწევია. ასე, მაგ., 1930 წელს ჩვენი ხვედრითი წონა მსოფლიო ექსპორტში შეადგენდა სულ 1,9 პროცენტს. მაშასადამე, ომის წინა დროინდელ უმნიშვნელო დონესთან შედარებითაც კი, ჩვენ ეხლა გვაქვს 2-ჯერ ნაკლები, ხვედრითი წონა მსოფლიო ექსპორტის საქონელთ ბრუნვაში. ცალკე ქვეყნების ბალანსში საბჭოთა კავშირის მიერ შეტანილი საქონლის რაოდენობა 1929 წლიდან ირყეოდა 0,5 პროცენტიდან (ინგლისში, იტალიაში და საფრანგეთში) 2,6 პროცენტამდე (გერმანიაში).

საკითხავია,—რას უნდა წარმოადგენდეს კაპიტალისტური ქვეყნების ის სამეურნეო სისტემა, რომელიც შეიძლება ერთბაშად დაირღვეს ჩვენი ასეთი უმნიშვნელო ექსპორტისაგან? სამწუხაროდ, აბსოლიუტური ციფრებითაც ჩვენი ექსპორტი საგრძნობლად ჩამორჩება ომის წინა დროის ექსპორტს. 1913 წელს რუსეთის ექსპორტი უდრიდა 1,5 მილიარდ მანეთს, 1930 წელს კი ჩვენი ექსპორტი სულ შეადგენდა 1 მილიარდ მანეთს, ე. ი. 500 მილიონით ნაკლებს. მიუხედავად ამისა, 1913 წელს არავინ არ გაჰყვიროდა, რომ მეფის რუსეთის ექსპორტი წარმოადგენს კაპიტალისტური კრიზისების გაჩენისა და გაძლიერების მიზეზს.

თუ რამდენად სასაცილოა კრიზისის ახსნა „საბჭოთა დემპინგით", ჩანს შემდეგი ფაქტებიდანაც. კრიზისი მძვინვარებს ევროპისა და ამერიკის მრეწველობის ისეთ დარგებში, რომელთა მიმართაც ჩვენი ქვეყანა არა თუ არ არის ექსპორტიორი, არამედ თვალსაჩინო იმპორტიორიც არის. განა შეიძლება სერიოზულად ლაპარაკი იმაზე, რომ „საბჭოთა დემპინგი" გავლენას ახდენს ფოლადის მრეწველობაზე, რომელიც ამჟამად განსაკუთრებულ დაცემას განიცდის? საბჭოთა კავშირს ხომ არ გააქვს, არამედ შემოაქვს ლითონი. მაგრამ იქნებ საბჭოთა დემპინგით შეიძლებოდეს ახსნა მანქანათმშენებლობის მრეწველობის კრიზისისა ამერიკასა და ევროპაში? აქ ხომ კრიზისი უფრო და უფრო ღრმავდება? მაგრამ ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირი ყოველ წლიურად აძლიერებს მოწყობილების იმპორტს ამერიკიდან და ევროპიდან. ან იქნებ საავტომობილო მრეწველობის კატასტროფიული შეკვეცა შეიძლება აიხსნას საბჭოთა დემპინგით? განა სასაცილო არ არის ეს იმ მომენტში, როდესაც ჩვენ გაძლიერებით შემოგვაქვს ავტომობილები საზღვარ-გარეთიდან?

ასეთი მაგალითის მოყვანა უამრავი შეიძლება. მაგრამ საკმაოა ისიც, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყნებში საბჭოთა კავშირი წარმოადგენს ერთად-ერთ ისეთ ქვეყანას რომელმაც თავისი იმპორტი არა თუ არ შეამცირა, არამედ საგრძნობლად გააფართოვა კიდეც კაპიტალისტური კრიზისის უკანასკნელ წელს. ამით მე სრულიადაც არ მინდა იმის თქმა, რომ ჩვენ არ ვაფართოვებთ ჩვენ ექსპორტს ან ჩვენ უარს ვამბობდეთ გავაფართოვოთ იგი შემდეგში. პირიქით, ჩვენ ვადიდებთ ჩვენს საგარეო საქონლით ბრუნვას და, იმპორტის ყოველ წლიურად გაფართოებასთან ერთად, უნდა გავაფართოოთ ჩვენი საქონლის ექსპორტიც. ეს ჩვენთვისაც და იმათთვისაც ხელსაყრელია.

მაგრამ იქნებ ბატონ კაპიტალისტებს სურთ საბჭოთა კავშირის სახით იყოლიონ თავიანთი მოხარკე? იქნებ მათ სურთ უკარნახონ საბჭოთა კავშირს თავიანთი პირობები ან გაანაწილონ ჩვენი ქვეყანა გავლენის სფეროებად იმპერიალისტებს შორის? მაგრამ საბჭოთა კავშირი კაპიტალისტებისათვის კოლონია არ გახლავთ (ტაში). საბჭოთა კავშირი სრულებითაც არა ჰგავს რუმინეთის მსგავს ბურჟუაზიულ-მემამულეთა ქვეყანას, რომელმაც შეიმუშავა სპეციალური „ხუთწლედი", რასაც კონცესიების სახით საფუძვლად დაუდო თავისი რკინის გზებისა და ბუნებრივი სიმდიდრეების გაყიდვა.

მსხვილი მემამულეების, მიწათმფლობელებისა და კულაკების გაცოფებას საზღვარგარეთ იწვევს ის გარემოება, რომ განვლო იმ დრომ, როდესაც საბჭოთა კავშირი იძულებული იყო პური შემოეტანა. ეხლა ჩვენ პური, შემოტანის ნაცვლად, გაგვაქვს და სოფლის მეურნეობაში სოციალისტური მშენებლობის წარმატება საბუთს გვაძლევს იმედი ვიქონიოთ, რომ, შინაური ბაზრის შემდგომი მომარაგების გაუმჯობესებასთან ერთად, შევძლებთ გავადიდოთ ეს საექსპორტო მუხლი. რა ეხება ხელსაყრელ ფასებს, ვარწმუნებთ ყველას, რომ უცხოეთის კაპიტალისტებთან სავაჭრო ურთიერთობის დროს პროლეტარულ სახელმწიფოს ინტერესებს ჩვენ არასოდეს არ დავივიწყებთ (ტაში).

მეორეს მხრით, ოქტომბრის რევოლიუციის ქვეყანას ჩვენ ვერ წავართმევთ იმ თვალსაჩინო უპირატესობას საქონლის წარმოების ღირებულების ოდენობის საქმეში, რომელიც შედეგად მოჰყვა იმას, რომ იგი განთავისუფლდა მემამულეებისა (აბსოლიუტური რენტის გაუქმება) და კაპიტალისტების (მათი მოგება და ზემოგება) პარაზიტული კლასების შენახვისაგან. ესეც კია, რომ ოქტომბრის გზა არავის არა აქვს შეკვეთილი და არც არავის აკრძალული (მქუხარე ტაში)..

ამ გვარად, დემპინგის ანტისაბჭოთა კამპანიის სიცრუე უბრალო ფაქტებით აშკარავდება. ჩვენი მტრები ცდილობენ, მსოფლიო ეკონომიური კრიზისის მთელი შედეგი გადააბრალონ საბჭოთა დემპინგს. ისინი უკანასკნელ ნდობას ჰკარგავენ მასებში. ამ კამპანიის ერთად-ერთი აზრი ის არის, რომ შექმნან მტრული დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და მოამზადონ მასზე თავდასხმა. რაკი ხედავენ, რომ დემპინგის დაწყებული კამპანია უშედეგოდ რჩება, ჩვენი მტრები ცდილობენ გაამაგრონ იგი ახალი ცრუ არგუმენტით. ამისათვის მათ დასჭირდათ უალრესი ცილის წამება—გამოგონება იძულებითი შრომისა საბჭოთა კავშირში.

იძულებითი შრომის შესახებ

იმისათვის, რომ გარეგნობით მაინც დემპინგის კამპანიას სიმართლის ნასახი მისცეს, ბურჟუაზიული პრესა გაჰყვირის, ვითომ საბჭოთა კავშირი საზღვარგარეთ ჰყიდდეს თავის საქონელს ძალზე იაფ ფასად, ხოლო ეს საბჭოთა კავშირში შესაძლებელია ვითომ იმიტომ, რომ იქ იძულებითი შრომას მიმართავენ. თუ ასეა, შევეხოთ ამ საკითხსაც, შევეხოთ იმას, თუ რას წარმოადგენს შრომა საბჭოთა კავშირში და კაპიტალისტურ ქვეყნებში. თუ ვილაპარაკებთ იძულებით შრომაზე, გავიგოთ, სად არის მართლაც ასეთი შრომა, საბჭოთა კავშირში თუ კაპიტალისტურ ქვეყნებში? შევეხები პირველად საკითხის პრინციპიალურ მხარეს. კარლ მარქსი შემდეგი სიტყვებით ახასიათებდა მუშათა კლასის მდგომარეობას კაპიტალიზმის დროს: საზოგადოებრივი თვალსაზრისით, მუშათა კლასი კაპიტალის ისეთსავე საკუთრებას წარმოადგენს, როგორც არის მკვდარი სამუშაო იარაღი., რომში მონა ჯაჭვით იყო მიბმული, ხოლო თანამედროვე მუშა უხილავი ძაფებით არის მიბმული მესაკუთრეზე. მაგრამ ეს მესაკუთრე არის არა ცალკე კაპიტალისტი, არამედ კაპიტალისტთა კლასი (კარლ მარქსი. „კაპიტალი", ტომი 1, გვ. 557), აი, მეორე მკაფიო დახასიათება კაპიტალისტური საზოგადოებისა, რომელსაც მარქსი იძლევა: მხოლოდ ის ნორმა, რომელსაც იძლევა უშუალო მწარმოებლების—მუშების ზედმეტი შრომა, განასხვავებს ეკონომიურ და საზოგადოებრივ ფორმაციებს, მაგალითად, მონობაზე დამყარებულ საზოგადობას დაქირავებული შრომის საზოგადოებისაგან (კარლ მარქსი. „კაპიტალი", ტომი 1, გვ. 169).

მეცნიერული სოციალიზმის მამამთავრებმა—მარქსმა და ენგელსმა ამომწურავი ანალიზი გაუკეთეს კაპიტალისტური წყობილების სისტემას და სავსებით დაამტკიცეს, რომ: „ბურჟუაზიისათვის ეხლანდელი მდგომარეობა უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ძველი მონობა: მას შეუძლია, როცა უნდა მაშინ დაითხოვოს თავისი მუშები, და ამ შემთხვევაში იგი არ ჰკარგავს დაბანდებულ კაპიტალს, ვინაიდან საერთოდ შრომა მას გაცილებით უფრო იაფი უჯდება, ვიდრე მონების შრომა დაუჯდებოდა". (ფრიდრიხ ენგელსი).

ეს უკანასკნელი სიტყვები ამოღებულია ენგელსის წიგნიდან „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში", ხსენებული წიგნი 1844 წელს გამოვიდა. მაგრამ განა ამ სიტყვებმა ოდნავ მაინც დაჰკარგეს მნიშვნელობა ეხლანდელი მომენტისათვის? პირიქით, კაპიტალიზმი კიდევ უფრო შორს წავიდა მუშებისა და გლეხების ექსპლოატაციის საქმეში კაპიტალიზმის ბატონობის დროს: „ბურჟუაზიული საზოგადოება გლეჯს სწოვს სისხლს გულიდან, ტვინს თავიდან, და ყოველივე ამას ჰყრის კაპიტალიზმის—ამ ახალი ალქიმიკოსის ქვაბში". განა საჭიროა იმის მტკიცება, რომ მარქსის ეს სიტყვები, რომლებიც რამდენიმე ათეული წლის წინად არის ნათქვამი, ეხლაც არ დასტურდება ყოველი ფეხის ნაბიჯზე, სადაც სოფლად ბატონობს კაპიტალისტი, მემამულე და კულაკი. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ საფრანგეთის, ინგლისის, შეერთებული შტატების, ბელგიის და ჰოლანდიის კოლონიებში ყველა სახის კაპიტალისტურ მონობასთან ერთად ბევრ შემთხვევაში ჯერ კიდევ დარჩენილია ნამდვილი მონათმფლობელობა, ცალკე ადამიანების და მთელი ოჯახების ყიდვა-გაყიდვაც კი. ბურჟუაზიული პრესა უსირცხვილოდ სიცრუეს ავრცელებს საბჭოთა კავშირში „იძულებითი შრომის" არსებობის შესახებ. მაგრამ მას უმჯობესად მიაჩნია დაჰფაროს დაქირავებულ მუშების და მშრომელი გლეხების მონობის ნამდვილი ფაქტები კაპიტალისტურ ქვეყნებში. მიუხედავად ბურჟუაზიული [illegible] ყოველნაირი ცდისა, სიმართლე მაინც აშკარავდება. მუშების და საერთოდ მშრომელთა ფართო მასებისათვის სულ უფრო და უფრო ცხადი ხდება კაპიტალისტურ სისტემის მონური ხასიათი და ამასთან ოქტომბრის რევოლიუციის მიერ შექმნილ საბჭოთა წყობილების განმანთავისუფლებელი მნიშვნელობა.

არა ხელსაყრელ საქმეს მოჰკიდა ხელი კაპიტალისტურმა პრესამ თავისი კამპანიით იძულებითი შრომის შესახებ. საბოლოოდ გაიტეხს სახელს იგი ამ საქმეშიაც. კაპიტალისტური მონობის მიზეზები დიდი ხანია გამოაშკარავებულია. როგორც ვიცით, ეს მიზეზები მდგომარეობს იმაში, რომ ბურჟუაზიულ წყობილების დროს საწარმოო საშუალებანი მიითვისეს კაპიტალისტებმა, მუშები კი მოკლებულნი არიან ამ საშუალებებს, აი ამიტომ არიან მუშები კაპიტალისტების მონები, სხვა საქმეა საბჭოთა წყობილების დროს, რისი მაგალითიც მოგვეპოვება ჩვენს ქვეყანაში. საბჭოთა კავშირში შრომა განთავისუფლებულია, საბჭოთა კავშირმა ამას მიაღწია იმით, რომ კაპიტალისტებს წაართვა საწარმოო საშუალებანი და კაპიტალისტები გააძევა ჩვენი ქვეყნიდან. საბჭოთა კავშირში მუშები მუშაობენ არა კაპიტალისტებისათვის, არამედ საკუთარი თავისათვის. ნამდვილად ისპობა კაპიტალისტური მონობა და თავისუფლდება შრომა იმ ქვეყანაში, სადაც საწარმოო საშუალებანი ხალხის, და არა კაპიტალისტების ხელშია. გადავიდეთ კონკრეტიულ ფაქტებზე:

ა) უმუშევრობის შესახებ

ცხადია, ბურჟუასათვის უმაგალითო უმუშევრობის ფაქტიც, ქუჩაში გაყრილი 30-35 მილიონი მუშაც „თავისუფალი შრომის" მაჩვენებელია კაპიტალიზმის რეჟიმის დროს, მაგრამ კაპიტალისტური ქვეყნის მუშებმა, რომლებიც განიცდიან არაჩვეულებრივად გაძლიერებულ უმუშევრობის აშინებას, საუცხოვოდ იციან, რომ სწორედ აქ არის მშრომელთა ყველაზე უარესი ჩაგვრა, სწორედ ეს არის რამდენიმე ათეული მილიონი ოჯახის დამშევა. ცხადია აგრეთვე, რომ ბურჟუამ საბჭოთა კავშირში უმუშევრობის ლიკვიდაციის ფაქტი ყოველნაირად უნდა დაუმალოს მუშებს, ან ყოველ შემთხვევაში ახსნას, როგორც საბჭოთა კავშირში საყოველთაო იძულებითი შრომის შედეგი. მაგრამ კაპიტალისტური ქვეყნის მუშები დღითი-დღე სულ უფრო და უფრო მეტად გებულობენ ნამდვილ სიმართლეს საბჭოთა კავშირის შესახებ და ჩამორჩენილ მუშებისათვისაც კი ცხადია, რომ უმუშევრობის ლიკვიდაცია საბჭოთა კავშირში მუშათა სახელმწიფოს სოციალისტური მშენებლობის გაშლის პირდაპირი შედეგია.

ბ) სამუშაო დღის შესახებ

მიუხედავად უდიდესი უმუშევრობისა, კაპიტალისტებს ამჟამად გაძლიერებული იერიში მიაქვთ სამუშაო დღეზე და ცდილობენ მაქსიმალურად გაადიდონ იგი. კაპიტალისტური ქვეყნების მუშებს ეხლა მხოლოდ იმაზე შეუძლიათ ოცნება, რომ შეინარჩუნონ 8 საათის სამუშაო დღე, სადაც ეს მოიპოვეს მათ წინად. აი ფაქტები სამუშაო დღის ნამდვილი მდგომარეობის შესახებ. დავიწყებ მემადაროებიდან. ინგლისში მადაროს მუშების შრომა კონვეირებზე ხშირად ფაქტიურად 9-10 საათს აღწევს (გამოტოვებულია). ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატების ქვანახშირის მრეწველობის მემადაროეთა სამუშაო დღე 1929 წლის ცნობების მიხედვით 9 ნახ.-ს ხამი მეოთხედ საათს აღწევს. გასული წლის დამლევამდე იაპონიაში არსებობდა მადაროს მუშებისათვის 10 საათის სამუშაო დღე.

ორიოდე სიტყვა ფეიქრების შესახებ. გასული წლის დასაწყისში იტალიაში კანონით დაშვებულია სამუშაო დღის გადიდება საფეიქრო მრეწველობაში ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. გერმანიაში საფაბრიკო ინსპექტორების ანგარიშის მიხედვით 1930 წლის საფეიქრო მრეწველობის მთელ რიგ დარგებსა და საწარმოებში, რომლებიც ტანსაცმელს ამზადებენ, ფაქტიურად შემოღებულია 15-16 საათის სამუშაო დღე. ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ კოლონიებში ბატონი კაპიტალისტები მოურიდებლად ადიდებენ სამუშაო დღეს. ასე მაგალითად, ინდოეთის ქალაქ (გამოტოვებულია) მთავარი ინსპექტორი აღნიშნავს თავის ანგარიშში, რომ ინდოეთის მუშების სამუშაო დღე ფაქტიურად აღწევს 14-15 საათს, ნაცვლად 10 საათისა, რომელიც შემოიღო ინდოეთისათვის ვაშინგტონის კონფერენციამ 1919 წელს. ასეთია შრომის „პირობები" კაპიტალიზმის დროს. ასეთია სამუშაო დღე კაპიტალის ქვეყნებში. შევადაროთ ეს ფაქტები საბჭოთა კავშირში არსებულ მდგომარეობას. თუ კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშებს მხოლოდ ოცნებობა შეუძლიათ ზოგიერთ ადგილას მოპოვებულ 8 საათის სამუშაო დღის შენარჩუნების შესახებ,—ჩვენში სულ საწინააღმდეგო მდგომარეობაა. საბჭოთა კავშირში ტარდება 8 საათის სამუშაო დღის შემცირება და 7 საათის სამუშაო დღის შემოღება, ამასთან არამც თუ რჩება წინანდელი ხელფასი, არამედ თანდათან იზრდება კიდეც კოლექტიურ ხელშეკრულებებთან შეფარდებით. მთელ რიგ კატეგორიის მუშებისათვის, მაგალითად, მიწის ზედაპირზე მომუშავე მემადაროებისათვის, ქიმიური მრეწველობის ზოგიერთი დარგებისათვის და სხვ. ჩვენში დიდი ხანია შემოღებულია ექვსი საათის სამუშაო დღე. ძალიან არ ჰგავს ყოველივე ეს საბჭოთა კავშირის მუშების „იძულებითი შრომას"! უნდა ვეცადოთ, რომ უცხოეთის მუშებმა რაც შეიძლება ფართოდ გაიგონ ეს ფაქტები.

გ) სამუშაო ხელფასის შესახებ

ბატონ კაპიტალისტებს ამჟამად გაძლიერებული იერიში მიაქვთ სამუშაო ხელფასზე. ცნობილმა ეკონომისტმა კუჩინსკიმ გამოიანგარიშა, რომ გერმანელმა მუშამ 1930 წელს, უმუშევრობის და ნახევრად უმუშევრობის გამო, დაჰკარგა სულ ცოტა 12 მილიარდი მარკა. ამერიკის ბურჟუაზიულ სტატისტიკურ სააგენტოს „სტანდარტ სტატისტიკს და კომპანი"-ს და ჟურნალ „ანალისტ"-ის გამოანგარიშებით ჩრდილოამერიკის შეერთებულ შტატების მუშებმა—1930 წელს სულ ცოტა ერთი მილიარდი დოლარი ხელფასი დაჰკარგეს თვეში, ე. ი. ორი მილიარდი მანეთი. მთელი 1930 წლის განმავლობაში ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატების მუშებმა დაჰკარგეს 12 მილიარდი დოლარი, ე. ი. 24 მილიარდი მანეთი ხელფასი. ასეთივე ციფრების მოყვანა შეიძლებოდა სხვა კაპიტალისტურ ქვეყნების შესახებაც. ძალიან არა ჰგავს ყოველივე ეს კაპიტალიზმის შრომის „თავისუფლებას"! სულ საწინააღმდეგო მდგომარეობაა საბჭოთა კავშირში. მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის მთელი ხნის განმავლობაში არ ყოფილა ისეთი წელი, რომ საბჭოთა კავშირის მუშათა ხელფასი შემცირებულიყოს. პირიქით, მუშების სამუშაო ხელფასი წლითი-წლობით იზრდებოდა და იზრდება წელსაც. მარტო ხუთწლედის გასული ორი წლის განმავლობაში მუშა-მოსამსახურეების ხელფასის ფონდი საბჭოთა კავშირში 7,8 მილიარდი მანეთიდან გაიზარდა 12,5 მილიარდ მანეთამდე, ე. ი. გაიზარდა თითქმის 5 მილიარდი მანეთით. 1931 წელში კიდევ გაიზრდება 2.860 მილიონი მანეთით. რაც არ უნდა სთქვან ამ ფაქტების შესახებ ბატონმა კაპიტალისტებმა და მათმა პრესამ, მთელი ქვეყნის მუშები დაგვეთანხმებიან იმაში, რომ ხელფასის ასეთ ზრდას საბჭოთა კავშირში მხოლოდ იმიტომ აქვს ადგილი, რომ აქ ხელისუფლების სათავეში მუშათა კლასია.

დ) მუშათა სოციალური დაზღვევის და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების შესახებ

არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში არ არსებობს მუშათა სოციალური დაზღვევა მთლიანად სახელმწიფოს ხარჯზე. ჩრდილოამერიკის შეერთებული შტატების უმდიდრეს კაპიტალისტურ რესპუბლიკაში ბურჟუაზია დღესაც უარს ეუბნება მუშებს რაიმე სახელმწიფო დაზღვევის შემოღებაზე.

შეერთებულ შტატებში დაახლოებით 10 მილიონი უმუშევარია, ამერიკის სენატორ კარავეის სიტყვით კი შეერთებულ შტატებში ყოველდღე შიმშილისაგან კვდება ათასი კაცი (8 თებერვლის „დეილი ტელეგრაფი") და იქ არ არსებობს არავითარი სახელმწიფო დაზღვევა უმუშევრობისაგან. განა ეს თავისუფალი შრომის „სამეფო" არაა? სამაგიეროდ საბჭოთა კავშირში, მიუხედავად უმუშევრობის ლიკვიდაციისა, მუშათა სახელმწიფო დაზღვევის ფონდები (ავადმყოფობის, ფეხმძიმობის, ინვალიდობის და სხვ. გამო) წლითი-წლობით იზრდება. ხუთწლედის გასული ორი წლის განმავლობაში სოციალური დაზღვევის ფონდი ჩვენში 908 მილიონ მანეთიდან—1,514 მილიონ მანეთამდე გაიზარდა. თუ ავიღებთ სახელმწიფო ფინანსიური დახმარების ყველა სახეებს საბჭოთა კავშირის მუშების ყოფა-ცხოვრების და კულტურული პირობების გასაუმჯობესებლად (სოციალური დაზღვევა, ანარიცხები მოგებიდან, უფასო კომუნალური სამსახური, საბინაო მშენებლობა, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა და საზოგადოებრივი კვება), — მარტო ხუთწლედის გასული ორი წლის განმავლობაში შესაფერი სახელმწიფო ფონდები მუშა-მოსამსახურეებისათვის 2.872 მილიონ მანეთიდან—6.571 მილიონ მანეთამდე გაიზარდა. ე. ი. 3.199 მილიონ მანეთით. ბოლოს, მარტო 1931 წელს ეს ფონდები იმდენად იზრდება, რომ 9,699 მილიონ მანეთს მიაღწევენ, ე. ი. მარტო ერთ წელიწადში 3.128 მილიონი მანეთით გაიზრდება. როგორი განგაშიც არ უნდა ასტეხოს ამის შემდეგ უცხოეთის მოსყიდულმა პრესამ საბჭოთა კავშირში „იძულებითი შრომის"-არსებობის შესახებ, არც ერთი მუშა არ დაუჯერებს მას, რომელმაც ეს ფაქტები იცის. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მალე კაპიტალისტური ქვეყნების ჩამორჩენილი მუშებიც კი დასცინებენ ამ უსირცხვილო სიცრუეს.

ე) შრომისადმი დამოკიდებულების შესახებ

საბჭოთა კავშირში განუწყვეტლივ იზრდება შრომითი ენტუზიაზმი. სულ უფრო და უფრო ვითარდება სოციალისტური შეჯიბრება მუშებს შორის და ეხლა კოლმეურნეებს შორისაც სოფლად. მუშების ნახევარზე მეტი მონაწილეობას ღებულობს სოცშეჯიბრებაში. იზრდება დამკვრელების, შრომის გმირების რიცხვი. განა ცხადი არაა, რომ ეს თავისუფალი შრომის ნაყოფია! სულ სხვანაირადაა საქმე კაპიტალისტურ ქვეყნებში. იქ არ არსებობს შრომითი ენტუზიაზმი, სხვანაირად არც კი შეიძლება, როცა მუშების შრომის მონური ხასიათი კაპიტალიზმის პირობებში ყოველ ფეხის ნაბიჯზე აშკარავდება. ცხადია, კაპიტალის ჩაგვრისაგან თავისუფალი შრომა განსხვავდება პროლეტარების მონურ შრომისაგან კაპიტალისტების ბატონობის დროს.

ვ) ძირითადი განსხვავების შესახებ

ბოლოს და ბოლოს ძნელი არ არის იმის გამორკვევა, თუ რაში მდგომარეობს საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ ქვეყნების შრომის პირობების განსხვავების ნამდვილი საფუძველი. ეს საფუძველი მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენში ხელისუფლების სათავეში მუშებია, კაპიტალისტურ ქვეყნებში კი ექსპლოატატორები. (გამოტოვებულია). ასეთია ფაქტები კაპიტალისტურ ქვეყნებსა და საბჭოთა კავშირში მუშათა მდგომარეობის შესახებ. საკმარისია, უცხოეთის მუშებმა იცოდნენ ეს ფაქტები, რომ ცილისწამება საბჭოთა კავშირში „იძულებითი შრომის" არსებობის შესახებ საბოლოოდ გაქარწყლდეს. ფაქტები ცხადად ადასტურებენ კაპიტალისტურ სისტემასა და სოციალიზმის მშენებლობის სისტემას შორის არსებულ წინააღმდეგობას. ეს წინააღმდეგობა მთლიანად ლაპარაკობს კაპიტალიზმის წინააღმდეგ და სოციალიზმის სასარგებლოდ. ნუთუ არ ინანებენ ბატონი კაპიტალისტები, რომ მათ ხელი მოჰკიდეს ამ საქმეს? კამპანია „იძულებითი შრომის" შესახებ, რომელიც ანტისაბჭოთა მიზნებით დაიწყო, ახლა უკვე თავისი მახვილით მიმართულია კაპიტალისტური მონობის წინააღმდეგ. მით უარესი კაპიტალისტებისათვის, მით უკეთესი მუშათა საქმისათვის.

მაგრამ ბურჟუაზიული პრესა განსაკუთრებით ვარჯიშობს ყალბი ცნობების გავრცელებაში—შრომის პირობების შესახებ ჩვენი ჩრდილოეთის რაიონებში ხე-ტყის დამზადების სამუშაოებზე. დაგროვებულ იქნა უამრავი შეთხზული ამბები და ცილისწამების შინაარსის ჭორები „იძულებითი შრომის" გამოყენების შესახებ ამ რაიონებში. ინგლისის, საფრანგეთის და ამერიკის ბურჟუაზიის მრავალ ცნობილ მოღვაწეთა მონაწილეობით ეწყობიან კამპანიას საბჭოთა ხე-ტყის შემოზიდვის წინააღმდეგ და აგრეთვე სხვა პროდუქტების წინააღმდეგ იმ საბაბით, რომ ვითომ ეს პროდუქტები იძულებითი შრომის გამოყენებით არის დამზადებული, ვითომ ეს იყოს პატიმართა შრომის პროდუქტები. ყოველივე ეს, რასაკვირველია, იფარება მოსაზრებებით „მაღალი მორალის" შესახებ. ამასთან ნაწილობრივ [illegible], ხოლო უმთავრესად ფაქტების განზრახ დამახინჯების წყალობით საბჭოთა კავშირის მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიათა შრომის პირობებს მოსყიდული პრესა აძლევს განმარტებებს ისე, როგორც მოეპრიანება. ამ თვალსაზრისით მიზანშეწონილი იქნება აღინიშნოს, რაც გააკეთა ინგლისის მთავრობამ. მან გამოსცა წიგნი— „რჩეული დოკუმენტები საბჭოთა კავშირში მოქმედ შრომის კანონთა შესახებ" და ამით საშუალება მისცა, ყოველ შემთხვევაში, იმათ, ვისაც მოისურვებოდა, გასცნობოდა ნამდვილ ფაქტებს. მაგრამ ვინაიდან ამ წიგნში მოყვანილი [illegible], შრომის შესახებ საბჭოთა კანონმდებლობიდან სპეციალურად შერჩეული ამონაწერებს, ამიტომ შავრაზმელი „მორნინგ პოსტ". — ეს მრავალ ანტისაბჭოთა გამოსვლათა სულის ჩამდგმელი ორგანო,— პირდაპირ უსაყვედურებს ინგლისის მთავრობას იმას, რომ მან გამოსცა წიგნი, რომელსაც არავითარი პრაქტიკული ღირებულება არა აქვს, ალბად იმიტომ, რომ ის არ იძლევა მასალას ცილისწამებისათვის „იძულებითი" შრომის შესახებ ჩვენს ქვეყანაში. მეორე მხრით, ვითომ „მაღალი მორალის" კარნახით, გასულ წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდის სიჩქარით მიღებულ იქნა სპეციალური კანონი უცხოეთის იმ საქონლის შემოზიდვის წინააღმდეგ, რომელიც დამზადებულია „პატიმართა შრომის გამოყენების საშუალებით, ან იძულებითი შრომით, ანდა დამსჯელი სანქციების საფრთხის პირობის ქვეშ დაკონტრაქტებული შრომის საშუალებით".

ახლა წარმომადგენელთა პალატის საბაჟო-საფინანსო კომისიამ დაუმატა ამ კანონს შესწორება, რომელიც მიმართულია უცხოეთის საქონლის შემოზიდვის წინააღმდეგ, იმ საქონლის, რომელიც „მოპოვებულია, მოყვანილია, გადამუშავებულია, გადაზიდულია, გადატანილია, დატვირთულია და გადმოტვირთულია იძულებითი შრომის საშუალებით ან დაკონტრაქტებული შრომის საშუალებით, რომელიც იყენებენ სანქციათა გამოყენებას". საბჭოთა კავშირის მტრებს ეს საკანონმდებლო ზომები სურთ განსაკუთრებით ენერგიულად გამოიყენონ ჩვენი ხე-ტყის ექსპორტის საკითხში, რომლის დროსაც, რასაკვირველია, ყოველივე ცდილობენ ეს ზრახვები გაამართლონ მოსაზრებებით მორალის შესახებ. მაგრამ ამერიკის კაპიტალისტების მთელს პირმოთნეობას ფარდას ხდის ერთი „უბადრუკი" შენიშვნა, რაც ბოლოში აქვს დართული საბაჟო-საფინანსო კომისიის ხსენებულ შესწორებას. აქ ნათქვამია: „მაგრამ ეს კანონი არ უნდა იქნას გამოყენებული ყოველგვარი საქონლის, ნაკეთობისა და ვაჭრობის საგნების მიმართ, თუგინდ რომ ეს საქონელი იყოს მოპოვებული, მოყვანილი, გადამუშავებული, გადაზიდული, გადატანილი, დატვირთული და გადმოტვირთული პატიმართა შრომის ან იძულებითი შრომის საშუალებით ანდა დაკონტრაქტებული შრომის გამოყენებით, რასაც სარჩულად უდევს დამსჯელი სანქციების გამოყენების მუქარა, იმ საქონლის, ნაკეთობისა და ვაჭრობის საგნების მიმართ, რომელიც არ მოჰყავთ ან რომლის დამუშავება არ ხდება იმ რაოდენობით, როგორც ეს საჭიროა ჩრდ.-ამერ. შეერთებული შტატების სამომხმარებლო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად". ცხადია, რომ ჩრდ.-ამერ. შერთ. შტატების კაპიტალისტებს აინტერესებთ არა შრომის პირობები, არამედ მათი საქონლისათვის კონკურენციის გაწევის შესაძლებლობა. ამ „ანტიმორალური" შესწორების გამო ბურჟუაზიული გაზეთი „ნიუ-იორკ უორლდ"-იც კი ირონიულად შენიშნავს, რომ „ზიზღი იმ საქონლისადმი, რომელსაც ამზადებენ იძულებითი შრომის გამოყენებით, ნათლად განისაზღვრება ჩვენი მოთხოვნილების ფარგლებით. თუ საკუთარი წარმოება საკმარისია, ჩვენ მაშინვე წამოვაყენებთ მაღალ მორალურ პრინციპებს".

როგორც ხედავთ, ამერიკელი ბურჟუაზიის „მაღალ მორალსა" და მაღალ მოგებას შორის განსხვავება არ არსებობს. რამდენადაც გაზეთების მთელი ხროვა ავრცელებს საზღვარგარეთ ყალბ ცნობებს პატიმართა იძულებითი შრომის გამოყენების შესახებ საბჭოთა კავშირის სატყეო მრეწველობაში, საჭიროა განსაკუთრებით შევჩერდეთ იმ ფაქტებზე, რომლებიც მოგვცემენ ნამდვილი მდგომარეობის სურათს ჩრდილოეთის რაიონებში. ამ თავთავე შევნიშნავ, რომ ხე-ტყის დამზადებაზე, რომლის შესახებ ასე ბევრს სწერენ საზღვარგარეთ, ამ სეზონში მუშაობს 1.134.000 კაცი, ამასთან ყველა ისინი მუშაობენ ჩვეულებრივი თავისუფალი შრომის პირობებში, პატიმართა შრომას არაფერი საერთო აქვს ხე-ტყის დამზადებასთან. მიუხედავად ამისა, ჩვენ არასოდეს არ გვიფიქრია დაგვემალა ის ფაქტი, რომ ჩვენში ადგილი აქვს ჯანსაღი და შრომის უნარის მქონე ტუსაღების შრომის გამოყენებას ზოგიერთ კომუნალურ და საგზაო სამუშაოზე. ჩვენ ამას სჩადიოდით წინად, სჩადიოდით ახლა და ჩავიდენთ მომავალშიაც. ეს ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. ეს სასარგებლოა დამნაშავეთათვის, ვინაიდან ისინი ეჩვევიან შრომას და მით ხდებიან საზოგადოების სასარგებლო წევრებად. ჩრდილოეთის მთელ რიგ რაიონებში, რომელთა შესახებ ასე ბევრს სწერენ ამჟამად ბურჟუაზიულ გაზეთებში, იძულებითი შრომის შესახებ კამპანიასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირში, მართლაც იყო და არის გამოყენებული პატიმართა შრომა ზოგიერთ სამუშაოებზე. მაგრამ იმ ფაქტებით, რომლებიც შემდეგ იქნება მოყვანილი, სრული სიცხადით მტკიცდება, რომ პატიმართა შრომას აქ არავითარი კავშირი არა აქვს ჩვენი ექსპორტის პროდუქტებთან. დავასახელოთ ამ პატიმართა შრომის ობიექტები. კარელიაში უკვე გაყვანილია პატიმართა შრომის გამოყენებით გზა კემ-უხტა, სიგრძით 208 კილომეტრი. გარდა ამისა, გაყვანილია ტრაქტი პარომდოზო-კოჟვი-ტბა, სიგრძით 190 კილომეტრი. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ეს სამუშაო საჭიროა ქვეყნისათვის.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კარელიაში ამჟამად თეთრი ზღვა-ბალტიის ზღვის არხის გაყვანის მშენებლობას. ამ არხმა, რომლის სიგრძე უდრის 914 კილომეტრს და რომლის სისტემაშიაც შედის ლადოგისა და ონეგის ტბები, უნდა შეაერთოს ბალტიისა და თეთრი ზღვები. მისი გაყვანა დაკავშირებულია დიდ სამუშაოთა ჩატარებასთან, სახელდობრ ყამირის თხრასთან და ტბებისა და მდინარეთა კალაპოტების გაღრმავებასთან. ამჟამად სწარმოებს მუშაობა ტბა ვიგის რაიონში.

ჩვენს ამოცანას წარმოადგენს ორი მახლობელი წლის განმავლობაში დავამთავროთ ეს მშენებლობა. ასეთია პატიმართა მუშაობის მდგომარეობა კარელიაში. [illegible]გვარი განგაშიც არ უნდა ასტეხოს ბურჟუაზიულმა პრესამ საზღვარგარეთ, ჩვენ უარს არ ვიტყვით ამ სამუშაოებზე და პატიმართა შრომის გამოყენებაზე ამ მშენებლობაში. დღე, პატიმართა შრომა გამოყენებული იქნას საბჭოთა კავშირის ხალხთა სასარგებლოდ. ჩრდილოეთის მხარეში ჩვენ აგრეთვე ვაწარმოებთ მთელ რიგ საგზაო და საამშენებლო სამუშაოების პატიმართა შრომის გამოყენების საშუალებით. ასე, მაგალითად, ჩრდილოეთის მხარეში გაგვყავს გზა სივპიაკარპუსტა, სიგრძით 313 კილომეტრი, ამასთან გაყვანილია უკვე 160 კილომეტრი. ტრაქტი გაგვყავს უხტის რაიონში, სადაც მიმდინარეობს საკვლევაძიებო მუშაობა ნავთის აღმოსაჩენად. გარდა ამისა, ჩრდილოეთის მხარეში პატიმართა შრომის გამოყენებით გაგვყავს რკინის გზა სიქტივკარპიუნიუგა, სიგრძით 305 კილომეტრი. ეს გზა, ყველა მასთან საჭირო ხელოვნურ ნაგებობასთან ერთად, შენდება აგრეთვე პატიმართა შრომის გამოყენებით. ამ გზის საერთო სიგრძიდან გაყვანილია 97 კილომეტრი. ამ სამუშაოებს შეუძლიათ დიდი როლი ითამაშონ ახალი ნავთიანი რაიონის წინ წაწევაში. ამ რაიონების სამეურნეო წინსვლისათვის და აგრეთვე მთელი საბჭოთა კავშირისათვისაც კი უხტის ნავთის ახალი რაიონის ამუშავებას დიდი მნიშვნელობა ექნება. სულ ამ სამუშაოებზე ყველა აღნიშნულ რაიონებში მუშაობს დაახლოებით — 60.000 კაცი.

ვიტყვი კიდევ რამდენიმე სიტყვას პატიმრების შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების შესახებ ამ რაიონებში. სამუშაო დღის ხანგრძლივობა პატიმართა ყველა ბანაკებში 8 საათს უდრის. ისინი, გარდა იმისა, რომ ღებულობენ უზრუნველყოფილ ულუფას, საერთოდ საკმაო მომარაგებას და ამასთან ყოველთვიურად 20-30 მანეთს ხელზე, მათ აქვთ შრომის ნორმები, რომლებიც არ აღემატება თავისუფალი მუშის გამომუშავების ნორმებს. ბანაკები წარმოადგენდნენ იმ ადამიანებით დასახლებულ პუნქტებს, რომლებიც თავისუფლად მცხოვრებლების გარეშე, დადიან და მუშაობენ სათანადო მშენებლობის ტერიტორიაზე. იქ გაშლილია კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა. მიდის წიგნები და ჟურნალები. მარტო ჩრდილოეთის რაიონში 1930 წლის შემოდგომაზე დაახლოვებით 10 ათასმა კაცმა მიიღო პროფესიონალურ-ტექნიკური განათლება. კაპიტალისტურ საპატიმროებში მრავალი ათასი უმუშევარი შენატრის ამჟამად ჩვენ ჩრდილოეთ რაიონებში მყოფ პატიმართა შრომისა და ცხოვრების პირობებს. ეს მწარე სიმართლეა და ეს უნდა იცოდნენ მუშებმა უცხოეთში.

როგორც ხედავთ, პატიმრებს ჩვენში არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ ხე-ტყის დამზადებასთან და, საერთოდ, „იძულებითი შრომის" საექსპორტო პროდუქტებთან. ამის უარყოფას ვერ შეძლებს ვე-

(გაგრძელება იხ. მე-3 გვ.)

რავითარი ანტისაბჭოთა კამპანია და, კერძოდ, ანტისაბჭოთა კამპანია „იძულებითი შრომის" შესახებ. დროა ბოლო მოეღოს ზღაპრებს საბჭოთა კავშირში „იძულებითი შრომის" არსებობის შესახებ. მე ვფიქრობ, რომ ამ საქმეში შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოების იმ წარმომადგენლებს, აგრეთვე უცხოეთის იმ გაზეთების წარმომადგენლებს, რომლებიც საბჭოთა კავშირში არიან.

რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის მდგომარეობის „გამოსაკვლევად" განსაკუთრებულ სახელმწიფო კომისიების დანიშვნის ცდები უცხოეთში მიუღებელია, როგორც ამას ყოველთვის აცხადებდა საბჭოთა მთავრობა. ეს ცდები მიუღებელია იმიტომ, რომ ასეთი ზრახვების განხორციელება შეუთავსებელია სახელმწიფოს სუვერენიტეტთან, რომელსაც მათ ცალმხრივი ხასიათი აქვთ. მხოლოდ გაბატონებულ სახელმწიფოს შეუძლია თავს მოახვიოს დაქვემდებარებულ სახელმწიფოს ასეთი ცალმხრივი წინადადება. არც ასეთი თავისუფალი სუვერენული სახელმწიფო არ დათანხმდება ასეთ ცალმხრივ „გამოკვლევაზე". მაგრამ უცხო სახელმწიფოების და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები მოსკოვში სარგებლობენ მიმოსვლის თავისუფლებით. მათ შეუძლიათ, თუ მოისურვებენ დარწმუნდნენ იმაში, რამდენი საზიზღარი სიცრუე [illegible] საზღვარგარეთ საბჭ. კავშ. „იძულებითი შრომის" არსებობის შესახებ. თუ ვინმეს სჭირდება ეს, ადგილებზე გამგზავრებით შეუძლიათ დარწმუნდნენ იმაში, რომ მუშაობას საექსპორტო საქონლისათვის, თუნდაც იმავე საექსპორტო ხე-ტყისათვის არავითარი კავშირი არ აქვს პატიმართა შრომასთან, საერთოდ არა აქვს კავშირი რაიმე „იძულებით შრომასთან. ისინი აგრეთვე დარწმუნდებიან იმაში, რომ საბჭოთა კავშირში ნამდვილად ტარდება ოქტომბრის რევოლუციის მიერ გამოცხადებული პრინციპი, რომელიც ჯერ კიდევ „მშრომელთა უფლებათა დეკლარაციაში" ჩამოყალიბებული და რომელიც მიღებულია სრულიად რუსეთის საბჭოების მეხუთე ყრილობის მიერ 1918 წლის 10 ივლისს: „რუსეთის სოციალისტურ-ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკა შრომას აღიარებს რესპუბლიკის ყველა მოქალაქის ვალდებულებად და აცხადებს ლოზუნგს— „არამშრომელმა, არ უნდა სჭამოს".

პრინციპი „არამშრომელმა, არ უნდა სჭამოს"—რადიკალურად ეწინააღმდეგება ბურჟუაზიულ წყობილებას. იქ, პირიქით, გაბატონებული კლასების არამშრომელნი სარგებლობენ ქვეყნის ყველა სიკეთით, ნამდვილი მშრომელები კი ნახევრად მშიერი ან სულ ულუკმაპუროდ არიან. კაპიტალისტებს ეხლა უმუშევრობის უდიდესი ზრდის დროს მოდაში აქვთ სხვა პრინციპი: „მშრომელმა არ უნდა სჭამოს". ჩვენს ქვეყანაში კი ტარდება პროლეტარული პრინციპი, რომელიც იმათაც ავალებს იშრომონ, ვინც წინად გაბატონებულ ზედა ფენას ეკუთვნოდა. რომელი ამ პრინციპთაგანი უფრო მოსწონს მუშებს, მოდი ვკითხოთ თვითონ მათ, ვკითხოთ ყოველი ქვეყნის მუშებს, თუ ეს აუცილებელია. ჩვენ თანასწორუფლებიანობის საფუძველზე თანახმა ვართ, რომ ჩამოვიდნენ ჩვენთან უცხოეთის მუშების ყოველნაირი დელეგაციები, არჩეულნი თვით მუშების მიერ და გაეცნონ ადგილობრივ ჩვენს ქვეყანაში შრომის პირობებს. ვის უნდა აინტერესებდეს შრომის პირობები ჩვენს ქვეყანაში და სხვაგან თუ არა თვით მუშებს? დეე, მისცენ ამის შესაძლებლობა უცხოეთის მუშებს იმათმა, ვისგანაც ეს არის დამოკიდებული. ჩვენ მხოლოდ მოვითხოვთ, რომ თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, ასეთივე შესაძლებლობა მისცენ უცხო სახელმწიფოებმა ჩვენი ქვეყნის მუშებს. (ტაში). ჩვენ წინასწარ ვაცხადებთ, რომ ყოველნაირად ხელს შევუწყობთ ყველა მასალის გამოქვეყნებას, რომელსაც მიიღებენ ჩვენი და უცხოეთის მუშები ასეთი გამოკვლევის შედეგ ჩვენს ქვეყანაში და კაპიტალისტურ სახელმწიფოებში (ტაში).

ჩვენ ეჭვი გვეპარება, რომ ამაზე დათანხმდენ ისინი, რომლებიც ეხლა ავრცელებენ ცილისწამებას საბჭოთა კავშირში „იძულებითი შრომის" არსებობის შესახებ. მათ მიზანს, არ შეადგენს ნამდვილი ფაქტების გამორკვევა. მათი ამოცანაა—შექმნან მტრული განწყობილება საბჭოთა კავშირისადმი და მოამზადონ თავდასხმა საბჭოთა კავშირზე.

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ინტერვენციის მომზადების შესახებ

ინტერვენციის მომზადებას მოწმობენ არა მარტო ზემოაღნიშნული ანტისაბჭოთა კამპანიები, არამედ სხვა მთელი რიგი ფაქტებიც. ინტერვენციის წინასწარ ნაბიჯებს წარმოადგენენ აგრეთვე ის ღონისძიებანი, ეკონომიური ბლოკადის მოსაწყობად, რომელთა რიცხვი თანდათან მრავლდება. განსაკუთრებული გაფთრებით სწარმოებს კამპანია საბჭოთა საქონლის იმპორტის წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის მიწვევას ევროპის კომიტეტის სპეციალურ კონფერენციაზე ორაზროვნად განმარტავენ, საბჭოთა მთავრობამ მაინც აუცილებლად სცნო მიიღო ეს მიწვევა, რათა ადგილობრივ გამოერკვია, თუ რა გეგმებს და მიზნებს ისახავს ეს ორგანიზაცია და როგორი უნდა იყოს საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლების პოზიცია ამ კონფერენციაზე. თუ რამდენად ცდილობენ ევროპის კომიტეტის ხელმძღვანელები ბრიანის მეთაურობით აწარმოონ თავიანთი მუშაობა სხვისი მონაწილეობის, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირის მონაწილეობის, გარეშე,—ეს იქიდან სჩანს, რომ არც ერთ ქვემო-კომისიებში, რომლებიც ამჟამად აწარმოებენ მოსამზადებელ მუშაობას ევროპის კომიტეტის მაისის კონფერენციისათვის საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები არ ყოფილან მიწვეულნი. მით უფრო მეტი ბოლშევიკური სიფხიზლე და გამობრძმედილობა უნდა გამოიჩინონ ჩვენმა წარმომადგენლებმა მაისის კონფერენციაზე. მით უფრო მეტი ენერგიით გამოვააშკარავებთ ყველა ანტისაბჭოთა მახინაციებს, რომელთა გამოყენებასაც ცდილობს ეხლა ევროპის კომიტეტი. იმისათვის, რომ ცხადვყოთ, თუ როგორ სწარმოებს განიარაღების შესახებ ფრაზების საფარ-ქვეშ შეუპოვარი მუშაობა ახალი იმპერიალისტური ომების და საბჭოთა კავშირზე შეიარაღებულ თავდასხმის მოსამზადებლად,—საჭიროა შევჩერდეთ განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიის მუშაობის შედეგებზე. მიუხედავად საბჭოთა დელეგაციის ყოველგვარი ცდისა მომხდარიყო შეიარაღების ნამდვილი შემცირება, კომისია თავის მუშაობაში, თუ ამ შემთხვევაში შესაძლებელია ვიხმაროთ სიტყვა „მუშაობა", გამოდიოდა იმ მოსაზრებიდან, რომ სიტყვებით განიარაღების შესახებ დაეფარა შეიარაღების გაფთრებული ზრდა. მოსამზადებელი კომისიის არსებობის ოთხი წლის განმავლობაში კაპიტალისტური სახელმწიფოების შეიარაღება არამც თუ შემცირებულა, არამედ საგრძნობლად გაიზარდა, განიარაღების კომისიის ასეთი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე ახალი იმპერიალისტური ომების საფრთხე არამც თუ არ შემცირებულა, არამედ, პირიქით, გაიზარდა. მოსამზადებელი კომისია საერთოდ და მთლიანად წავიდა იმ გზით, საითკენაც მას მიუთითებდა საფრანგეთის დელეგაცია, რომელიც ამჟამად ევროპის მილიტარისტულ-იმპერიალისტური წრეების სულისკვეთებას გამოხატავს, თუმცა საფრანგეთის ამ პოზიციას, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ნამდვილი მშვიდობიანობის ინტერესებთან, მხარი დაუჭირეს დიდმა ბრიტანეთმაც და შეერთებულმა შტატებმაც.

არსებულ შეიარაღების შემცირებისაკენ მიმართულ ყოველგვარ წინადადების უარყოფის საქმეში განსაკუთრებული აქტივობა და ენერგია გამოიჩინეს პოლონეთის და რუმინეთის დელეგაციებმა. წინააღმდეგ სხვა დელეგაციებისა, იაპონიის დელეგაცია საერთოდ არ მალავდა თავის აშკარად უარყოფით დამოკიდებულებას შეიარაღების შემცირებისადმი. იტალიის პოზიციას განსაზღვრავდა მისწრაფება, რომ მისი შეიარაღება არ ჩამორჩენოდა მეზობელ კონტინენტალურ სახელმწიფოს, ე. ი. საფრანგეთის შეიარაღებას. მოსამზადებელ კომისიაში განსაკუთრებული პოზიცია ეკავა გერმანიას, რომელიც სამართლიანად მიუთითებდა იმაზე, რომ გერმანიის შეიარაღების აკრძალვა თავის დროზე გამოცხადებულ იქნა, როგორც საყოველთაო განიარაღების დასაწყისი, მაგრამ ამის გახსენება ამჟამად არ უყვართ ევროპის გაბატონებულ იმპერიალისტურ სახელმწიფოების წარმომადგენლებს. განიარაღების მოსამზადებელი კომისიის უკანასკნელი სესიის მუშაობის შედეგები აღნიშნულია მის მიერ შედგენილ პროექტსა და ახსნა-განმარტებითი მოხსენებაში. ეს შედეგები გამოიხატება ზოგიერთ სახის შეიარაღების ყოველგვარი შეზღუდვის უარყოფასა და სხვა სახის შეიარაღების შენარჩუნებისა და გადიდების გამართლებაში. თვით განიარაღების იდეის სრულ გამასხარავებას წარმოადგენს ამერიკის დელეგაციის წინადადების გამო მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც უფლებას აძლევს ყოველ სახელმწიფოს, როცა იგი თვითონ დაინახავს „მისი უშიშროებისათვის" სახიფათო მდგომარეობის არსებობას, გადააჭარბოს კონვენციის მიერ დაწესებულ შეიარაღების ნორმებს და ამის შესახებ მხოლოდ აცნობოს კონვენციის დანარჩენ მონაწილეთ, რომლებიც თავიანთი მხრით, რა თქმა უნდა, არ დააყოვნებენ ისარგებლონ ამ გარემოებით საკუთარი შეიარაღების გასადიდებლად.

ყველაფერმა ამან აიძულა საბჭოთა კავშირის დელეგაცია გადაჭრით გამიჯნოდა მოსამზადებელ კომისიის მუშაობას და გამოსულიყო ამ კომისიის მუშაობის სრული უნაყოფობის აშკარა მხილებით. ერთა ლიგის საბჭო, ბოლოს, 1932 წლის თებერვლისათვის იწვევს განიარაღების საერთაშორისო კონფერენციას, რომლის მიმართაც არ შეიძლება რაიმე ილუზია ექონიოთ „იმათ, ვინც ნამდვილად მიისწრაფის განიარაღებისაკენ", საყოველთაო მშვიდობიანობისაკენ. ცნობილია, რომ, როდესაც საჭიროა შეთანხმება შეიარაღების გადიდების შესახებ, „განიარაღების" კომისიების გვერდით, „ყოველ შემთხვევაში მათი მუშაობისთვის ხელის შეუშლელად", იკრიბებიან კონფერენციები, ისეთი, მაგალითად, როგორიც ლონდონში შეიკრიბა, ან, როგორც ახლა ხდება, აწარმოებენ საიდუმლო დიპლომატიურ მოლაპარაკებებს და ამ გზით სწყვეტენ ყველაფერს, რაც კი საჭიროა ასეთი საქმისათვის. ახალი იმპერიალისტური ომების მომზადება ამით არ დაბრკოლდება, არ შეფერხდება.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, იგი განიარაღების კონფერენციაში იმდენად მიიღებს მონაწილეობას, რამდენადაც ეს კონფერენცია მართლაც შეეცდება განიარაღებას ან, ყოველ შემთხვევაში, შეიარაღების არსებითად შემცირებას. ამასთან ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ გავაფრთხილოთ კაპიტალისტური სახელმწიფოები, რომ ნებას არ მივცემთ მათ—მოგვახვიონ თავზე ან კონფერენციამდე, ან თვით კონფერენციაზე ჩვენ დაუსწრებლად და ჩვენი მონაწილეობის გარეშე მიღებული გადაწყვეტილებანი და შეთანხმებანი.

განიარაღების საკითხის გამო დღემდე არსებული ყველა კომისიების მუშაობისა და ბურჟუაზიული ქვეყნების ყველა თათბირების უშედეგობა და ახალი შეიარაღებათა სწრაფი ზრდა ყველა იმპერიალისტურ სახელმწიფოებში ადასტურებს იმას, რომ ეს სახელმწიფოები სრულებით არ არიან დაინტერესებულნი მშვიდობიანობის საქმის ნამდვილი განმტკიცებით და რომ ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ მოამზადონ ახალი იმპერიალისტური ომები. მახვილი აქ, როგორც ეს ყველასათვის აშკარაა, მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

იმავე საფრანგეთში რუსი თეთრგვარდიელნი ეხლაც კი აშკარად და სისტემატიურად აწარმოებენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის გამოცხადების კამპანიას. ყველასათვის ცნობილია შარშან ჟურნალ „ვოზროჟდენიე"-ში დაბეჭდილი რიაბუშინსკის წერილი—„საჭიროა ომი". ახლანდელი თეთრი ემიგრანტი რიაბუშინსკი ოდესღაც ოკულოვის ქაღალდის ფაბრიკის დირექტორად იყო. იმავე დროს იგი სხვებთან ერთად სათავეში ედგა მოსკოვის ბანკს და ასრულებდა მოსკოვის ვაჭართა წოდების და სხვათა არჩეული რწმუნებულის მოვალეობას. მოსკოველი და არა მარტო მოსკოველი მუშები კარგად იცნობენ ვაჭარ რიაბუშინსკებს და სხვა ყოფილ დიდ კაპიტალისტებს. ეხლა რიაბუშინსკების საქმე ცუდად არის. ეხლა მათ ისღა დარჩენიათ, რომ მოუწოდონ კაპიტალისტებს—თავს დაესხნენ საბჭოთა კავშირს. რიაბუშინსკი საბჭოთა წინააღმდეგ მიმართულ ომსაც კი, უპირველეს ყოვლისა, აფასებს ვაჭრული თვალსაზრისით—რა მოგებას მიიღებენ ამ ომისაგან კაპიტალისტები. ზემოხსენებულ წერილში რიაბუშინსკი ეხება ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. იგი სწერს:

„არ არის დედამიწაზე ისეთი წამოწყება, რომელსაც შეეძლოს შემოსავლის მხრივ უფრო გაამართლოს თავისი თავი, რომელიც უფრო რენტაბელური იყოს, ვიდრე რუსეთის განთავისუფლება. ერთი მილიარდის დახარჯვით კაცობრიობა მიიღებს, სულ ცოტა, 5 მილიარდიან შემოსავალს. ე. ი. წლიურად 500 პროცენტს და პერსპექტივას, რომ შემდეგში ეს მოგება 100—200 პროცენტით კიდევ გაიზრდება".

აბა სად შეიძლება ამაზე მომგებიანი საქმის გამონახვა? ასე „ბრძნულად" მსჯელობს გაკოტრებული ვაჭარი რიაბუშინსკი კაცობრიობაზე და, რასაკვირველია, მხედველობაში მას ვაჭართა წოდების „კაცობრიობა" ჰყავს. იგი თავისი ვაჭრული ანგარიშით აქეზებს უცხოელ კაპიტალისტებს საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელად.

ამ წლის დასაწყისში ჩვენ წავიკითხეთ აგრეთვე თეთრგვარდიელთა სამხედრო ნაწილების (საზღვარგარეთ) მეთაურის გენერალ მილერის კვეხნით სავსე განცხადება. ეს გენერალი ყველას გასაგონად [illegible] პრესაში თავის გეგმებზე: „ჩვენ მზად ვართ დავიწყოთ ომი. ჩვენ ვუცდით მხოლოდ ხელსაყრელ საერთაშორისო პირობებს და ფინანსიურ დახმარებას. ამ დახმარებას უეჭველია მივიღებთ იმ სახელმწიფოებისაგან, რომლებიც მოწადინებულნი არიან საბჭოთა კავშირის დამხობას"-ო. საჭირო არ არის ვამტკიცოთ, რომ ამ გენერლის სულელური კვეხნა იაფად ღირს. მაგრამ დამახასიათებელია, რომ ყველა ეს „ყოფილი ადამიანები"—რიაბუშინსკები, მილერები და მათი მსგავსნი—თავშესაფარს პოულობენ სწორედ იმ საფრანგეთში, რომელზედაც არ შეიძლება არ ვილაპარაკოთ ეხლა, როდესაც სასწორზე იდება საკითხი მშვიდობიანობისთვის შექმნილი საფრთხის შესახებ, განსაკუთრებით ისეთი საფრთხის შესახებ, რომელიც ემუქრება ჩვენი საბჭოთა კავშირის მშვიდობიან განვითარებას.

რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული ინტერვენციის საკითხი წარმოადგენს ეხლა არა შორეული მომავლის საკითხს,—ეს საკმაო სიცხადით გვიჩვენეს იმ მხილებებმა, რომლებსაც, სამრეწველო პარტიის" პროცესთან დაკავშირებით, ყველა ფართოდ გაეცნო. უცხოელ ინტერვენტების—პარიზის „სავაჭრო-სამრეწველო პარტიის" და მისი ნობელების, რიაბუშინსკების, კონოვალოვების, დენისოვების, გუკასოვების და სხვების—უშუალო ხელის შემწყობთა ჩვენებიდან ვიცით, რომ ინტერვენცია მზადდებოდა ჯერ კიდევ 1930 წლისთვის, ყოველ შემთხვევაში იგი 1931 წელზე გვიან არ უნდა მომხდარიყო. ასევე დაადასტურეს ეხლა მენშევიკ-ინტერვენციონისტების პროცესზე გრომანმა, სუხანოვმა, შერმა და სხვებმა. ამრიგად, ინტერვენციას ამზადებდნენ აქამდე და მზადებას განაგრძობენ ახლაც, ამ ჟამად.

მაგრამ ჩვენი მტრების ანგარიში შემცდარი გამოდგა. მათი საქმეები, კრიზისთან დაკავშირებით, უარესად აირია. ხოლო, პირიქით, ჩვენი საქმეები, ხუთწლედის წარმატებასთან დაკავშირებით თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა. საბჭოთა კავშირის ძლიერებამ დიდად აიწია, ჩვენ განვაგრძობთ მის გაძლიერებას ეხლაც, ამასთან განვაგრძობთ ჩვენი წითელი არმიის გამაგრებას და კარგად ვიცით, რომ დღითი-დღე ჩვენ უფრო ძლიერნი ვხდებით (ტაში).

მაგრამ უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ ჩვენი მტრები ჯერ კიდევ 1930-31 წლამდე ცდილობდნენ აშკარა პროვოკაციას, რათა ომში გამოვეწვიეთ. ის თავდასხმა, რომელსაც 1929 წელს ადგილი ჰქონდა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე, უეჭველია საცდელი ნაბიჯი იყო. ჯერ კიდევ მაშინ იწყეს ჩვენმა მტრებმა ხიშტებით ნიადაგის მოსინჯვა.

არავისთვის საეჭვო არ უნდა იყოს, რომ ეს იყო არა მარტო ამა თუ იმ ჩინელ გენერლების თავდასხმა, არამედ აგრეთვე მათ ზურგს უკან მდგომ უფრო ძლიერ უცხოელ იმპერიალისტურ სახელმწიფოების თავდასხმა. მაშინდელი თავდასხმა საბჭოთა „კავშირზე მარცხით დასრულდა. მუშურ-გლეხური წითელი არმია მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა (აპლოდისმენტები). შემდგომი მუშაობით სოციალისტური მეურნეობის წინ წაწევისათვის, ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებისათვის, საყოველთაო მშვიდობიანობისა და საბჭოთა კავშირის განვითარების მშვიდობიან პირობებისათვის მტკიცე და გადაუხრელი ბრძოლით, ჩვენ უნდა გავამაგროთ ჩვენი პოზიციები და მიუწვდომელი გავხადოთ ისინი მტრებისათვის (აპლოდისმენტები).

საბჭოთა კავშირის ურთიერთობა კაპიტალისტურ ქვეყნებთან და ჩვენი ბრძოლა მშვიდობიანობისათვის

საბჭოების მეხუთე ყრილობის წინა პერიოდთან შედარებით კაპიტალისტური ქვეყნების დამოკიდებულებაში საბჭოთა კავშირისადმი ვამჩნევთ გარდატეხას აშკარა მტრული განწყობილების გაძლიერების მხრივ. ეს, როგორც მე უკვე ვსთქვი, გამომდინარეობს საბჭოთა კავშირსა და მის კაპიტალისტურ გარემოცვას შორის ძალთა შეფარდების შეცვლიდან. მაგრამ, მიუხედავად აშკარა ინტერვენციონისტურ განწყობილებათა გაძლიერებისა კაპიტალისტური ქვეყნების გაბატონებულ ბურჟუაზიულ ფენებში, საბჭოთა კავშირი წარმატებით აწარმოებდა ბრძოლას მშვიდობიანობისათვის. საბჭოთა ხელისუფლება—კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა მასების გაძლიერებულ დახმარებაზე, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური სიძლიერისა და თავდაცვის უნარიანობის ზრდაზე დაყრდნობით—ამაგრებდა თავის საერთაშორისო პოზიციებს და, ეჭვს გარეშეა, ამ მიმართულებით ფრიად მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალისტური გარემოცვის ძირითადი ტენდენცია მის დამოკიდებულებაში საბჭოთა კავშირის მიმართ განისაზღვრებოდა სოციალისტურ სახელმწიფოსადმი სიძულვილის ზრდისა და ჩვენი წარმატებების წინაშე შიშის გაძლიერებით, მაინც არ შეიძლება არ დავინახოთ განსხვავება ცალკე ქვეყნების დამოკიდებულებაში საბჭოთა კავშირის მიმართ. თუ, მიუხედავად თავისი მისწრაფებისა მშვიდობიანობის საქმის განმტკიცებისაკენ, საბჭოთა კავშირმა ვერ შესძლო ურთიერთობის გაუმჯობესების მიღწევა ცალკე ქვეყნებთან, როგორიც არის მაგ. საფრანგეთი, პოლონეთზე რომ არ ვილაპარაკოთ, მეორეს მხრივ კონსერვატორების დამარცხებას უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში შედეგად მოყვა მთავრობის შეცვლა ინგლისში და შესაძლებელი შექმნა ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის განახლება საბჭოთა კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის.

სოციალისტური მშენებლობის ინტერესები განუყრელად არის დაკავშირებული მშვიდობიანი ურთიერთობის განმტკიცებასთან სხვა სახელმწიფოებთან და საბჭოთა კავშირსა და ამ ქვეყნებს შორის სამეურნეო ურთიერთობის განვითარებასთან. ეს ამოცანები,—სხვა სახელმწიფოებთან მშვიდობიან ურთიერთობის განმტკიცებისა და ეკონომიური ურთიერთობის განვითარების ამოცანები, მუდამ წარმოადგენდა საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის ნამდვილ საფუძვლებს მთელი განვლილი პერიოდის მანძილზე. მსოფლიო კრიზისმა არა მარტო გაამწვავა და გააღრმავა ძველი წინააღმდეგობანი, არამედ აგრეთვე გამოაშკარავა ახლებიც. თუ კრიზისი აიძულებს ერთი ქვეყნების გაბატონებულ კაპიტალისტურ ჯგუფებს, რომ სხვადასხვა ხელოვნური ზომებით, სახელდობრ—საბაჟო ტარიფებით, საქონლის შემოზიდვის აკრძალვით და სხვ. ზღუდე აღუმართონ საბჭოთა ექსპორტს, სხვა ქვეყნებში განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, საიდანაც იმპორტი საბჭოთა კავშირში მნიშვნელოვანია, არ შეიძლება არ იყოს საბჭოთა კავშირთან სამეურნეო ურთიერთობის გამაგრების ტენდენციები. ერთ კაპიტალისტურ ქვეყნებში აშკარად იმარჯვებს საბჭოთა ექსპორტის ჩახშობის ცდები ეკონომიურ ბლოკადის ორგანიზაციისა და საბჭოთა კავშირზე შეიარაღებული თავდასხმის მომზადების ცდები. ამასთან ერთად სხვა ქვეყნებში, რომლებიც საჭიროებენ საბჭოთა ნედლეულს, [illegible] საკუთრებით კი ბაზარს თავისი საქონლის ექსპორტისათვის, განაგრძობს არსებობას და ნაწილობრივ განვითარებას სხვადასხვა სამეურნეო საკითხებში საბჭოთა კავშირთან შეთანხმების მისწრაფებები. მსოფლიო კრიზისი არავითარ შემთხვევაში არ იწვევს კაპიტალისტურ ბანაკის შიგნით არსებულ წინააღმდეგობათა შესუსტებას. მაშასადამე, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნის ცდები ახლა არ შეიძლება არ წააწყდეს მნიშვნელოვან დაბრკოლებებს. თავის ბრძოლაში საყოველთაო მშვიდობიანობისათვის, ბრძოლაში მშვიდობიანი ურთიერთობის განმტკიცებისათვის სხვა ქვეყნებთან, საბჭოთა ხელისუფლებამ უკვე არა ერთხელ დაამტკიცა თავისი თანამიმდევრობა და განსაკუთრებული სიმტკიცე. ამ პოლიტიკას საბჭოთა კავშირი განაგრძობს შემდეგშიც იმ რწმენით, რომ საყოველთაო მშვიდობიანობის განმტკიცება შეეფერება არა მარტო ჩვენი ქვეყნის მუშებისა და მშრომელების ინტერესებს, არამედ ყველა ქვეყნის მშრომელთა ინტერესებს.

სულ მხოლოდ მოკლედ შევეხები ჩვენს ურთიერთობას ცალკე ქვეყნებთან. დავიწყებ გერმანიიდან.

უკანასკნელი 2 წელი, რომელმაც განვლო მეხუთე ყრილობის შემდეგ, შეიძლება გაიყოს ორ პერიოდად. პირველი პერიოდი შეიცავს 1929 წლის ბოლოს და 1930 წლის დასაწყისს. ჩემს მოხსენებაში საბჭოთა ყრილობაზე მე არ შემიძლია დუმილით აუარო გვერდი იმ ფაქტს, ჩვენთვის უაღრესად სამწუხაროს, რომ გერმანიის მთავრობის და საზოგადოებრივი წრეები ჩემს მიერ აღნიშნულ პირველ პერიოდში გაიტაცა ანტისაბჭოთა ჯვაროსნული ლაშქრობის ტალღამ, რომელმაც გერმანია-საბჭოთა ურთიერთობის გამაგრებასა და გაფართოებისათვის შექმნა დროებითი საფრთხე. მაგრამ 1930 წლის მეორე ნახევრიდან საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ურთიერთობაში იწყება ერთგვარი ხელსაყრელი გარდატეხა, რომელსაც მე კმაყოფილებით აღვნიშნავ. გერმანიის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ხაზი საბჭოთა კავშირის მიმართ უკანასკნელ დრომდე არის ხაზი მეგობრული თანამშრომლობისა და იმ ურთიერთობათა შემდგომი განმტკიცების ხაზი, რომლებმაც მთელი რიგი გამოცდები დაიჭირეს 9 წლის მანძილზე და რომლებიც, ჩვენი ღრმა რწმენით, შეიძლება და კიდეც უნდა განვითარდეს შემდეგში ორივე ქვეყნის ინტერესებისათვის, საყოველთაო მშვიდობიანობის დაცვის ინტერესებისათვის. გერმანიის მრეწველობის თვალსაჩინო ხელმძღვანელების ყოფნა მოსკოვში წარმოადგენს ზედმეტ დამამტკიცებელ საბუთს იმ ყურადღებისა, რომელსაც იჩენენ გერმანიის ხელმძღვანელები—გერმანია საბჭოთა ეკონომიური თანამშრომლობის მნიშვნელობის საკითხში. ნება მომეცით გამოვთქვა რწმენა, რომ ამ დელეგაციის ჩამოსვლა და მისი მოლაპარაკება უშუალოდ საბჭოთა მრეწველობის ხელმძღვანელებთან, ნაყოფიერ შედეგებს მოიტანს და კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენი ეკონომიური ურთიერთობის საძირკველს.

ჩვენი ურთიერთობა იტალიასთან განვლილ ორი წლის მანძილზე ნორმალურად და საერთოდ ხელსაყრელად ვითარდებოდა. სავაჭრო ურთიერთობის ხაზით ჩვენ აქ გვაქვს ერთგვარი გარდატეხა უკეთესი მდგომარეობისაკენ. წარსული წლის 2 აგვისტოს დადებულმა ხელშეკრულებამ, რომლის ძალითაც იტალიის მთავრობამ იკისრა გარანტია გრძელვადიანი კრედიტებისა ჩვენი სახელმწიფო ორგანოების დაკვეთების უზრუნველსაყოფად იტალიაში, შექმნა წინასწარი პირობები ჩვენი დაკვეთების საგრძნობი გაფართოებისათვის იტალიაში. ეს შეთანხმება შესრულებულია და გადაჭარბებითაც არის შესრულებული უფრო მოკლე ვადაში, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო წინად. ამასთან ერთად, იტალიაში ჩვენ ვამჩნევთ ინტერესის საგრძნობ ზრდას ჩვენი ექსპორტის მთელ რიგ საგნებისადმი, როგორიც არის ნავთი, პური, ნახშირი, ტყე და სხვ. იტალიასთან ჩვენი ურთიერთობის განვითარების გამოცდილება წარმოადგენს საუკეთესო დამამტკიცებელ საბუთს საბჭოთა კავშირის და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობის, ურთიერთ ხელსაყრელობის შესაძლებლობისა, სოციალურ-პოლიტიკურ სისტემათა სრული წინააღმდეგობის პირობებშიც კი. იტალია-საბჭოთა ურთიერთობის გაცხოველებამ მიზანშეწონილი გახადა პირადი კონტაქტის დამყარება აზრთა გაცვლა-გამოცვლისათვის საგარეო საქმეთა კომისარ ლიტვინოვსა და იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრ გრანდის შორის. ვინაიდან ყველაზე უდიდეს საფრთხეს მშვიდობიანობისათვის ამჟამად წარმოადგენს კაპიტალისტურ ქვეყნების ანტისაბჭოთა ბლოკის შექმნა, საბჭოთა კავშირის დაახლოვება რომელიმე ქვეყანასთან, განსაკუთრებით ასეთ მნიშვნელოვან ქვეყანასთან, როგორიც არის იტალია, არ შეიძლება არ ემსახურებოდეს მშვიდობიანობის საქმეს.

განვლილი პერიოდის განმავლობაში საბჭოთა კავშირის და თურქეთის ურთიერთობა განაგრძობდა განმტკიცებას. ამ გარემოებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა საგარეო საქმეთა კომისრის მოადგილის ამხ. კარახანის გამგზავრებაში თურქეთში 1929 წლის დეკემბერში და ანგორაში თურქეთ-საბჭოთა ოქმის ხელის მოწერაში თურქეთ-საბჭოთა კავშირის პარიზის პაქტის მოქმედების კიდევ ორი წლით გაგრძელების შესახებ. პარიზის შეთანხმების დასამატებლად ანგორის ოქმმა გააფართოვა მხარეთა ვალდებულებები, დააწესა მათი ურთიერთვალდებულება—არ გამართონ მოლაპარაკება სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთ გაფრთხილების გარეშე და არ დასდვან ამ სახელმწიფოებთან შეთანხმებები მეორე მხარის თანხმობის გარეშე. თევფიკ რუშდი-ბეის სტუმრობა საბჭოთა კავშირში 1929 წელს წარმოადგენდა საბჭოთა კავშირისა და თურქეთის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელთა შორის პირადი კონტაქტის შემდგომ გაფართოებას და ორივე ქვეყანას შორის მეგობრულ ურთიერთობის არსებობის ახალ დამამტკიცებელ საბუთს.

ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა თურქეთსა და საბჭოთა კავშირს შორის განაგრძობდა განვითარებას და განვლილ პერიოდში დაიწყო მოლაპარაკება თურქეთ-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების დასადებათ, რომელიც ახლო ხანში იქნება ხელმოწერილი. ამრიგად ჩვენ გვაქვს თურქეთსა და საბჭოთა კავშირის შორის მეგობრული ურთიერთობის საერთო განმტკიცება და მათი გაფართოება პრაქტიკული თანამშრომლობის მთელ რიგ დარგებში. დღეს ანგორიდან მიღებულია დეპეშა იმის შესახებ, რომ გუშინ ხელი მოაწერეს თურქეთ-საბჭოთა შეთანხმებას.

ამ შეთანხმების მიხედვით ორივე მხარე ვალდებულია გააფრთხილოს ერთმანეთი 6 თვით ადრე ახლად შეკვეთილ ან ახალი სამხედრო გემების აშენების შესახებ შავი ზღვის ფლოტისათვის. რა თქმა უნდა, ასეთი შეთანხმებანი არ სცვლიან ჩვენს წინადადებებს განიარაღების შესახებ, მაგრამ ამ შემთხვევაში შეთანხმება ერთხელ კიდევ ამტკიცებს ორივე მხარის ურთიერთ ნდობას.

ჩვენს დამოკიდებულებაში დიდ ბრიტანეთთან საბჭოების მეხუთე ყრილობის შემდეგ, როგორც უკვე ვსთქვით, დიდი ცვლილებები მოხდა. კონსერვატორების დამარცხება არჩევნებში 1929 წელს, ამავე დროს მათი საგარეო ანტისაბჭოთა პოლიტიკის დამარცხებაც იყო. როგორც საბჭოთა კავშირი, ისე დიდი ბრიტანეთი დაინტერესებული არიან თავიანთი ეკონომიური ურთიერთობის განვითარებაში და ჩვენ უკვე მოგვეპოვება ამ დარგში ერთგვარი წარმატება. ჩვენი ურთიერთობის პირველ ნორმალურ წელსავე—1929-30 წელს საბჭოთა იმპორტი ინგლისიდან წინა წელთან შედარებით გაიზარდა 9.912.000 გირვანქა სტერლინგიდან 15.395.000 გირვანქა სტერლინგამდე. ე. ი. ნახევარჯერ და უფრო მეტადაც. ჩვენ გვაქვს საფუძველი დიდ ბრიტანეთთან ჩვენი ეკონომიური ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის. საჭიროა აღინიშნოს აგრეთვე, როგორც დადებითი ფაქტი, რომ ამ ჟამად ლონდონში გამართულია ინგლისის და საბჭოთა კავშირის ექსპერტთა შერეული კომისიის სხდომა, რომელიც ამოწმებს და არკვევს ურთიერთ მატერიალურ პრეტენზიებს. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ანგარიში არ გავუწიოთ იმ გარემოებას, რომ ინგლისის პარლამენტი და ინგლისის პრესის ერთი ნაწილი წარმოადგენენ საბჭოთა კავშირის მიმართ განუწყვეტელი, აშკარად მტრული გამოსვლების ასპარეზს. გარკვეული წრეები, განსაკუთრებით კონსერვატიული პარტია, ყოველგვარ ზომებს მიმართავენ იმისათვის, რომ ჩაშალონ ინგლის-საბჭოთა ურთიერთობა. საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია არ გააფრთხილოს საბჭოების ყრილობა იმის შესახებ, რომ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღებით ვადევნოთ თვალი მდგომარეობის განვითარებას ინგლისში, ვინაიდან იქ ანტისაბჭოთა კამპანიას და მოძრაობას ინტერვენციის მოსამზადებლად მეთაურობენ კონსერვატიული პარტიის მეტად გავლენიანი ხელმძღვანელები, ინგლისის მთავრობის ყოფილი წევრები. ამ პარტიის და ამ პირთა მისწრაფების განხორციელება—ხელისუფლების კვლავ დაბრუნება უეჭველად საფრთხეში ჩააგდებს საყოველთაო მშვიდობიანობის საქმეს, რადგან ამ იმპერიალისტური წრეების სახით ინგლისში არ შეიძლება არ დავინახოთ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ახალი ინტერვენციის პირდაპირი ორგანიზატორები, ახალი მსოფლიო ომის პირდაპირი ორგანიზატორები.

ჩვენი დამოკიდებულება იაპონიასთან ნორმალურად ვითარდება მეგობრობის შემდგომი განმტკიცების და აუცილებელი ურთიერთ გაგების მხრით, რომელთაც საფუძველი ჩაუყარა პეკინის შეთანხმებით. მე კმაყოფილებით აღვნიშნავ იმ ფაქტს, რომ შეთანხმების დადების მომენტიდან, კერძოდ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში არ მომხდარა არც ერთი პოლიტიკური კონფლიქტი საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის. ამასთან სავაჭრო ურთიერთობა ჩვენს შორის საგრძნობლად განვითარდა, ამჟამად იგი ოთხჯერ უფრო მეტია, ვიდრე მეფის რუსეთის და იაპონიის ვაჭრობა ომამდე.

თევზის ჭერის კონვენციის ცხოვრებაში გატარების ნიადაგზე წამოჭრილი სადაო საკითხები სწყდებოდა და, ჩვენ იმედი გვაქვს, შემდეგშიაც გადაწყდება, მეგობრულად და დადებული ხელშეკრულების სასტიკი დაცვით. ცალკე მრეწველთა ვიწრო ანგარიშით ნაკარნახევ ცდებს რომ უგულებელყო კონვენცია და საბჭოთა კანონმდებლობა, საბჭოთა ხელისუფლება, ბუნებრივია, სათანადო პასუხს აძლევდა. ჩვენი ქვეყნების ინტერესთა ურთიერთი პატივისცემა და ხელშეკრულებით დაკისრებულ ვალდებულებათა სასტიკი დაცვა უნდა წარმოადგენდეს ბაზას ჩვენი მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არ მომხდარა ცვლილება ჩვენს მეგობრულ ურთიერთობაში სპარსეთთან. განსაკუთრებით აღვნიშნავ, რომ ჩვენ უკვე შევუდექით მოლაპარაკებას სპარსეთ-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ, რაც აგრეთვე ხელს შეუწყობს ჩვენი ურთიერთობის განმტკიცებას.

ავღანისტანის მიმართ საბჭოთა მთავრობა უცვლელად იცავდა მეგობრულ ურთიერთობისა და მისი დამოუკიდებლობის განმტკიცების პოზიციას. ამჟამად ჩვენი ურთიერთობა ავღანისტანთან სრულიად ნორმალურად მიმდინარეობს. განსაკუთრებით აღვნიშნავ, რომ ჩვენი ეკონომიური ურთიერთობა ავღანისტანთან სისტემატიურად ფართოვდება. დღის წესრიგში დასმულია საკითხი სავაჭრო ხელშეკრულების ხელმოწერის შესახებ, რომლის საჭიროება შეგნებულია და აღიარებულია ორივე მხარის მიერ. ჩვენ გვაქვს სრული საფუძველი ვიმედოვნოთ, რომ შემდეგში გაიზრდება და განმტკიცდება ჩვენი ყოველმხრივი დამოკიდებულება ავღანისტანთან.

საფრანგეთთან ურთიერთობაზე მე ზევით მომიხდა შეჩერება. გარდა ამისა, ეს საკითხი ამას წინად გაშუქებულ იქნა ჩემ მიერ საკავშირო ცაკის სესიაზე. მას შემდეგ არ მომხდარა არსებითი ცვლილებანი. საფრანგეთის ხელმძღვანელი წრეების განსაკუთრებული როლი უკანასკნელი პერიოდის ანტისაბჭოთა კამპანიაში საკმაო ფართოდ არის ცნობილი.

საფრანგეთის მთავრობის ანტისაბჭოთა გამოსვლების განსაკუთრებული მტრული ხასიათის საილუსტრაციოდ შეიძლებოდა მოგვეყვანა ბრიანის ერთი უკანასკნელი ინტერვიუთაგანი. გაზეთ „მატენ"-ს ცნობით, ბრიანი თითქოს უარს ამბობს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობაზე, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე დარჩენით საშუალება მიეცეს უფრო ნაყოფიერად იბრძოლოს ბოლშევიზმის წინააღმდეგ, ვინაიდან „ბრიანს აფრთხობს ის აზრი, რომ ბოლშევიზმს, რომელიც სარგებლობს მეტისმეტად სერიოზული ეკონომიური კრიზისით, შეუძლია [illegible] დაიპყროს მსოფლიო" (26 იანვრის „მატენ"-ი). ამასთან ერთად უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში განსაკუთრებული დაბრკოლებანი იქმნება ჩვენი სავაჭრო წარმომადგენლობისა და სამეურნეო ორგანოების მუშაობისათვის საფრანგეთში. მე მხედველობაში მაქვს ჩვენი საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი ანტისაბჭოთა სასამართლო პროცესები სხვადასხვა ბნელი პირის სარჩელთა გამო, რომლებსაც საფრანგეთში თავი მოუყრიათ სხვადასხვა ქვეყნებიდან და რომელთა გაზვიადებულ პრეტენზიებს ჩვენი სამეურნეო ორგანოების მიმართ სისტემატიურად აკმაყოფილებს საფრანგეთის სასამართლო. ამავე დროს საფრანგეთის სასამართლო არ ერიდებოდა დამყარებოდა აშკარა ყალბ, თაღლითურ საქციელს, რასაც სჩადიოდნენ მესარჩელეები საბჭოთა სახელმწიფოს მიმართ. ყოველივე იმის შემდეგ, რაც ზემოთ იყო თქმული, საჭირო არაა დაწვრილებით შევჩერდეთ ჩვენს ურთიერთობაზე საფრანგეთთან. სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ საფრანგეთ-საბჭოთა ურთიერთობაში ჩამარხულია განსაკუთრებით სერიოზული და მძიმე საფრთხე მთელი მსოფლიოს მშვიდობიანობისათვის. უბრალოდ კი არ შეიძლება ახსნილ იქნას ის გარემოება, რომ ჩვენს წინადადებაზე ურთიერთ თავდაუსხმელობის პაქტის დადების შესახებ ყოველთვის უარს ამბობდა საფრანგეთის მთავრობა, ვითომ იმ მოსაზრებით, რომ მშვიდობიანობის დარღვევის საფრთხის აცილება არ შეეხებოდეს საფრანგეთის მთავრობის ინტერესებს.

მიუხედავად ამისა, ჩვენ მზადა ვართ განვაგრძოთ ჩვენი მეცადინეობა ურთიერთობათა განსამტკიცებლად, თუ კი დავინახავთ, რომ საფრანგეთის მხრითაც გამოჩენილი იქნება სურვილი საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაუმჯობესებისა.

ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის სამწუხაროდ, ისევ ვერ არის დამაკმაყოფილებელი. მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთმა მიიღო ჩვენი წინადადება ცნობილი მოსკოვის ოქმის ხელმოწერის შესახებ. საბჭოთა მთავრობის მიერ არა ერთხელ გამოჩენილ ცდამ, რომ განმტკიცებულიყო პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა, სათანადო გამოხმაურება ვერ ჰპოვა. მეორეს მხრით, ჩვენ, როგორც მის უშუალო მეზობლებს, არ შეგვიძლია არ მივაქციოთ ყურადღება იმას, რომ პოლონეთი განიარაღების მოსამზადებელი კომისიის სამი სესიის განმავლობაში დაჟინებით და აქტიურად მონაწილეობდა, როგორც საბჭოთა, ისე სხვების წინადადებათა უარყოფაში შეიარაღების ნამდვილი შემცირების შესახებ.

ჩვენი ურთიერთობა ბალტიის მხარის სახელმწიფოებთან — ლატვიასთან, ესტონეთთან, და ფინეთთან—უკანასკნელ ხანებში დიდათ არ შეცვლილა. უნდა აღინიშნოს მხოლოდ, რომ უცხოეთის დიდი სახელმწიფოები მცირე ზეგავლენას როდი ახდენენ ამ სახელმწიფოთა პოლიტიკაზე. ურთიერთობა ლიტვასთან და აგრეთვე დანციგთან სრულიად ნორმალურია და სისტემატიურად უმჯობესდება.

ჩვენი ეკონომიური ურთიერთობა შვეციასთან, ნორვეგიასთან და აგრეთვე ავსტრიასთან, ნორმალურად ვითარდებოდა. საბერძნეთი ბალკანეთის ერთად-ერთი ქვეყანაა, რომელიც უკვე 1924 წლიდან ნორმალურ მეგობრულ ურთიერთობაშია საბჭოთა კავშირთან. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია განსაკუთრებით აღვნიშნო საბერძნეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განვითარებისა და გამტკიცების ფაქტი საბჭოების მე-5 ყრილობიდან გასული პერიოდის განმავლობაში. აღვნიშნავ კიდევ ჩვენი ურთიერთობის განვითარებას ჰეჯასთან და იემენთან.

ამჟამად საჭირო არ არის დაწვრილებით შევჩერდე ჩვენს ურთიერთობაზე ჩინეთთან. ყველას ახსოვს, თუ მშვიდობიანობის თანამიმდევრობითმა პოლიტიკამ, რასაც ერთსულოვნად მხარი დაუჭირეს საბჭოთა კავშირის მშრომელებმა, საშუალება მოგვცა ჩვენ მოკლე ვადაში მოგვეხდინა იმ ავანტიურის ლიკვიდაცია, რომელიც გამოიწვიეს თავზე ხელაღებულმა ჩინეთის გენერლებმა, და [illegible] გამოგვეაშკარავებია ამ თავდასხმის პროვოკაციის გამომწვევი იმპერიალიზმის ძალები, რომლებიც სულ უკანასკნელ დრომდე ცდილობდნენ ჩაეშალათ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით ამოწურვა. მიუხედავად ამ ცდებისა, რამაც საკმაო გულახდილი გამოხატულება ჰპოვა ამერიკის, საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობათა 1929 წლის 3 დეკემბრის დეკლარაციაში, ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტი მოგვარებულ იქნა უშუალო მოლაპარაკების საშუალებით და ხაბაროვსკის ოქმის ხელის მოწერით, რომლითაც აღდგენილი იქნა საბჭოთა კავშირისათვის კონფლიქტის წინადროინდელი მდგომარეობა ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზაზე და მანჯურიაში. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ წარმატებით დამთავრდება ჩინეთ-საბჭოთა კონფერენციის მუშაობა და ამასთან ერთად უდიდესი სიფრთხილით თვალყურს ვადევნებთ ჩვენი მტრების მახინაციებს, ვააშკარავებთ მათ პროვოკატორულ მტრულ მუშაობას საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ხალხთა ინტერესების წინააღმდეგ და მზად ვიქნებით პასუხი გავსცეთ ყოველგვარ ცდებს, რომ დარღვეულ იქნას მშვიდობიანობა შორეულ აღმოსავლეთში.

იმ ქვეყნებიდან, რომლებთანაც საბჭოთა კავშირი არ იმყოფება ნორმალურ ურთიერთობაში, უნდა მოვიხსენიოთ კიდევ ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატები. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ვაჭრობა განუწყვეტლად და საგრძნობლად იზრდება ამ ქვეყანასთან, განსაკუთრებით იზრდება შეერთებული შტატებიდან საქონლის შემოტანა საბჭოთა კავშირში, — მიუხედავად ამისა, შეერთებულ შტატებში უფრო და უფრო ძლიერდება ბურჟუაზიის იმ ავანტიურისტული ელემენტების როლი, რომლებიც ცხოველურ სიძულვილს იჩენენ ყოველგვარ საბჭოთა და ყოველგვარ პროლეტარული მოვლენისადმი. საკმარისია მივუთითოთ ფიშის იმ კომისიაზე ამერიკის პარლამენტში, რომელმაც „თავი ისახელა" უვიცი და ყალბი „ბრალდებებით" ჩვენი სამეურნეო ორგანიზაციების წინააღმდეგ; ეს კომისია ასრულებს ვილაცას გარკვეულ დავალებას ევროპის იმ ჯგუფებთან მთლიანი ფრონტის შექმნის შესახებ, რომლებიც ამზადებენ ეკონომიურ ბლოკადას და შეიარაღებულ ინტერვენციას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მხოლოდ მმართველი წრეების უძლურებით შეერთებული შტატების კაპიტალისტური კრიზისის დაძლევის საქმეში და მისწრაფებით—მოიხსნან პასუხისმგებლობა მუშათა მასების უდიდესი უბედურებისათვის შეიძლება აიხსნას ის მდგომარეობა, რომ ყოველგვარ ფიშებს საშუალებას აძლევენ ითამაშონ რაღაც პოლიტიკური როლი ამერიკაში. მაგრამ რამდენადაც ფიშების და კომპანიის ანტისაბჭოთა მუშაობა მიდის ამერიკაში საბჭოთა საქონლის შეტანის ფაქტიურ აკრძალვამდე, შეერთებულმა შტატებმა ანგარიში უნდა გაუწიონ იმას, რომ ეს აუცილებლად და დაუყოვნებლივ იქონიებს ჩვენს იმპორტზე ამერიკიდან.

საერთაშორისო ცხოვრების სურათი არ იქნება სრული, თუ არ მოვიხსენებთ კიდევ ერთ სახელმწიფოს, რომელიც დღემდე ჩვენს წარმოდგენაში საშუალო საუკუნეებს უფრო მოგვაგონებდა ვიდრე თანამედროვე ცხოვრებას. ადვილად მიხვდებით, რომ ლაპარაკია ვატიკანზე, რომელიც უკანასკნელ წლებში ცდილობს აქტიურად ჩაერიოს საერთაშორისო ცხოვრებაში, რა თქმა უნდა კაპიტალისტების და მემამულეების დასაცავად, იმპერიალისტების, ინტერვენტების და ომის ცეცხლის დამთებელთა დასაცავად.

დიდიხანია ცნობილია, რომ კათოლიკეთა პატრებს არჩევენ ისეთი პირებიდან, რომელთაც შეუძლიათ საჯაშუშო მუშაობის წარმოება გენერალური შტაბებისათვის. ეხლა ეს ვაჟბატონები განსაკუთრებულ ენერგიას იჩენენ, მაგრამ არა ლოცვაში „მთელი ქვეყნის მშვიდობიანობისთვის", არამედ ანტისაბჭოთა კამპანიების მოწყობაში ბატონ კაპიტალისტების შეკვეთით და სასყიდლით. თუ ამ უკანასკნელ დროს ზოგიერთ ანტისაბჭოთა კამპანიას აშკარად მეთაურობს თვით რომის პაპი, გასაგებია, რომ ძნელი არ არის გამონახვა, მაგალითად, იმავე ინგლისში ერთი ბინძური ანტისაბჭოთა კამპანიისათვის კენტერბერიის ეპისკოპოსის, ხოლო მეორე, არანაკლებ საზიზღარი პოლიტიკური კამპანიისათვის მუშებისა და გლეხების რესპუბლიკების წინააღმდეგ — დერგემის ეპისკოპოსის. ჩვენ შემთხვევით ხელთ ჩაგვივარდა ვატიკანის არაოფიციალური აგენტის (ავსტრიაში)—ბიდლის მოხსენება. ეს ვაჟბატონი, რომელიც ავსტრიის არმიის ყოფილი პოლკოვნიკია, ადგენს ვენაში საერთაშორისო ანტიბოლშევიკური კონგრესის მოწვევის გეგმას. პაპის ამ აგენტის მთავარ მიზანს შეადგენს ის, რომ ხელი შეუწყოს საბჭოთა კავშირზე თავდასხმის მომზადებას. მოხსენებული დოკუმენტში ამის შესახებ ნათქვამია: „ბრძოლა ბოლშევიზმის წინააღმდეგ ნიშნავს ომს, ომი აუცილებლად მოხდება... ამიტომ უდროო და უადგილოა იმ საკითხის შესწავლა, თუ როგორ ავიცილოთ იგი თავიდან და დავხარჯოთ ენერგია უიმედო სამშვიდობო უტოპიებზე".

ეს, უკაცრავად პასუხია, პოლიტიკური მოღვაწე ავსტრიელ პოლკოვნიკებიდან, რომელიც ავითარებს ანტისაბჭოთა კამპანიის დაწვრილებით, თუმცა საკმაოდ უაზრო გეგმას, სწერს: „თუ ამბები იმდენად განვითარდება, რომ გამოცხადდება ეკონომიური ბოიკოტი და გატარდება აღნიშნული პოლიტიკური ღონისძიებანი(ურთიერთობის გაწყვეტა საბჭოთა კავშირთან, ყოველგვარი პრეტენზიების წარდგენა და თან საბჭოთა ქონების კონფისკაცია უცხოეთში და სხვ), ამას აუცილებლად შედეგად მოჰყვება ბრძოლა ბოლშევიზმთან სამხედრო საშუალებებით". ამასთან ამ დოკუმენტში „ბრძნული" მითითებაა, ვრანგელისა და იუდენიჩის ყოფილ თეთრ ოფიცრებზე, აგრეთვე იმაზე, „რომ ძნელი არ იქნება ამ მიზნისათვის შეგროვება რამდენიმე მილიონი უმუშევრისა, რომლებითაც სავსეა ამჟამად ევროპა და ამერიკა და ომში გამოცდილი ძველი ჯარისკაცების და უნარიანი ახალგაზრდობის საკმაო რაოდენობისა". რაც შეეხება ფულადი სახსრების შეგროვებას, მთავარი იმედი დამყარებულია „უწმინდესი პაპის" შემოწირულებაზე, აგრეთვე შეძლებული თავად-აზნაურების, მსხვილი მემამულეების, ფინანსისტების, მრეწველების და დიდი სახელმწიფო მოღვაწეების შემოწირულებაზე, ამ უკანასკნელთა შორის განსაკუთრებით დასახელებულია ჩერჩილი, ფლანდენი, გაიდა, ჩან-კაი-ში და სხვ.

აი რას აკეთებენ ვატიკანის აგენტები. აი როგორია „უწმინდესი პაპის" როლი ახალი მსოფლიო ხოცვა-ჟლეტის და საბჭოთა კავშირზე თავდასხმის მომზადებაში.

ამით ვათავებ საერთაშორისო მდგომარეობის და უცხო სახელმწიფოებთან საბჭოთა კავშირის ურთიერთობის მიმოხილვას.

ამრიგად, საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ძალთა განწყობილებაში საერთაშორისო მასშტაბით. ამასთან, ყველაზე მნიშვნელოვანია ის უდაო ფაქტი, რომ საერთაშორისო ურთიერთობაში საგრძნობლად გაიზარდა საბჭოთა კავშირის როლი. უფრო და უფრო მწვავედ აშკარავდება ორი ძირითადი საზოგადოებრივი სისტემის—კაპიტალისტური სისტემის და საბჭოთა წყობილების—წინააღმდეგობა. დღითი-დღე იზრდება საბჭოთა კავშირის, როგორც განთავისუფლებული შრომის ქვეყნის, როგორც მშრომელთა ნამდვილი ხელისუფლების ქვეყნის, როგორც საყოველთაო მშვიდობიანობის ინტერესების განმტკიცების და კაპიტალისტური კრიზისებისაგან მუშების განთავისუფლების ბურჯის საერთაშორისო მნიშვნელობა. ყოველივე ეს აძლიერებს სიძულვილს საბჭოთა რესპუბლიკისადმი იმპერიალისტურ წრეებში, რაც უფრო მეტად და გადაჭრით იბრძვის საბჭოთა კავშირი მშვიდობიანობისათვის და რაც უფრო მეტად ამაგრებს იგი სოციალიზმის მშენებლობის ეკონომიურ საფუძვლებს, მით უფრო გაფაციცებით ემზადებიან აგრესიული ბურჟუაზიის მმართველი წრეები ინტერვენციისათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და საყოველთაო მშვიდობიანობის ჩაშლისათვის. ეს იმპერიალისტური პოლიტიკა მიმართულია ჩვენი ხუთწლიანი გეგმის წინააღმდეგ. თავის უშუალო ამოცანას კაპიტალისტური გარემოცვა ხედავს იმაში, რომ ჩაშალოს ეს გეგმა, რადაც უნდა დაუჯდეს.

საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ლოზუნგი იყო და არის მშვიდობიანობის განმტკიცების ლოზუნგი. ამ ლოზუნგით წარმოიშვა საბჭოთა ხელისუფლება. ამ ლოზუნგისათვის მტკიცედ იბრძოლებს იგი შემდეგშიაც და ხელს შეუშლის უცხოეთის ინტერვენტების ყოველგვარ ცდას, „სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტებს" და მათ კონტრრევოლიუციონურ აგენტებს ჩვენს ქვეყანაში. ბრძოლა საბჭოთა კავშირის განვითარების მშვიდობიანი პირობებისათვის განუყრელად არის დაკავშირებული ბრძოლასთან საყოველთაო მშვიდობიანობისათვის, მაშასადამე, განუყრელად არის დაკავშირებული სხვა ხალხებთან ძმური ურთიერთობის განმტკიცების საქმესთან. ბრძოლა მშვიდობიანობისათვის ეხლანდელ პირობებში უშუალოდ მოასწავებს ბრძოლას ანტისაბჭოთა ინტერვენციის გაშლილი მზადების და ამ ინტერვენციის სულისჩამდგმელი იმპერიალისტების წინააღმდეგ. ჩვენ აშკარად ვეუბნებით საბჭოთა კავშირის მშრომელებს და ყველა ქვეყნის მუშებს, რომ გაძლიერდა საფრთხე მშვიდობიანობის საქმისათვის. ამასთან გამოვსთქვამთ ურყევ რწმენას, რომ შეიარაღებული თავდასხმა საბჭოთა კავშირზე ამჟამად მოასწავებს მთავარ საფრთხეს იმათთვის, ვინც გაბედავს მშვიდობიანობის დარღვევას და საბჭოთა კავშირზე თავდასხმას (მქუხარე ტაში).

(ამხ. მოლოტოვის მოხსენების პირველი ნაწილის დასასრული).

ინტერვენტების გეგმები დაიმსხვრა

სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისრის მოადგილის ამხ. კამენევის სიტყვა

საბჭოების საკავშირო ყრილობის 9 მარტის საღამოს სხდომაზე

პირველ ყოვლისა, მე ვფიქრობ, მოგაგონოთ ის, რომ საბჭოთა კავშირი არ წარმოადგენს კოლონიას კაპიტალისტებისათვის. ეს საჭიროა გაიგოს საფრანგეთის გენერალურმა შტაბმა, რომელსაც, როგორც ეტყობა, ეს უკანასკნელ დრომდე არ ესმის. ინტერვენციის გეგმა, რომელიც გამოააშკარავა მავნებელთა პროცესმა, ეჭვს გარეშეა, მუშავდებოდა საფრან. გენერ. შტაბის მიერ. საფრანგეთის გენერალური შტაბის მონაწილეობა სჩანს მთელ იმ მუშაობიდან, რომელსაც ეწეოდა და ეწევა იგი ჩვენ მეზობელ სახელმწიფოებში—პოლონეთში, რუმინეთში, შავ ზღვაზე და ბალტიის მხარეში. ინტერვენციის მთელი გეგმა მოგვაგონებს საფრანგეთის ინტერვენციას 1918-19 წლებში, მაგრამ, რასაკვირველია, ძალთა განწყობილება იმ დროს რამდენადმე სხვანაირი იყო. ფრანგებმა გამოიყვანეს 100 ათასი ჯარისკაცი; მათ მხარს უჭერდა 60 სამხედრო გემი, ჩვენის მხრიდან იყვნენ ატამან გრიგორიევის დაქსაქსული ნაწილები. ამგვარად, ძალა იყო, რასაკვირველია, ინტერვენტების მხარეზე. მომავალი ამბები კი რამდენადმე სხვანაირად მოეწყობა. ახ ფრონტზე, ინტერვენციის გეგმით, განზრახულია პოლონეთისა და რუმინეთის ნაწილების მოქმედება. საფრანგეთის გენერალურ შტაბს, რასაკვირველია, უკეთ მოეხსენება, რამდენად უფრო მტკიცენი იქნებიან პოლონეთისა და რუმინეთის ეს ნაწილები იმ ნაწილებთან შედარებით, რომელთაც მაშინ საფრანგეთი მგზავნიდა. მათ წინააღმდეგ გამოვა ჩვენი წითელი არმია, რომლის ბრძოლის უნარსა და მომზადებაში ჩვენ დარწმუნებული ვართ.

იმპერიალისტური ომის გამოცდილებიდან კარგად ვიცით, რომ მარცხის დროს არავინ ისე ხმამაღლა არ გაჰყვიროდა—„მიშველეთო", როგორც ამას საფრანგეთის გენერალური შტაბი სჩადიოდა, გეგმაში კი არის მრავალი ისეთი ადგილი, რომელთა გამოც საფრანგეთის გენერალური შტაბი ადრე თუ გვიან ყვირილს მორთავს, გეგმის უსუსურ ოპერეტისებურ ნაწილად ჩვენ მიგვაჩნია ლაპარაკი თეთრგვარდიელთა არმიის შესახებ. ჩვენ ვიცნობთ თეთრგვარდიელთა ნაწილებს აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარი უკანასკნელი ამბების მიხედვით. თუ რამდენად უბადრუკი არიან ეს კადრები, ამას მოწმობს თუგინდ ის, რომ თეთრგვარდიელთა არმიის სათავეში აყენებენ ისეთ ფიგურებს, როგორიც არის გენერალი მილერი და ლუკომსკი. ორივეს ჩვენ კარგად ვიცნობთ სამოქალაქო ომის დროიდან. მილერი სარდლობდა ჩრდილოეთის ფრონტს, ლუკომსკი იყო დენიკინის ბანაკში. მილერის, როგორც სარდლის, მოქმედება, უფერული იყო. როგორც ადმინისტრატორმა და ორგანიზატორმა, მან განსაკუთრებით თავი იჩინა ჩრდილოეთის ოლქში იოკანგის კატორღის მოწყობით, სადაც ხვრეტდნენ ყველას, ვისზედაც ეჭვს მიიტანდნენ კომუნისტებისადმი სიმპატიაში, ხოლო შემდეგ იმით, რომ ის გაიქცა ყინულისმჭრელ „მინინ"-ით. ამ გენერლის სხვა ღირსებებს ჩვენ არ ვიცნობთ, თვით ინგლისელების აღიარებით, ჩრდილოეთის ფრონტს იმაგრებდნენ უმთავრესად ისინი, ხოლო ეს ნაწილები, რომლებსაც აწყობდა მილერი ინგლისელების დახმარებით, აბსოლუტურად მოკლებულნი იყვნენ ბრძოლის უნარს. ინგლისელების წასვლის შემდეგ, რაც მოხდა ინგლისის მუშათა პარტიის ზეგავლენით, მილერმა იბოგინა სულ რაღაც ოთხი თვის განმავლობაში, რის შემდეგაც ფრონტი განადგურებულ იქნა ჩვენ მიერ.

გენერალ ლუკომსკის ჩვენ ვიცნობთ, როგორც ზურგის მომუშავეს ყველა იმ თვისებებით, რაც ახასიათებს ზურგის გენერალს. ეს თვისებებია: სიმხდალე, ანგარება და ინტრიგანობა. ლუკომსკი იყო კორნილოვის, დენიკინისა და ალექსეევის მახლობელი მრჩეველი (კორნილოვთან და დენიკინთან ერთად ის იჯდა ბიხოვის სატუსაღოში და მათთან ერთად გაიქცა). მას აძლევდნენ დიდ სამხედრო თანამდებობებს, იყო კორნილოვის შტაბის უფროსად და გენერალ ალექსეევის თანაშემწედ, მაგრამ მეტად მცირე ხნით. ლუკომსკის სამხედრო უფროსთა შემადგენლობის ომიდან ისროდნენ, როგორც ყოვლად უვარგისს და ზედმეტ ბალასტს. აი, ამ ბალასტს ჩასჭიდეს ხელი ფრანგებმა, ალბად, როგორც ხეირიან ტვირთს თეთრგვარდიელთა ბანაკის ახალი ურმისათვის. ეს ასპროცენტიანი არამზადა მეტის მეტად სასარგებლო იქნება იმ მახინაციებისათვის, რომელსაც ამჟამად ამზადებს საფრანგეთის გენერალური შტაბი. ერთი რამ ავიწყდება მხოლოდ საფრანგეთის გენერალურ შტაბს, ეს ის, რომ ისეთ ფიგურებს, როგორიც ლუკომსკი და მილერია, საბჭოთა კავშირში გამოჩენა არ შეუძლიათ. მათ შეუძლიათ გამოჩნდნენ მხოლოდ იმისათვის, რომ ჰპოვონ აქ თავიანთი აღსასრული (ტაში).

ამ გეგმის შემდეგომ მომენტს წარმოადგენს ის, რომ იმედი აქვთ თეთრგვარდიელთა არმიას შეავსებენ მებრძოლებით. რასაკვირველია, მათ კულაკების იმედები აქვთ. მაგრამ იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენ ძირფესვიანად ვსპობთ კულაკებს, ჩვენი სოფლის სოციალისტური სექტორის ზრდასა და განმტკიცებასთან დაკავშირებით, რასაკვირველია, ჯარის ამგვარად შედგენას არა აქვს არავითარი პერსპექტივები. რატომ ემყარება საფრანგეთის გენერალური შტაბი თეთრგვარდიელებს და რატომ აძლევს მათ ერთგვარ ხვედრითი წონას? უნდა ვიფიქროთ იმიტომ, როგორც [illegible] დავინახავთ, რომ დასაქირავებელი პირნი, რომლებიც საჭირონი არიან გეგმის საბრძოლო ნაწილის (ომის) განსახორციელებლად, საფრანგეთის გენერალურ შტაბს, ალბად, არ მოეპოვება.

გეგმის შემდგომი ნაწილი არის ის კონტრრევოლიუციონური მუშაობა, რომელსაც საფრანგეთის გენერალური შტაბი ანვითარებს სწორედ ინტერვენციის წინ.

აქ, მე ვფიქრობ, განსაკუთრებით საინტერესოა სამი მომენტი. პირველი: თავისი დანაშაულებრივი ხასიათით პირდაპირ გასაოცარი განზრახვა—სამეურნეო კრიზისის მომზადება საბჭოთა კავშირში. ასეთი დანაშაულებრივი განზრახვის ინიციატორებს და მით უმეტეს შემსრულებლებს შეუძლიათ დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათთვის ამ მხრივ ჯერ კიდევ არავის არ გადაუჭარბებია კაცობრიობის ისტორიაში. ინტერვენციის გეგმის აღნიშნული ნაწილი საფრანგეთის გენერალური შტაბისათვის წარმოადგენდა, ეჭვს გარეშეა, მთელი გეგმის გადამწყვეტ ადგილს.

მეორე მომენტია—ადამიანთა სათანადო ცოცხალი მასალის გამონახვა. ცხადია, ამ გეგმის შესასრულებლად არ გამოდგება იმ პირთა კატეგორია, რომელთაც ჯაშუშებად იყენებენ. აქ საჭიროა სხვაგვარი მასალა—სპეციალისტები, სწავლულები, მეცნიერები, რომლებიც შესძლებენ შეასრულონ ეს უცნაური გეგმა და დაიჭირონ ის ადგილები, საიდანაც შესაძლებელი იქნება ამ გეგმის შესრულება. ამ განზრახვის ცხოვრებაში გატარებას საგრძნობლად შეუწყეს ხელი ისეთმა კონტრრევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა, როგორიც არის „სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტი", და თეთრგვარდიელთა ისეთმა კონტრ-რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა, რომლებიც საფრანგეთის ტერიტორიაზე იმყოფებიან. „სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტი" — ეს ის ორგანიზაციაა, სადაც მოკალათებულნი არიან საზიზღარი კონტრრევოლიუციონერები, რომლებიც მუშაობენ თავიანთი სულისჩამდგმელების ბრძანებით. „სამრეწველო პარტია" და სხვა კონტრრევოლიუციონური ორგანიზაციები კი წარმოადგენდნენ ჩვენი ინტელიგენციის ნაყოფს, რაც მოწმობს იმას, რომ გახრწნა ძალიან ღრმად შეეხო ამ პირთა, ჯგუფის თვით შინაგან ბუნებას, რომელთა შორისაც შესაძლებელი იყო აღმოცენებულიყო ასეთი საძაგელი იარა. ყველა ჯურის მავნებლები თავიანთ მუშაობაში ცდილობდნენ ბრძოლის წარმატებით დამთავრებას კაპიტალისტების სასარგებლოდ. ასეთი განწყობილების წარმოშობა შესაძლებელია მხოლოდ თავისი კლასობრივი უსუსურობის აღიარებისა და ღრმა გახრწნის ნიადაგზე.

ბოლოს, მესამე მომენტი, როცა გეგმის მავნებლური ნაწილი იქცევა თავის წინააღმდეგობად, როცა ის თავის მახვილს მიმართავს ინიციატორებისაკენ, როგორც ეს ხდება მავნებლების პროცესების შედეგად, სადაც აშკარავდებიან ნამდვილი დამნაშავენი და სულისჩამდგმელები. გეგმის ამ ნაწილის შესრულების მხრივ საფრანგეთის გენერალური შტაბი და მისი სულისჩამდგმელები აღმოჩნდნენ იმ უნტერ-ოფიცრის ქვრივის მდგომარეობაში, რომელმაც თავისი თავი თვითონ გაიმათრახა.

დასასრულ, ნება მომეცით შევჩერდე გეგმის უკანასკნელ ნაწილზე—თვით ომის გეგმის შესრულებაზე. აქ არის ორი მომენტი, რომლებიც მეტის-მეტად გაკვირვებას იწვევენ. პირველი მომენტი არის ინტერვენციის დასაწყისი, რომელიც საფრანგეთის შტაბს წარმოდგენილი აქვს რაღაც ეპიზოდის შედეგად ბესარაბიის საზღვარზე. ეს ძალიან გვაგონებს იმპერიალისტური ომის დასაწყისს, როცა გიმნაზიელმა პრინციპმა სარაევოში ესროლა ერცჰერცოგ ფერდინანდს, როცა მეფის რუსეთი გამოესარჩლა სერბიის ინტერესებს, ხოლო ავსტრიის დასაცავად გამოვიდა გერმანია—და ჩაიდება მსოფლიო იმპერიალისტური ომი. მაგრამ ეს შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ მაშინ. საფრანგეთის გენერალურ შტაბს მშვენივრად ესმის, რომ ჩვენ ვიცავთ მშვიდობიანობის პოლიტიკას, ჩვენ არა ერთხელ დავამტკიცეთ, თუ როგორ ვუყურებთ პროვოკაციულ გამოწვევებს ომში ჩასაბმელად. უკანასკნელმა ამბებმა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე განსაკუთრებით ცხადჰყო ეს.

შესრულების მეორე მომენტს წარმოადგენს ის გადამწყვეტი როლი, რომელიც წილად უნდა ხვდეს პოლონეთისა და რუმინეთის არმიებს. რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ ამ არმიების სიმამაცეზე, მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ ეს იქნება არა ინტერვენცია, არამედ მთელი სიგრძე-სიგანით გაჩაღება კაპიტალისტების კლასობრივი ომის ჩვენს წინააღმდეგ, მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს წინააღმდეგ, ამიტომ მარტო ამ ძალებზე დაყრდნობა ნიშნავს იმას, რომ საფრანგეთის გენერალურ შტაბს არ მოეპოვება საჭირო ძალები, ალბად, იმიტომ, რომ მსურველები არ არიან, ხოლო ამ პირობებში ისეთი ძალაც კი, როგორიც თეთრგვარდიელობა, მილერი და ლუკომსკი არიან, საფრანგეთის გენერალური შტაბის თვალში რაღაც ხვედრითი წონას წარმოადგენს (ტაში).

ინგლის-საბჭოთა ურთიერთობა

ინგლის-საბჭოთა ვალების მომწესრიგებელი კომისიის მუშაობის ანგარიში

ლონდონი, 10 მარტი. თემთა პალატაში საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა დალტონმა შეკითხვის საპასუხოდ განაცხადა:

„ინგლის-საბჭოთა ვალებისა და პრეტენზიების მომწესრიგებელ კომისიის პლენუმს 11 სხდომა ჰქონდა. იმ ქვე-კომისიას, რომელსაც დავალებული აქვს ობლიგაციების პატრონთა პრეტენზიების განხილვა, ჰქონდა ორი სხდომა. მეორე ქვეკომისია, რომელიც იხილავს კერძო პირთა ვალების, პრეტენზიების და კონტრპრეტენზიების საკითხს, შეიკრიბა ერთხელ. ამ ქვეკომისიებს ჯერ არ წარუდგენიათ თავიანთი მოხსენებები პლენუმისათვის. დანარჩენი ოთხი ქვეკომისია ჯერ არ შეკრებილა. ორივე მხრის რწმუნებულნი ამჟამად იხილავენ ამ ქვეკომისიების მოწვევის პირობებს".

საგარეო საქმეთა მინისტრს გადაეცა საინტერესო წინადადება—გამოიცეს პერიოდული ანგარიშები კომისიის მუშაობის შესახებ (ადს).

„კელნიშე ცაიტუნგი" თურქეთ-საბჭოთა საზღვაო შეთანხმების შესახებ

ბერლინი, 10 მარტი. „კელნიშე ცაიტუნგ"-ი აღნიშნავს თურქეთ-საბჭოთა საზღვაო შეთანხმების დიდ მნიშვნელობას.

— შეთანხმებაში—ამბობს გაზეთი—განსაკუთრებით დამახასიათებელია მითითება, რომ ხანგრძლივი მშვიდობიანობის ერთადერთ ნამდვილ გარანტიას წარმოადგენს ყველა სახის შეიარაღების ნამდვილი შემცირება. თურქეთმა და საბჭოთა კავშირმა ამით სთქვეს ის, რაც დიდი ხნის წინად უნდა გამხდარიყო სახელმძღვანელო იდეად განიარაღების მსოფლიო კონფერენციაზე.

ჩინეთის წითელი არმიის წარმატება

ბეიპინი, 9 მარტი. ნანკინის არმიის მე-12 დივიზიის წითელი არმიის რაზმებთან შეერთების გამო, მდგომარეობა ბეიპინ-ხანკოუს რკინის გზაზე მეტად სერიოზულია. წითელი არმიის რაზმების და მე-12 დივიზიის გაერთიანებული ძალებით აყრილია გზა ქალაქ სინიანსა (ხუნანის პროვინციის სამხრეთით) და გუანშუის (ხუბეის პროვინციის ჩრდილოეთით) შორის. წითელი არმიის რაზმების საერთო ძალები მე-12 დივიზიის შეერთების შემდეგ 50.000 კაცს აღწევს. ნანკინის ჯარის პირველი რაზმები, რომლებიც გაიგზავნა ხანკოუში წითელი არმიის რაზმების წინააღმდეგ, დამარცხდნენ (ადს).

საბჭოთა ექსპორტთან საბრძოლველად

ვენა, 9 მარტი. როგორც სოფიიდან იუწყებიან, ბულგარეთის ფინანსთა მინისტრმა მოლოვმა პარლამენტში განაცხადა, რომ ქვეყნის ფინანსიური მდგომარეობა გაუარესდა ფასების დაცემის გამო, რაც მეტწილად ვითომ „საბჭოთა დემპინგით" არის გამოწვეული. ამასთან მინისტრმა აღნიშნა, რომ მთელს მსოფლიოში ეძებენ ამ არასასურველ მოვლენასთან ბრძოლის მეთოდებს.

„საბჭოთა დემპინგისათვის წინააღმდეგობის გაწევის სურვილის გამო—სთქვა მინისტრმა—ბულგარეთმა მონაწილეობა მიიღო შუა ევროპის ქვეყნების აგრარულ კონფერენციებში" (ადს).

სასტიკი საყვედური

პირუტყვის დამზადებაზე ცუდი ხელმძღვანელობისათვის

საქ. კ. პ. (ბ) ა.-ა. საოლქო კომიტეტის 1931 წლის 9 მარტის დადგენილება

1. ა) პირუტყვის დამზადების დარგში მუშაობაზე აშკარად არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისათვის, რამაც გამოიწვია პირუტყვის დამზადების საკვარტალო გეგმის შესრულების ჩაშლა და კულაკურ-შეძლებულ მეურნეობათა მიერ პირუტყვის დამზადების წლიური გეგმით მათთვის დაწესებულ მტკიცე დავალებათა შესრულების ჩაშლა, — გამოეცხადოს **სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით** შემდეგ პარტკომების მდივნებსა და აღმასკომების თავმჯდომარეებს:

აზერბაიჯანში: შამხორისა, საბირ-აბადის და ჯებრაილის რაიონებისას. **საქართველოში:** ხარაგოულის, მარტვილის, ჩხოროწყუს, ჩხარის, ვანის, ზესტაფონის და წალკის რაიონებისას. **სომხეთში:** დარელაგეზის და ნორ-ბაიაზეთის რაიონებისას.

ბ) კულაკურ-შეძლებულ მეურნეობათა მიერ პირუტყვის დამზადების წლიური გეგმით დაწესებულ მტკიცე დავალებათა თავის დროზე და მთლიანად შესასრულებლად საჭირო ზომების მიუღებლობისათვის **სასტიკი საყვედური** გამოეცხადოთ შემდეგ პარტკომების მდივნებს და აღმასკომების თავმჯდომარეებს: **აზერბაიჯანში:** ქიურდამირის, აგდამის და კარამარიანის რაიონებისას და **საქართველოში:** თიანეთის, მცხეთის და ახალქალაქის რაიონებისას.

ა.-კ. 26 კომისრის სახელობის ფეხოსანთა სკოლას

(მისი არსებობის ვ წლის თავის გამო)

საქ. ცაკის მისალმება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი საქართველოს მშრომელთა სახელით მხურვალედ ესალმება ამიერ-კავკასიის ქვეითი ჯარის წითელდროშოვან სკოლას, რომელიც ამზადებს მებრძოლთ დიდი ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად.

სრულიად საქართველოს ცაკი გამოსთქვამს იმედს, რომ ამიერ-კავკასიის ქვეითი ჯარის სკოლა, რომელშიაც შედის ხუთმეტზე მეტი ეროვნება, მომავალშიაც ღირსეულად განაგრძობს მეთაურთა შემადგენლობის მომზადებას მუშურ-გლეხური წითელი არმიისათვის, აგრეთვე ფხიზლად ადევნებს თვალყურს იმპერიალისტურ მტაცებელთა ზრახვებს, რომელნიც მიმართულნი არიან საბჭოთა ქვეყნის დიადი მშენებლობის ჩაშლისაკენ.

გაუმარჯოს წითელდროშოვანის რიგების ინტერნაციონალურ მთლიანობას!

გაუმარჯოს 26 კომუნარის სახელობის ქვეითი ჯარის წითელდროშოვან სკოლას!

გაუმარჯოს საკავშირო კომპარტიას (ბ) — მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციის ლენინურ ავანგარდს!

სრულიად საქართველოს ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე.

ამხ. მუსაბეკოვი—ა.-კ. ცაკის მორიგი თავმჯდომარე

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმის 11 მარტის სხდომაზე ამხ. **ფილიპე მახარაძის** თავმჯდომარეობით განხილულ იქნა საკითხი ა.-კ. ცაკის მორიგი თავმჯდომარეობის შესახებ.

ა.-კ. ცაკის პირველი მორიგი თავმჯდომარეობა დაევალა ამხ. მუსაბეკოვს.

შემდეგ პრეზიდიუმმა გამოჰყო ა.-კ. ცაკის მცირე პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: ამხ. მუსაბეკოვი, ფ. მახარაძე, ანანიანი, სულთანოვი, ვანო სტურუა, ვეზიროვი და პარუშინი (ადს).

პასუხისმგებელ მუშაკების მიმაგრება რაიონებზე

საქართველოს კ.პ. (ბ) ბიუროს დადგენილებით, ქვემოთ ჩამოთვლილი პასუხისმგებელი ამხანაგები მობილიზაციის წესით არიან გაწვეულნი და მიმაგრებულნი რაიონებზე გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო და სამეურნეო-პოლიტიკური კამპანიების ჩატარებაში დასახმარებლად:

გ. სტურუა, ზირაქაშვილი, მ. ბედია, თვალჭრელიძე, ა. გიორგაძე, ტოროშელიძე, ხუციშვილი, თ. ადამიძე, ამბერკი ურუშაძე, კ. ოდილავაძე, არეშიძე, მორჩილაძე, ერ. ასრიბეკოვი, ხარაზიანი, თოდრია, ა. სიამაშვილი, შ. ჩიხლაძე, ავაქოვი, აკ. ფანცულაია, გარინი, ჩხეტიანი, იმედაძე, ფ. დოლიძე, ან. დოლიძე, კვანტალიანი, ბ. ადამაძე, სირაძე, ალექს. მაისურაძე, ვ. ზოლქვაძე, აკ. ენუქიძე, ს. ბუაჩიძე, ს. უბირია, კვირიკაძე, შაბანოვი, ჯიჯვოევი, წულუკიძე, დიმ. ბურჯანაძე, მარიამ ორახელაშვილი, კორნელი ქაცარავა, ანდრო ბუაჩიძე, ვალ. ვაშაკიძე, ა. ტერ-ვართანოვი, ბეჟანოვი, ვ. გოგია, მაჩაიძე, პ. მელაძე.

ფასების დაკლება მარგანეცზე

საქ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე განხილულ იქნა მარგანეცის თვითღირებულების შემცირების საკითხი. ამ საკითხის შესასწავლად გამოყოფილი იყო სპეციალური კომისია, რომელმაც თავისი მოსაზრებები და დასკვნები წარადგინა ს. მ. უ. საბჭოში.

ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ 1931 წლის განმავლობაში მარგანეცის ამოღებული მადნის საქარხნო თვითღირებულება, 1930 წელთან შედარებით, შემცირებულ იქნას 5,5 პროცენტით, ხოლო მადნის კომერციული თვითღირებულება კი შემცირდეს 4,2 პროც.

ს. მ. უ. ს. საგეგმო-ეკონომიურ სექტორს მიენდო დაუყოვნებლივ შეუდგეს მარგანეცის მრეწველობის რაციონალიზაციის ღონისძიებათა შესწავლას. კერძოდ, უნდა იქნას შესწავლილი მაღაროების და სარეცხი ქარხნების მუშაობის პირობები.

ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმმა მიზანშეწონილად აღიარა, რომ მარგანეცის მაღაროები და სარეცხი ქარხნები გადაყვანილ იქნენ [illegible] წესის სამეურნეო ხარჯზე.

დამთავრდა საქ. კოლმეურნეთა მეორე ყრილობა

ამხ. ნათიკაშვილის სიტყვა

ამხანაგებო, მე მინდა ყრილობის ყურადღება შევაჩერო რამდენიმე საკითხზე, რომლებიც მჭიდროთაა დაკავშირებული გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩატარებაზე. პირველი საკითხი არის თესლეულის მომარაგება. მარცვლოვანი კულტურების თესლი მთლიანად უნდა შეგროვდეს ადგილობრივი საშუალებებით და ამ მხრივ კოლექტიური მეურნეობები მთავრობის დახმარებას არ უნდა მოელოდნენ. ძირითადად ამისა მარცვლეულის თესლის მარაგის გეგმა ჯერჯერობით შესრულებულია მხოლოდ 80 პროცენტით, ჩვენ სათესლე მარაგს ვქმნით აგრეთვე ხელუხლებელი ფონდის სახით, მაგრამ ეს გეგმაც დღემდე კოლექტიურ მეურნეობებში შესრულებულია მხოლოდ 60 პროცენტით, ხოლო ინდივიდუალურ მეურნეობებში—40 პროცენტით. საჭიროა ამ ფონდების სრული 100 პროცენტით შესრულება. იმ კოლმეურნეობებს, რომელსაც სათესლე მასალა აკლია, ამ ხელუხლებელი ფონდიდან სასოფლო საბჭოს ნებართვით, სესხის სახით შეაძლებელია მიეცეს სათესლე.

რაც შეეხება ტეხნიკურ კულტურებს, როგორიცაა ბამბა, კენაფი, სოია, არახისი, აქაც თესლი ჩვენ საკმაო გვაქვს და ამ მხრივ დაბრკოლება არ გვექნება. შედარებით უფრო ცუდი მდგომარეობაა ბოსტნეულის თესლის მომარაგების საქმეში. ის გეგმა, რომელიც ჩვენ ვქონდა დასახული ბოსტნეულობის გაფართოების დარგში, თესლის სიმცირის გამო შეიძლება მთლიანად ვერ შესრულდეს. ხოლო რაც შეეხება თბილისის ახლო მდებარე რაიონებს და სამტრედიის, ჩვენ შევეცდებით ამ რაიონებში არ შევამციროთ მებოსტნეობისათვის გათვალისწინებული ფართობი. ასეთივე მდგომარეობაა კარტოფილის თესლის მხრივაც. კარტოფილის თესლის სიმცირის გამო ჩვენ უსათუოდ მოგვიხდება გეგმით გათვალისწინებული ფართობის რამდენიმედ შემცირება. ვერ შესრულდება აგრეთვე გათვალისწინებული გეგმა ბალახის თესვის დარგში. ბალახეულობის თესლი არ იქნება შემოტანილი იმდენი, რამდენიც ჩვენ გვქონდა გათვალისწინებული, მაგრამ აქედანვე უნდა შევაცადოთ, რომ ის ფართობები, რომელზედაც უნდა ბალახი დათესილიყო არ დარჩეს დაუთესავი და მასზე დაითესოს სიმინდი.

განსაკუთრებული ენერგია უნდა მოხმარდეს ადგილობრივ რესურსების გამოყენებას. პირდაპირ უნდა განვაცხადო, რომ კოლმეურნეობები ხშირად არ ფიქრობენ თესლეულის მომარაგებაზე და ისინი სახელმწიფო დახმარებაზე ამყარებენ იმედებს, რაც დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს, გლეხობა წინად ყოველთვის ფიქრობდა თესლეულის მომარაგებაზე და იმარაგებდა კიდეც. ასევე უნდა მოიმარაგონ თესლეული კოლექტიურ მეურნეობებმა.

მეორე საკითხი, რომელზედაც ამ ყრილობაზე იყო ლაპარაკი, არის გამწევი ძალა—ტრაქტორი და მუშა-საქონელი. არსებობს მთავრობის დადგენილება, რომ ტრაქტორები პირველ რიგში გადაეცემა სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს და ცალკე კოლმეურნეობები ამ ტრაქტორებს ვერ მიიღებენ. სამანქანო-სატრაქტორო სადგურების სამოქმედო რაიონებიდან ტრაქტორების გაგზავნა სხვა რაიონში სამუშაოთ შეუძლებელია და ეს საკითხი არც უნდა დაისვას. ამის შესახებაც არსებობს მთავრობის კატეგორიული დადგენილება. კოლმეურნეობები უნდა გაუფრთხილდნენ ცოცხალ გამწევ ძალას, რასაც ისინი დღემდე ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. მუშა-საქონლის შეუფასებლობა დღევანდელ პირობებში უნდა შევაფასოთ როგორც კულაკური გადახრა. ამაში დღეს მხოლოდ კულაკობაა დაინტერესებული. მუშა-საქონელს უნდა გავუფრთხილდეთ და ის რაციონალურად გამოვიყენოთ. დიდი ხანია, რაც მიწსახკომმა გასცა განკარგულება, რომ კოლმეურნეობებმა თავის დროზე მოიმარაგებიათ გაზაფხულისათვის მუშა-საქონლის საკვები, მაგრამ კოლმეურნეობათა უმრავლესობა ამაზე არ ზრუნავენ. კოლმეურნეობებმა უნდა იცოდნენ, რომ ისინი ცენტრიდან საქონლის საკვებს ვერ მიიღებენ და ამის შესახებ ნურც შუამდგომლობას აღძრავენ. ეს საკითხი ასე იქნება დასმული მომავალშიაც და კოლმეურნეებმა ეს კარგად უნდა დაიმახსოვრონ.

შემდეგი საკითხია კოლმეურნეობათა მიწადმოწყობა. მიწადმოწყობების კომისარიატის ყველა მიწადმოწყობები ამჟამად რაიონებში მუშაობენ. მათი მუშაობის ხარისხი და რაოდენობა დამოკიდებულია ადგილობრივ ორგანოების დახმარებაზე. მიწის მზომელთა მეტი რაოდენობა გაგზავნილია სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და ტეხნიკურ კულტურების რაიონებში, ასეთივე მდგომარეობაა აგრონომების და სტუდენტების მიმართაც. მათი უმრავლესობაც სწორედ ზემოაღნიშნულ რაიონებშია გაგზავნილი. რაც უსათუოდ სწორია. ამჟამად მიწსახკომი ხშირად ღებულობს დეპეშებს, რომ გაეგზავნოთ რაიონებს მიწის მზომელები, მაგრამ კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ჩვენ თავისუფალი მიწის მზომელები ამჟამად არა გვყავს და ვერც ამ მოთხოვნილებას დავაკმაყოფილებთ.

მესაქონლეობის განვითარების დარგში პირველ ყოვლისა კოლმეურნეობები უნდა შეეცადონ საქონლის ბინის მოწყობას და საკვების მომარაგებას. ამ ორი პირობის გარეშე შეუძლებელი იქნება ლაპარაკი მესაქონლეობის განვითარებაზე კოლმეურნეობებში.

თქვენი ყურადღება უნდა შევაჩერო აგრეთვე სას.-სამ. კამპანიის დაფინანსებაზე. კრედიტები, რომლებიც ამ მიზნითაა გათვალისწინებული, თითქმის მთლიანად მიდის კოლმეურნეობებში. სახელმწიფო ამ მხრივ დიდ დახმარებას უწევს მას, მაგრამ კოლმეურნეობებს ევალება გათვალისწინებულ კრედიტების 60 პროცენტის გაღება. ეს რა თქმა უნდა არა მარტო ფულით, არამედ შრომით, საშენი მასალის დამზადებით და სხვ. კრედიტს მიიღებს ის კოლმეურნეობა, რომელიც ამ მოვალეობას პირნათლად შეასრულებს.

საერთოდ კოლექტიური მეურნეობები არ უნდა ფიქრობდნენ, რომ მას სახელმწიფო აუშენებს ბოსლებს, შეუძენს საქონელს, მიაწვდის, სას.-სამ. მანქანა-იარაღებს, ეს უსაფუძლო, შეცდარი აზრია. ასეთ კოლმეურნეობაში აუცილებლად არის კულაკური გავლენა და ის უნდა აღმოიფხვრას.

ბევრი ითქვა აქ კოლმეურნეობების დეფიციტურ საამშენებლო მასალის მომარაგებაზე რა თქმა უნდა გეგმიანი მომარაგება უნდა იყოს, ეს საჭიროა, მაგრამ როდესაც კოლმეურნეობა გეგმის გარეშე აწარმოებს მშენებლობას, ეს უნდა მოხდეს გეგმიანი მომარაგების გარეშე. კოლმეურნეობებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ ადგილობრივი რესურსები. რაც შეეხება რკინას, ცემენტს და ლურსმანს, ამათი ნაკლებობა ჯერ-ჯერობით ჩვენ გვაქვს. ეს მასალები უმთავრესად ხმარდება მრეწველობის აღორძინებას და ამიტომ კოლმეურნეობათა მოთხოვნილებების სრულად დაკმაყოფილებას ვერ შევსძლებთ.

ამხანაგებო ზოგიერთ რაიონებში თესვა უკვე დაიწყო. ამ დღეებში ის ყველა რაიონებში დაიწყება. თესვის მოსამზადებელი მუშაობიდან ჩვენ უშუალოდ გადავდივართ თესვის კამპანიაზე. მაგრამ ამ მხრივ ჩვენ სავსებით მზად არა ვართ. ამიტომ სულ მოკლე დროში უნდა აღმოიფხვრას ყველა ის დეფექტები, რომელიც გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის სამზადისს შეეხება. კოლმეურნეობების ამოცანაა შეადგინონ ერთხელ კიდევ გადაათვალიერონ თავიანთი გეგმები, მოამზადონ კოლმეურნეები, დაყონ ისინი ათეულებათ და ბრიგადებათ, რომ ყველა კოლმეურნემ იცოდეს თუ რა უნდა აკეთოს, როგორ უნდა გამოიყენოს მანქანა-იარაღები, მუშა-საქონელი და სხვ. კოლმეურნეობებს უნდა ქონდეთ კალენდარული გეგმა. გაზაფხულის სასოფლო სამეურნეო კამპანიის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ ჩვენ კოლმეურნეობებს ყველაფერი თავის რიგზე ექნებათ, ყველაფერი წინასწარ ექნებათ გათვალისწინებული. კოლმეურნეთა აქტიური მუშაობით, პარტიისა და ხელისუფლების ხელმძღვანელობით ჩვენ უსათუოდ მთლიანად შევასრულებთ გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმას.

დასასრულ ყრილობაზე სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების ტექსტი გამოაქვეყნა ამხ. ცხვარაძემ, რომელიც საქ. კოლმეურნეთა მეორე ყრილობის მიერ გაგზავნილი იყო სომხეთის კოლმეურნეობათა მეორე ყრილობაზე სომხეთისა და საქართველოს კოლმეურნეობათა შორის სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების დასადებათ გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის წარმატებით ჩატარების მიზნით. ყრილობამ ხელშეკრულების ტექსტი ერთსულოვნად მოიწონა.

9 მარტის სალამოს სხდომაზე მოხსენებით საკოლმეურნეო კადრების მომზადების შესახებ გამოვიდა ამხ. შიშნიაშვილი.

ამხ. შიშნიაშვილის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო ამხ. **მეგრელიშვილმა** (მცხეთის რაიონი). ამხ. **ოდილავაძემ** (შრომის სახ. კომისარი). ამხ. **კომახიძემ**, ამხ. **ჭინჭარაულმა** (ერწოთიანეთიდან) და ამხ. **ქანთარიამ** (კოლმეურნეობათა ცენტრი).

კაპიტალისტურ ქვეყნებში გავრცელებულ ჭორების წინააღმდეგ, თითქოს საბჭოთა კავშირში არსებობდეს იძულებითი შრომა, ყრილობამ ერთხმად მიიღო საპროტესტო რეზოლუცია.

ამავე სხდომაზე საქართველოს რემდასის სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. ჰასარიძე, რომელმაც გააცნო დელეგატებს თუ რა დახმარებას უწევს საერთოდ საბჭოთა კავშირის და კერძოდ საქართველოს რემდასი კაპიტალისტურ ციხეებში გამომწყვდეულ პოლიტპატიმრებს და მათი ოჯახის წევრებს. მან მოუწოდა ყრილობის დელეგატებს აგრეთვე გაშალონ ფართო პროპაგანდა-აგიტაცია კოლმეურნეობებში რემდასის უჯრედების ჩამოსაყალიბებლად და რემდასის რიგებში კოლმეურნეთა ფართე მშრომელი მასების ჩასაბმელად.

უკანასკნელი სხდომა

საკოლმეურნეო ცენტრის გამგეობის ახალი შემადგენლობა

საქართველოს კოლმეურნეთა მეორე ყრილობამ თავის უკანასკნელ სხდომაზე 10 მარტს ერთხმად მიიღო რეზოლუციები ამხ. ტოროშელიძის, წულუკიძის და შიშნიაშვილის მოხსენებების ირგვლივ.

ყრილობამ მოისმინა აგრეთვე სამანდატო კომისიის მოხსენება, რის შემდეგ არჩეულ იქნა საკოლმეურნეო ცენტრის ხელმძღვანელი ორგანოები. კოლმეურნეობათა ცენტრის გამგეობაში არჩეული იქნენ შემდეგი ამხანაგები: **პარმენ წულუკიძე, შალვა ნამგალაძე, გიორგაძე, სართანია, კობახიძე, ღარიბოვი, ირაკლი ხუხუა, პლატონ შიშნიაშვილი** და ერთი წარმომადგენელი ბორჩალოდან.

საბჭოში ყრილობამ აირჩია 96 კაცი, სარევიზიო კომისიაში 5 კაცი.

გარდამავალი ჯილდო ლანჩხუთის რაიონს

ყრილობაზე გამოყოფილი იყო კომისია, რომელსაც უნდა გამოერკვია, თუ რომელ რაიონს უნდა გადასცემოდა დროშა გარდამავალი ჯილდოს სახით. კომისიის მუშაობის შედეგებიდან გამოირკვა, რომ საკოლმეურნეო მშენებლობაში ამჟამად ყველაზე წინ სდგას ლანჩხუთის მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონი ყველა მაჩვენებლების მიხედვით, ამიტომ კომისიამ დაადგინა დროშის გადაცემა ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობებისათვის. ყრილობა აღფრთოვანებით შეხვდა კომისიის დადგენილებას.

ლანჩხუთის რაიონის დელეგატებმა, რომლებსაც ამხ. **სართანიამ** ყრილობის სახელით დროშა გადასცა, განაცხადეს: ჩვენი მუშაობის შედეგად ლანჩხუთის მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონს საქ. კოლმეურნეობათა მეორე ყრილობამ გადასცა დროშა, რომელსაც აწერია: „სოციალიზმისათვის მებრძოლ საუკეთესო რაზმს". ჩვენ მთელი ძალღონით მოვიხმართ, რომ ჩვენი გეგმები ვადაზე ადრე შევასრულოთ, მოცემული საკონტროლო ციფრები განვახორციელოთ და მოპოვებული დროშა ღირსეულად ვატაროთ.

ყრილობამ თავისი მუშაობა დაამთავრა ამხ. ტოროშელიძის საბოლოო სიტყვით.

თესვისათვის მზადების რადიო-შემოწმების ერთთვიური

7 მარტიდან მთელს საბჭოთა კავშირში დაიწყო გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის მზადებისა და საკოლმეურნეო მშენებლობის შემოწმების ერთთვიური. შემოწმებას ატარებს გაზ. „პრავდა" და მოსკოვის საგლეხო რადიო-გაზეთი. საქართველოში შემოწმება იწყება დღეიდან.

დღეს, 12 მარტს, რადიო-შემოწმება ტარდება შემდეგ თემაზე: **„გაზაფხული—ინდივიდუალურ მეურნის კარებთან"**, მიკროფონთან გამოვლენ გაზ. „კოლექტივიზაციის" რედაქცია და განჯის სატრანსლიაციო რადიო-კვანძი.

16 მარტს შემოწმებული იქნება რესპუბლიკანური ორგანიზაციების მონაწილეობა თესვის კამპანიაში. 17 მარტს მიკროფონთან გამოვა ს. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ხუთეული. 18 მარტს, მიკროფონის წინაშე წარსდგებიან საქართველოს თავდაცვა-ავიოქიმის საბჭო და ალიზნის ბამბის სახ. მეურნეობა, 19 მარტს—ამიერ-კავკასიის კოლმეურნცენტრი და შემმოწმებელი ბრიგადა, 20 მარტს, შემოწმებული იქნება ამიერ-კავკასიის ტრაქტორცენტრის, მიწსახკომის და „ზაკსელმაშის" მუშაობა. 21 მარტს, მიკროფონთან იქნებიან ამიერ-კავკასიის კოლმეურნცენტრი და სანარდო წესზე გადასული დამკვრელი — კოლმეურნე.

2 მარტისათვის გამსვლელი რედაქცია შეამოწმებს სარვანისა და ბორჩალოს სატრაქტორო სადგურების მუშაობას. 23 მარტს, მიკროფონთან წარსდგებიან სას. სამ. იარაღ მანქანების შემკეთებელი სახელოსნოთა დამკვრელები. 24 მარტს გაშუქებული იქნება მუშათა შეფობა კოლმეურნეობებზე. რადიო-გამოძახებაში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე თბილისის მუშკოოპი და საქ. მიწსახკომი.

8 მარტს ამ საკითხზე ს. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტში მოწვეულ თათბირმა გამოჰყო ერთთვიურის ჩამტარებელი შტაბი, რომელსაც დაევალა კონკრეტიული გეგმის შემოღება და შემოწმების საერთო პრაქტიკული ხელმძღვანელობა.

მოსახლეობის აღრიცხვა სუსტად მიმდინარეობს

ამჟამად თბილისში მიმდინარეობს მოსახლეობის აღრიცხვა. აღრიცხვის მიზანია უზრუნველყოს მშრომელ მოსახლეობის შორის სასურსათო წიგნაკების წესიერად განაწილება და ერთხელ და სამუდამოდ მოუღოს ბოლო ამ დარგში დღემდე არსებულ არანორმალურ მოვლენებს. ჯერ ერთი მუშის კატეგორიის სასურსათო წიგნაკი ისეთ პირებს აქვთ მიღებული, რომელთაც არ ეკუთვნით. გარდა ამისა წიგნაკები გაცემულია გაცილებით იმაზე მეტი, ვიდრე თბილისში მცხოვრებთა საერთო რიცხვი, ასე მაგალითად. უკანასკნელი აღწერით თბილისში ითვლება 337.000 სული, მუშკოოპს კი გაცემული აქვს წიგნაკები 367.000 სულზე.

ამასთანავე აღწერა ტარდება საერთო საკავშირო ერთსახოვან წიგნაკების შემოღებასთან დაკავშირებით. აღწერის შემდეგ წიგნაკების მაგიერ შემოღებული იქნება ტალონები, როგორც სურსათ-სანოვაგეზე, ისე სხვა პროდუქტებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ამ აღწერას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა მუშა-მოსამსახურეთა მომარაგებისათვის, თვიდანვე არ ყოფილა სათანადოთ ჩატარებული წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა, მოსახლეობის მშრომელთა უმრავლესობამ არც კი იცის, თუ რისთვის სწარმოებს აღრიცხვა, ან რა საბუთებია საჭირო აღრიცხვისთვის და სხვ.

აღრიცხვა დაიწყო 5 მარტს. ქალაქი დაყოფილია 12 სააღრიცხვო უბნად. აღრიცხვისათვის გამოყოფილია 350 რეგისტრატორი. თვითეულ რეგისტრატორს თან ახლავს ბრიგადა. ბრიგადები შესდგებიან თბილისის საბჭოს, პროფაქტივის და კოოპერატივის წევრებისაგან. მაგრამ ბრიგადებს არ ანთავისუფლებენ თავის დროზე წარმოება-დაწესებულებები, რის გამო მრავალი რეგისტრატორი ცდება.

აღრიცხვას აფერხებს აგრეთვე ის გარემოება, რომ სახლის წიგნები სრულ ქაოსიურ მდგომარეობაშია. სახლის წიგნაკებში სისწორით არაა შეტანილი მდგმურები, წიგნებში არიან აღნიშნული ისეთი პირები, რომლებიც თბილისში სრულებით აღარ ცხოვრობენ, ან სხვა ბინაზე არიან გადასულნი. ამავე დროს წიგნებში არაა ჩაწერილი მრავალი ნამდვილი მობინადრე.

საბინაო ამხანაგობები აღრიცხვის საქმეში არავითარ მონაწილეობას არ იღებენ. მათ ისიც კი ვერ შეძლეს, რომ [illegible] თვითეულ სახლის რწმუნებულს ბინაზე ჰქონდეს, რომ აღმრიცხველს ორ-სამჯერ არ უხდებოდეს მისვლა ერთ და იმავე ბინაში.

ზოგიერთ სახლს სრულებით არა აქვს წიგნი. აღმრიცხვე პირს უნდა ჰქონდეს საანგარიშო წიგნაკი და სათანადო წარმოება-დაწესებულებებიდან იმის მაჩვენებელი საბუთი, თუ ის რა სამუშაოს ასრულებს.

მოწაფეებს 11-14 წლამდე უნდა ჰქონდეთ სკოლიდან გაცემული მათი ჰასაკის დამადასტურებელი მოწმობა. მაგრამ აღნიშნული საბუთები უმრავლესობას არა აქვს, რის გამო ძნელდება აღრიცხვის წესიერად ჩატარება.

საჭიროა აღნიშნული დეფექტები სასწრაფოდ იქნეს გამოსწორებული. უწინარეს ყოვლისა უნდა მოწესრიგდეს ბრიგადების აღრიცხვაში დაუბრკოლებლად მონაწილეობის მიღების და საბინაო დავთრების წესრიგში მოყვანის საკითხი.

ყოველმა მოქალაქემ ხელი უნდა შეუწყოს აღრიცხვას სწორი საბუთების წარდგენით და იმავე დროს თვალყური ადევნოს, რათა აღმრიცხველები შეცდომაში არ იქნენ შეყვანილნი.

მწერალთა ორგანიზაციაში

ჟურნ. „მნათობი"

ჟურნ. „მნათობი" ამ წლის იანვრიდან გადაეცა სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციას. მწერალთა ფედერაციის პრეზიდიუმმა გამოჰყო ჟურნალის სარედაქციო კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: **გ. დევდარიანი, შ. რადიანი, გ. ტაბიძე, სიმ. ჩიქოვანი, ტ. ტაბიძე, ივ. ვაშაკმაძე და ს. ეული.**

მწერლების მონაწილეობა საგაზაფხულო თესვის კამპანიაში

საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციამ და პროლეტარულ მწერალთა ასოციაციამ საგაზაფხულო თესვის კამპანიაში მონაწილეობის მისაღებად მობილიზაცია უყო 20 მწერალს.

თათბირი პოეზიის საკითხებზე

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის სამდივნომ დაადგინა მარტის ბოლო რიცხვებში მოიწვიოს თათბირი პოეზიის საკითხებზე.

შ. რადიანის ახალი წიგნი

დაიბეჭდა და გამოვიდა შალვა რადიანის ახალი წიგნი „პროლეტარული მწერლობის განვითარების გზები". გამ. „ახალგაზრდა კომუნისტი"-სა.

— **საქ. სახელმწ. კვარტეტის სალამო.** დღეს, სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის 1-ლი სალამო, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს კონსერვატორიის დოცენტი ა. ვირსალაძე. კვარტეტის წევრები ს. ბეზროდნი, მ. შმუკლერი, ლ. იაშვილი და გ. თაქთაქიშვილი.

ქ რ ო ნ ი კ ა

უკრაინელ მეფანდურეთა კაპელის კონცერტები თბილისში

საქართველოს სახ. საკონცერტო ბიურომ რესპუბლიკათა შორის კულტურული კავშირის განმტკიცების მიზნით უკრაინიდან მოიწვია უკრაინელ მეფანდურეთა კაპელა, რომელიც თბილისში გამართავს რამდენიმე კონცერტს. პირველი კონცერტი გაიმართება 15 მარტს [illegible] კლუბში. მეფანდურეთა კაპელა კონცერტებს მოაწყობს მელითონეთა, ტრანსპორტელების, პლეხანოვის სახელობის, ა.-კ. ფეხოსან ჯარის სკოლის და სხ. კლუბებში.

1904, 5, 6 და 7 წლებში დაბადებულ ცვალებად შემადგენლობის საყურადღებოდ

ფრუნზეს სახელობის მე-2 ქართულ მსროლელ დივიზიის ცალკე მესანგრე ასეულის [illegible] დამაგრებულ ცვალებადთა საყურადღებოდ, რომ ა.-წ. 18, 19 და 20 მარტს, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6-დან 10 საათამდე იწარმოებს ინდივიდუალურ მეცადინეობათა ჩატარება.

სხვადასხვა

— **საზეიმო სხდომა.** დღეს, საღამოს 6 საათზე, საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის კლუბში შედგება სუბტროპიკულ კულტურათა და ა.-კ. სატყეო ინსტიტუტების სტუდენტობის, პროფესორების, პედაგოგიურ და ადმინისტრატიულ პერსონალის საზეიმო სხდომა. დღის წესრიგში: ქალთა საერთაშორისო დღე, [illegible].

— **12 მარტს,** საღამოს 8 საათზე ხელოვნების სახახლეში (მაჩაბლის ქ. № 13) დანიშნულია ხუსკივაძის ახალი სურათის—„შარავი"-ს სადისკუსიო განხილვა. შესავალ სიტყვას იტყვის ამხ. რონდელი.

რემდასის აქტივის საქალაქო კრება

6 მარტს, შესდგა საქ. რემდასის თბილისის ორგანიზაციებში მომუშავე აქტივის საქალაქო შეკრება, რომელზედაც მოხსენებით გამოვიდა ამხ. **დ. ნასარიძე.** მომხსენებელმა აქტივს გააცნო რემდასის სრულიად საკავშირო მე-3 ყრილობის მუშაობის შედეგები და ის ამოცანები, რომლებიც დასახა ამ ყრილობამ რემდასის ორგანიზაციების წინაშე.

შემდეგ შეკრებამ მოისმინა ამხ. ბადრიშვილის მოხსენება ქალთა საერთაშორისო დღის—8 მარტის დღესასწაულის და [illegible] დღის—12 მარტის დღესასწაულში რემდასის ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ. შეკრებაზე გადაწყდა, რომ 8 მარტის აღსანიშნავად რემდასში აქტიურად მომუშავე ქალების განცხადებები პარტიაში მიღების შესახებ გადაეგზავნოს შესაფერ პარტიულ ორგანიზაციებს.

დასასრულ შეკრებაზე შეგროვილ იქნა შემოწირულება ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის ჰაეროპლან „საქართველოს რემდასელის" ფონდის გასაძლიერებლად.

განმარტება

„კომუნისტი"-ს 24 თებერვლის ნომერში მოთავსებული იყო წერილი სათაურით: „[illegible] სამართლის ბოროტმოქმედი სამსახურში". წერილს ხელს აწერდა „გულთახანი", რომელიც ბრალს სდებდა ცეკავშირის თანამშრომელს ეპიფანე დუდუჩავას იმაში, რომ თითქოს მას, როგორც ცეკავშირის გამგეობის წევრს, სამუშაოთ მიეღო ცეკავშირის აპარატში მეფის ოფიცერი და აშკარა ანტისაბჭოთა ელემენტი ივანე დუდუჩავა.

ამ საკითხზე ცეკავშირის მუშათა ბრიგადამ, რომელშიაც შედიოდა ცეკავშირის აპარატის გამწმენდი კომისიის მდივანიც, მოახდინა გამოკვლევა, რის შედეგად გამოირკვა:

ივანე დუდუჩავა მიღებული არ ყოფილა ეპიფანე დუდუჩავას მიერ. ივანე დუდუჩავა—როგორც ოფიციალური ბრძანებიდან ჩანს, მიღებულია დროებით სამუშაოზე და მას უმუშავნია 21 დეკ. 1928 წლის 3 ოქტომბერს ის მოხსნილ იქნა სამუშაოდან.

სახელმწ. ოპერა

დღის, 12 მარტს — ა. პიროგოვის ავადმყოფობის გამო, დღის წარმოდგენა „ფაუსტი" გადადებულია. წარმოდგენის დღე ცალკე გამოცხადდება.

დღეს, 12 მარტს საღამოს მე-12 აბ. მე-5 წ. ფატმა მუხტაროვას მონაწ. აიდა

პარასკევს, 13 მარტს მე 11 აბონ მე-5 წარმ. მოსკოვის დიდი თეატრის მსახიობ ქალის მ. მ. მაქსაკოვას პირველი გამოსვლა კარმენი

ამ დღეებში პრემია „925". ბილეთები იყიდება.

[illegible]

13 მარტს მე 3 აბონემ. მე-6 წარმოდ. არსენას ლექსი

14 მარტს მე 13 აბონ. მე-7 წარმოდ. ლიანდაგი [illegible]

სავალდებულოა საბონემენტო საფასურის მე 5 შემოსატანის დაფარვა.

რუსთაველის თეატრი
12 მარტიდან დაიწყება
სანდრო ახმეტელის ხელმძღვან.
აბონემენტების გაცემა
პირველ რიგში აბონემენტები მიეცემა საწარმოო ორგანიზაციებს.
ვთხოვთ გამოცხადდნენ იმ წარმოებების წარმომადგენელნი, რომელთაც აქვთ №№ 25, 27, 56, 59, 77, 81, 87. 118, 135, 201, 210, 235, 240, 246, 254. 2—2 ნ. 579

სახ. ცირკი
დღეს და ყოველდღე გრანდიოზული წარმოდგენა
ახალი პროგრამა
გრძელდება უშიშარი მომთვინიერებლის ერნსტ შუა გასტროლები მისი 7 ბუმბერაზი ლომით. ცნობილი მუსიკალური სატირიკოსები ბიმ ბომი ახალი რეპერტუარით, აგრეთვე მონაწილეობს მთელი დასი და ატრაქციონები. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. სალარო ღიაა 11-ნახ. დან 2 საათამდე და 5 საათიდან.
დღეს, გრანდიოზული დილის წარმოდგენა. დასაწყისი დილის 2 ს. 58 ნ

რ. ლიუქს სახ. კინო (უ მიხიონი) 1-ლი სეანსის დას. 5 ს. 30 წ.
არაჩვეულებრივი მხატვრ. ფილმი „სოიუზკინო"-ს გამოშვება ქალაქები და წლები მთ. როლში ბერნგარდ გეტცე.

კინო პალასი 1-ლი სეანსის დასაწ. 6—30
ახალი მხატვრული ფილმი „სოიუზკინო"-ს გამოშვება არის კაპიტანი რეჟისორი ა. ივანოვი.

საქართველოს სახკინმრეწვის კინო-თეატრები

აპოლო 1 სეანსი იწყება 6 ს., II—7-30, III—9, IV—10-30. — ახალი ნახატრული ფილმი მძინარე მზეთუნახავი. ბილეთების წინასწარ გაყიდვა შუადღის 12 საათიდან

სპარტაკი დღის სეანსები I 12 ს. II 1—30 ს. III 3 ს. — მილი ტაუტ-კორსო, ფ. ნიკიტინი მხატვრულ სურათში სწრაფი სიცოცხლე

სპარტაკი საღამოს სეანსები I სეანსი იწყება 6 ს., II—7-30, III—9, IV—10-30. — მხატვრული ფილმი კვალ და კვალ. პროგრამის გარეშე „მუშა ალი და ს.ს.რ.კ. თავდაცვა".

საზამთრო დარბაზი 1 სეან. იწყება 6 ს. II—7-30, III—9, IV—10-30. — საზღვარგ. მხატვრული სურათი „11 ეშმაკი".

მალე! კინო-აპოლოში
ახალი საბჭოთა ფილმი, „სოიუზკინო"-ს ლენინგრადის ფაბრიკის გამოშვება
კაცი მარტო დარჩა

საჭიროა გამოცდილი მემანქანე
ქართული ენის კარგი მცოდნე „უნდერვუდის" მანქანაზე სამუშაოდ.
იკითხეთ „კომუნისტი"-ს მთავარ კანტორაში. უთ.

ქართული სახელმწიფო დრამა
კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით
აცხადებს
აბონენტების საყურადღებოთ, რომ აბონემენტების საფასურის მეხუთე შემოსატანი უნდა იქნეს დაფარული 15 მარტამდე
მეექვსე შემოსატანი „ „ „ 31 მარტამდე.
წინააღმდეგ შემთხვევაში კარგავენ წარმოდგენებზე დასწრების უფლებას. მათი აბონემენტები, ვისაც დღემდე არ შემოუტანიათ სამ შემოსატანზე მეტი, გაუქმებულია და მათი ადგილები იყიდება სალაროში ჩვეულებრივის წესით. არავითარი დამატებითი შეღავათი ვადა არავის არ მიეცემა. ნ. 585

მასწავლებელი
ამზადებს მოწაფეებს
ყველა საგნებში: შვიდწლედების მოწაფეებისათვის, საბუღალტერო კურსებზე, შვიდწლედებში, მუშფაკებში და ტეხნიკუმებში მისაღებად. ასწორებს აგრეთვე სტუდენტებს. მისამართი: გოგებაშვილის მე-2-ე შესახვევი № 20 (ყოფილი პეტროვის მე-2 შეს. ბელინსკის ქუჩიდან). დილით 10—2 და საღ. 4—6 ს.-დე. 3—1 1759

ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები
(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულად

— პურის წიგნაკი № 5:863 ირაკლი სირაძის სახელზე. 1845
— სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი ალექსანდრე ოქროპირიძის სახ. 1844
— მუშკოოპის წიგნაკი № 19055 მიხეილ კახ ძის სახელზე. 1842
— პირადობის მოწმობა № 133 თამარ გვაზამაძეს სახელზე. 1840
— რკინის გზელთა კავშირის წიგნაკი № 30291 ვასილ ტყეშელაშვილი სახელზე. 1839
— მუშკოოპის საწევრო წიგნაკი თამარა ორჯონიკიძის სახელზე. 1837
— პირადობის მოწმობა იოსებ მამისთვაროვის სახელზე. 1834
— მაშინის ქვითარი იოსებ მამისთვაროვის სახელზე. 1835
— სახლის ქირის ქვითარი იოსებ მამისთვაროვის სახელზე. 1836
— პურის წიგნაკი „ბ" სალომე სეირანოვის სახელზე. 183[illegible]

ვასწავლი
მათემატიკას
ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია, არითმეტიკას და ვამზადებ მოწაფეებს უმაღლეს სასწავლებლისათვის, სამხედრო აკადემიაში. ყველა სპეც. დარგზე პროგ. № 164 მუშფაკისათვის, მუშ. უნივერ., საბუღალტ. კურსებზე, და მეექვსე, მეშვიდე ჯგუფში შესასვლელად. ვასწორებ ჩამორჩენილ და სუსტ მოწაფეებსაც. მისამართი: პლეხანოვის № 25 და ჩელიშევის ქუჩის კუთხე № 5. ნახვა 1 7 საათამდე. 3—2 1350

ექიმი
ი. ი. გერიშვილი
ვენერიული, საშარდე სასქესო ორგანოების, სიფილისისა და კანის ავადმყოფობა. დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქალებისათვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყ. „ნოე"-ს) პირდაპირ, ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

თვალის ექიმი
მალაევი
ღებულობს ავადმყოფებს საღამოს 6—7 ს. კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47, ელსინი

ექიმი
ივ. ა. ბოსელი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი. იღებს ავადმყ. დილის 8—9 ს. და საღ. 6—7-მდე. ბარნოვის (ყოფ. გუნიბის) ქ. № 44, ელსინი 24 44 25—1 9.6

თანახმად საქ ცაკის და სახკომსაბჭოს 1930 წლის 17 ივლისის თარიღით № 223 დადგენილებისა, თბ. აღმასკომის მმაჩის ბიურო აცხადებს, რომ ქ. თბილისში მცხოვრ. მოქ. მიხეილ ივანეს ძე ნონიევს შემოტანილი აქვს განცხადება თავისი გვარის ნონიევის ახალ გვარზე თანდილაშვილზე გამოცვლის შესახებ. 1768

დამწუხრებული ცოლი ანეტა, ძმა [illegible], დისშვილი ვალიკო ძმის წული [illegible] იუწყებიან, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა
თედორე სოლომონის-ძე გვარამაძე
გამოსვენება 1-ლი საავადმყოფოდან 13 მარტს. დასაფლავება ველაბრის სასაფლაოზე. ოკინის გზის გადაღმა. 1795

ინვალიდთა საწარმოო კოოპ. არტელი „ჩვენი შრომა"-ს მუშა მოსამსახურენი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მუშა, გამგეობის წევრი
თედორე გვარამაძე
გამოსვენება ქალაქის I საავადმყოფოდან 13 მარტს. 4 საათზე. დასაფლავება ველაბრის სასაფლაოზე, ოკინის გზის გადაღმა. 1798

ინვალიდთა საწარმოო კოოპ. არტელის „ჩვენი შრომა"-ს გამგეობა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გამგეობის წევრი, მუშა
თედორე გვარამაძე
გამოსვენება ქალაქის I საავადმყოფოდან 13 მარტს, 4 საათზე. დასაფლავება ველაბრის სასაფლაოზე, ოკინის გზის გადაღმა. 1796

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: ძმისწული ნინო [illegible] დავსტირით ძვირფასა ბიძას
სევასტი სვიმონის-ძე უიფიანს
დაკრძალვა ბორჯომში 12 მარტს. 1767

დამწუხრებული მეუღლე: ბაბული, [illegible] თამარ, ეთერი [illegible]
სევასტი უიფიანის
გარდაცვალებას. 1767

დამწუხრებულნი ძმის შვილები: [illegible] ძვირფას ბიძის
სევასტი სვიმონის-ძე უიფიანის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ბორჯომში 12 მარტს. 1780

[illegible] აუწყებენ საზოგადოებას, რომ მეუღლის დოქტორის დოცენტ
ვლადიმერ ყარამანის-ძე ცეცხლაძის
ხსოვნის აღსანიშნავად [illegible] 12 მარტს 5 საათზე. 1793

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე ნატალია შვილებით: [illegible] აუწყებენ საზოგადოებას, რომ მათი ძვირფასი და დაუვიწყარი მედიცინის დოქტორის, დოცენტ
ვლადიმერ ყარამანის-ძე ცეცხლაძის
ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი დიდუბის პანთეონში 12 მარტს 5 საათზე. 1792

ღრმად დამწუხრებული მეუღლე [illegible] მათთვის დაუვიწყარი
(გოგონა (ოლღა) ალექსანდრეს ასულ კალანდაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება ყოფ. არამიანცის საავადმყოფოდან, 13 მარტს, 4 საათზე დაასაფლავება ვერის ახალ სასაფლაოზე. 18[illegible]

დამწუხრებულნი სიდედრი ვასასი, მულები: [illegible] დაუვიწყარი რძლის
გოგონა ალექსანდრეს ას. კალანდაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება ყოფ. არამიანცის საავადმყოფოდან 13 მარტს 4 საათზე. დასაფლავება ვერის ახალ სასაფლაოზე. 1822

[illegible] ილია კალანდაძის მეუღლის
გოგონა ალექსანდრეს ას. კალანდაძის
უდროოდ გარდაცვალებას. 82[illegible]

[illegible]
ნინო ანდრიას ასულის ხუციბერიძის
უდროოდ გარდაცვალების გამო. დაკრძალვა კვირას სოფელ ბობოთში. 1808

[illegible]
ნინო ანდრიას ასულ ხუციბერიძის
უდროოდ გარდაცვალების გამო. დაკრძალვა კვირას, 15 მარტს, სოფელ ბობოთში. 1809

[illegible]
ნინო ანდრიას ასულის ხუციბერიძის
ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. დაკრძალვა 15 მარტს, სოფელ ბობოთში. 1810

[illegible]
გივიკო (ნოდარი) ფოფხაძის
ხსოვნის აღსანიშნავად. 804

თბილისის მე-3 სამედიცინო ტექნიკუმი აცხადებს, რომ 12 მარტს 5 საათზე, [illegible]
ვლადიმერ ცეცხლაძის
ხსოვნის აღსანიშნავად. 1845

[illegible] აუწყებენ მეგობრებსა და ნაცნობებს, რომ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი
ნატაშა ბებია
დაკრძალვა ბათუმში, ხუთშაბათს 12 მარტს. 2 2 ნ. 575

[illegible] 13 მარტს. დ. [illegible] დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ძვირფას და საყვარელ
აპო (აპალონ) თენგიზის-ძე კორტავას
ხსოვნის აღსანიშნავად. 1832

[illegible] გამოსთქვამენ ძვირფასი ამხანაგის
პანტელეიმონ (კუჭუ) ამროსის-ძე ესაკიას
გარდაცვალების გამო. დაასაფლავება დღეს, 4 საათზე ს. კეთილარში. ნ. 584

[illegible] აუწყებენ ნათესავებს, ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველი შვილი
ოთარი კლემენტის-ძე ახობაძე
დასაფლავება 13 მარტს, საღ. 5 საათზე, კუკიის სასაფლაოზე გამოსვენება ბინიდან ბაქმაროს ქ № 406. 1863

ღრმად დამწუხრებული შვილები: ვიქტორ და სოფრომ, რძლები სალომე და [illegible], შვილისშვილები: მარიამ, შალვა, ალექსანდრე და კოტე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი დედა
ანა ნიკოლოზის ასული შალიკიანი
გასვენება პარასკევს, 13 მარტს, 4 საათზე, საკუთარი ბინიდან ([illegible]). 1838

[illegible] მე 3 კურსის სტუდენტები: [illegible] გლოვობენ უდროოდ [illegible] კალანდაძის დის
გ ო გ ო ნ ა ს
დაკარგვას. 1829

ცეკავშირის № 1 და № 3 [illegible] თანამშრომლები [illegible] გამოსთქვამენ ჩვენი ამხანაგ [illegible] შვილის
პატარა ოთარიკოს
გარდაცვალების გამო. 1815

თავზარდაცემული ცოლი ლიდა, შვილი ნათელა, [illegible] აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს
ამბროსი გიორგის-ძე ზაბახიძის
უდროოდ გარდაცვალებას. 1841

[illegible] აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი
ზალიკა დიმიტრის-ძე ლეკაშვილი
გამოსვენება დღეს 4 ნახ. საათზე, ფოთის ქუჩა № 37. დაკრძალვა [illegible] 1843

[illegible] 14 მარტს, [illegible] გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარი
ანტონ სურგულაძის
ხსოვნის აღსანიშნავად. ნ. 582

[illegible] აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს. მათი დაუვიწყარი პატარა
ც უ ც ა ს
უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა 14 მარტს, სოფ [illegible] ნ. 58[illegible]

სახაზინო გამომცემლობათა სტამბა. „კოლექტივი", კამოს ქ. № 68.

მთავლიტი № 904